თბილისის უნივერსიტეტი

14 დეკემბერი, სამშაბათი, 2010 წ. №14 (2110)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თსუ არჩეული რექტორის მოლოდინში

27 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება თსუ-ის რექტორის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებს რექტორობის მსურველი 6 კანდიდატი: ალექსანდრე კვიტაშვილი, ნიკოლოზ ლელუაშვილი, გიორგი ლილუაშვილი, თეიმურაზ ურუშაძე, მარიამ ცაცანაშვილი და გიორგი ჭინჭარაული. კანდიდატთა რეგისტრაცია 25 ნოემბერს დასრულდა.

თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 12 წევრი ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წარმოდგენილ კანდიდატთა შორის აირჩევს რექტორს, რომელიც, ამავე დროს, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეც გახდება.

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საარჩევნო კომისია.

კომისიის №47 განკარგულების თანახმად, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღეს 22 საათამდე აკრძალულია.

საარჩევნო კომისიის №52 განკარგულების საფუძველზე, რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატს საკუთარი კანდიდატურის მოხსნა 2010 წლის 23 დეკემბერს 18 საათამდე შეუძლია.

გამარჯვებული კანდიდატის ვინაობა 27 დეკემბერს საღამოსვე იქნება ცნობილი.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართში — **„ვირჩევთ რექტორს“** წარმოგიდგენთ რექტორობის მსურველი ყველა კანდიდატის ავტობიოგრაფიასა და უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციასა თუ სამოქმედო გეგმას.

იხ. 7-14 გვ.

თანადგომა მოქვის სახარების გადასარჩენად

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერი — მოქვის სახარება სასწრაფო აღდგენას საჭიროებს. ხელნაწერის რესტავრირებისთვის ცენტრის თანამშრომლები საქველმოქმედო აქციების პერმანენტულად გამართვას გეგმავენ, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ამის დასტურია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბებულ „მეგობართა საზოგადოებაში“ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე კვიტაშვილის წევრობა და ცენტრთან სტუდენტური თვითმმართველობის ხშირი თანამშრომლობა.

ნატო ოზოლაძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში ძველი ხელნაწერი წიგნები, უნიკალური ისტორიული საბუთები და გამოჩენილ მოღვაწეთა არქივი ინახება. ერთ-ერთი უნიკალური ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული – მოქვის სახარებაა. მოქვის ოთხთავი დანიელ მოქველი ეპისკოპოსის დაკვეთით არის დაწერილი. ხელნაწერი, ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით, კარგად დამუშავებულ ტყავის ფურცლებზეა შესრულებული და ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მინიატურებითაა დასურათებული (გამოსახულებები ოქროზეა დახატული). მოქვის სახარება სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით თანხების მოსაზიდად ცენტრი აქტიური საქველმოქმედო აქციების ეტაპობრივად გამართვაში ხედავს გამოსავალს.

თსუ-ის მხარდაჭერითა და სტუდენტური თვითმმართველობის დახმარებით კოტე მარჯანიშვილის სახელობის თბილისის დრამატულ თეატრში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი 7 დეკემბერს უკვე გაიმართა. კონცერტიდან შემოსული თანხა მოქვის სახარების აღდგენისათვის შექმნილ ფონდში მთლიანად გადაირიცხა. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის უნიკალურობიდან გამომდინარე, მის აღდგენას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება. ამდენად, მხოლოდ ერთი საქველმოქმედო აქცია მისი რესტავრაციის დაწყებისთვის საკმარისი არ არის. უნიკალური ხელნაწერების შესანარჩუნებლად და თანხების მოსაზიდად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან არსებული „მეგობართა საზოგადოება“ აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაზე მუშაობს. „მეგობართა საზოგადოების“ ერთ-ერთი წევრი თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილია, რომელიც თსუ-ში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის „მეგობართა საზოგადოების“ იმ სხდომის გამართვის ინიციატორი გახლდათ, რომელზეც მოქვის სახარების გადარჩენის შესახებ აქტიური დისკუსია გაიმართა. სხდომაზე ცენტრის „მეგობართა საზოგადოებაში“ გაწევრიანების ფორმები და წევრად მიღების პროცედურებიც განიხილეს. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის „მეგობართა საზოგადოების“ წევრთა რაოდენობის ზრდა უნიკალური ხელნაწერების რესტავრაციისთვის თანხების მოზიდვასაც შეუწყობს ხელს.

სხდომის დაწყებამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი საქველმოქმედო აქციების ერთობლივად განხორციელებას, ასევე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ძალაში 30 ნოემბრიდან შევიდა.

მე-2 გვერდზე

ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის მუშაობის პრიორიტეტები — მე-2 გვერდზე

ელექტრონული სწავლება თსუ-ში — მე-3 გვერდზე

რატომ რჩება ფრანგული გრანტი გამოუყენებელი? — მე-3 გვერდზე

„ილუმინატორი“ ბიზნეს-ოლიმპიადის გამარჯვებულია — მე-4 გვერდზე

როგორ გამოვიყენოთ წიაღისეული კომერციული მიზნებისთვის — მე-6 გვერდზე

„ხიბლი არაპოპულარობისა“ — მე-15 გვერდზე

გზები ერთმანეთს იკრავენ გულში — მე-18 გვერდზე

გაანათე უფლებებისთვის! — მე-18 გვერდზე

„თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“ — მე-18 გვერდზე

ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის მუშაობის პრიორიტეტები

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დავით ჩომახიძე აირჩია. კენჭისყრის დაწყებამდე საბჭოს წევრები დავით ჩომახიძის სამოქმედო გეგმას გაეცნენ, რასაც დადებითი შეფასება მისცეს და მოიწონეს ის სტრატეგია, რაც კანდიდატის მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალურად ათვისების კუთხით არის დასახული.

დავით ჩომახიძის მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმასა და კონცეფციაში დაწვრილებით არის გაწერილი, თუ რა მიმართულებებით აპირებს იგი მუშაობას. კერძოდ, მის კონცეფციაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის საქმიანობაში მიღწეული შედეგების განსამტკიცებლად ძლიერი ადმინისტრაციული მმართველობის შენარჩუნება და მისი კიდევ უფრო განვითარებაა აუცილებელი. როგორც დავით ჩომახიძის სამოქმედო გეგმაშია მითითებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის ლიდერის სტატუსი უნდა გაიმყაროს და კლასიკური უნივერსიტეტის ტრადიციები შეინარჩუნოს. წარმოდგენილი კონცეფცია ორიენტირებულია ასევე, სტუდენტებისთვის ცოდნის მაღალი ხარისხით გადაცემის უზრუნველყოფაზე, რაც ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებასაც გულისხმობს. მისი თქმით, უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ფუნდამენტური მეცნიერებების სრული სპექტრი, ჩაერთოს თანამედროვე ევროპულ საუნივერსიტეტო პროცესებში და, ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, აკადემიური პროგრამები განახორციელოს.

დავით ჩომახიძე იმ პრობლემებზეც საუბრობს, რომელთა მოუგვარებლობაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებას მნიშვნელოვანწილად აფერხებს — ერთ-ერთი მათგანია მუდმივად განახლებას დაქვემდებარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შენობა-ნაგებობები, ხელსაწყო-დანადგარები, სტამბა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა). მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შემდგომ განვითარებაზე.

დავით ჩომახიძის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებით აქტუალურია ის პრიორიტეტები, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსების საფუძვლიან რეკონსტრუქციას, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს აშენებას და თსუ-ის კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო ფონდის შექმნას ითვალისწინებს. ფონდი სოციალურად დაუცველ თსუ-ის სტუდენტებს სწავლის გადასახადს დაუფინანსებს და ჯანმრთელობის პრობლემების მქონეთაც დაეხმარება.

„ჩვენი სურვილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ისეთივე ავტორიტეტი მოიპოვოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში, როგორიც მას საქართველოში გააჩნია.

იგეგმება უნივერსიტეტის სტამბის აღდგენა, სადაც ხარისხიან წიგნებს, ბროშურებს, სახელმძღვანელოებსა და გაზეთებს დავბეჭდავთ“, — აღნიშნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით ჩომახიძემ.

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტში საკადრო ცვლილებების გატარებას არ აპირებს. იგეგმება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტებსა და ყველა ფაკულტეტზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ასევე, ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების სრული ინვენტარიზაცია — ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

თსუ-ის ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე მიმდინარეობს მომავალი წლის ბიუჯეტის მოსამზადებელი პროცესი — ადმინისტრაცია განსაზღვრავს პრიორიტეტებს და, შესაბამისი გათვლების შემდეგ, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს.

დავით ჩომახიძე უნივერსიტეტში მოსვლამდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი და საქართველოს პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის აპარატის უფროსი გახლდათ (1996-1999 წწ); იყო ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1999-2001 წწ); იგი ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას (კვალიფიკაცია: სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ვალდებულებითი, საგადასახადო და საბაჟო სამართალი), აგრეთვე ორგანიზაციების იურიდიულ მომსახურებას (2002-2004 წწ); იყო საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (საქართველოს უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახურის უფროსი (2004-2007 წწ); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, საფინანსო-ეკონომიკურ და სამეურნეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის თანაშემწე (2005-2007 წწ); საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (2007-2010 წწ); საქართველოს განათლების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე (2010 წ); ამჯერად, მას, როგორც თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების განკარგვა ევალება. იგი უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შესაბამისად, აწარმოოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები. ადმინისტრაციის უფროსი, ასევე, ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას, რომელიც, შემდეგ, დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს უნდა წარუდგინოს. იგი არის პასუხისმგებელი უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმართვასა და მის ეფექტიანობაზე. იგი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

ამ ეტაპზე, თსუ-ის ადმინისტრაციაში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, რაც 14 კვლევითი ინსტიტუტისა და 2 უმაღლესი სასწავლებლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტეგრაციის პროცესის მოგვარებას უკავშირდება. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ეს პროცესი 2010 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

თანადგომა მოქვის სახარეების გადასარჩენად

პირველი გვერდიდან

სტუდენტთა სტაჟირება, სამეცნიერო თანამშრომლობა, ერთობლივი ღონისძიებების გამართვა – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რასაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთობლივად განახორციელებენ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ყოველთვის არსებობდა მჭიდრო კავშირი. თსუ-ის არაერთი პროფესორი ამ ცენტრის თანამშრომელია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ხშირად ურთიერთობს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობაც, რაც ცენტრის ეგიდით გამართულ საქველმოქმედო აქციებში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობითაც გამოიხატება.

„ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ სრულად ვერ ვიყენებთ ერთმანეთის პოტენციალს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი ღირსება უნიკალური კოლექციაა, თსუ-ს კი კარგი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია — სწორედ ამ ღირებულებების ერთმანეთთან დაკავშირებაა აუცილებელი. გარდა ამისა, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს სტუდენტურ თვითმმართველობასთან. ვფიქრობ, რომ ერთობლივად საინტერესო საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი პროექტების, გამოფენების, აქციების განხორციელებას შევძლებთ“, — განაცხადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ.

მართლაც, სასწავლო პროცესში ცენტრის პოტენციალის გამოყენება როგორც თსუ-ის სტუდენტებისთვის, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც მეტად სასარგებლო იქნება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის კი უნიკალური კოლექციების შესანარჩუნებლად და მათი პოპულარიზაციისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საიმედო პარტნიორი უკვე გახდა, მით უფრო, რომ „მეგობართა საზოგადოების“ წევრი ალექსანდრე კვიტაშვილი ეროვნული ღირებულების კოლექციათა გადასარჩენად მუდამ მზადყოფნას გამოთქვამს.

სიახლე

დაინიშნა თსუ-ის კანცლერის მოადგილე

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილედ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ერმი ქემოკლიძე დაინიშნა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის თსუ-ში ინტეგრაციის პროცესი 1 იანვრამდე უნდა დასრულდეს. აქედან გამომდინარე, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალი მოადგილე, თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად, ორი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას ასახლებს.

„ჩვენი უპირველესი მიზანია, რომ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტეგრაცია თსუ-ში უმტკივნეულოდ განხორციელდეს, რასაც ხელს უწყობს თსუ-ის ხელმძღვანელობის კეთლგანწყობილი დამოკიდებულებაც. მიმდინარეობს მუშაობა ქონების გადაბარებაზეც. მზადდება დოკუმენტები თეუსუ-ს სტუდენტური ბაზის შესახებ. ჩემს მიერ ჩამოთვლილ საკითხთა მიმართებაში შემიძლია ვთქვა, რომ თსუ-სა და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად კონსტრუქციულად თანამშრომლობს. წლის ბოლომდე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს“, — განაცხადა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ.

ერმი ქემოკლიძე პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგია. 1975 წელს მან სწავლა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რის შემდეგაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანულ და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტში ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. 1973 წლიდან კი იგი უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად გადაიყვანეს.

1984-1986 წლებში ერმი ქემოკლძე სსრკ ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციაში უფროს ინჟინერ-კონტროლიორად მუშაობდა. ამავე წელს იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელიც გახდა. 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არაორგანული და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად გადაიყვანეს. 2003 წლიდან 2005 წლამდე იგი თბილისის საკრებულოს ენერგეტიკული კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი გახლდათ. მისი საქმიანობა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში 1988 წლიდან იწყება, სადაც 2002 წლამდე ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 2002-2003 წლებში, სასწავლო დარგში, პრორექტორი გახლდათ. თსუ-ის კანცლერის მოადგილედ დანიშვნამდე კი მას თეუსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. ერმი ქემოკლიძე 20 სამეცნიერ შრომისა და 3 საავტორო მოწმობის ავტორიცაა.

რას მოგვიტანს ელექტრონული მართვის ახალი სისტემის დანერგვა

ნატო ოზოლაძე

2011 წლის საშემოდგომო სემესტრიდან თსუ-ში ელექტრონული მართვის ახალი სისტემის NOAH-ას დანერგვა იგეგმება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციისა თუ აკადემიური პერსონალის მუშაობას მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს და მათ სტუდენტთა მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც მოუხსნის.

მართვის ახალი ელექტრონული სისტემის NOAH-ის დანერგვა სტუდენტებს საშუალებას მისცემს — სასწავლო კურსებზე, სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებზე ელექტრონულად დარეგისტრირდნენ. სისტემა ავტომატურ რეჟიმში „გეგმავს“ სტუდენტის მოთხოვნილებისამებრ მისთვის ყველაზე შესაფერის სასწავლო ცხრილს. 100 000 შესაძლო კომბინაციის ერთმანეთისთვის შედარების გზით ეს სისტემა ლექციების ჩატარების დროის დამთხვევის პრობლემასაც მოხსნის. NOAH-ას მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული ყველა სასწავლო რესურსით და საკომუნიკაციო საშუალებით. სისტემაში სასწავლო პერიოდში მათ მიერ დაგროვილი კრედიტების შესახებ ინფორმაციაც სრულად იქნება ასახული.

მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაში თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს პერ-

სონალური გვერდი ექნება, რაც მას საშუალებას მისცემს, ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით, პირდაპირი კავშირი დაამყაროს თავის სტუდენტებთან, კერძოდ, მიაწოდოს ინფორმაცია ლექციების დროის შეცვლისა თუ სალექციო კურსის შესახებ. NOAH-ას დახმარებით შესაძლებელია სტუდენტების ანონიმური გამოკითხვაც. დამტკიცებულია, რომ ახალგაზრდების მიერ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასება სწავლების სტანდარტის ამაღლებას უწყობს ხელს.

ელექტრონული მართვის ახალი სისტემა — NOAH გერმანიის ტექნიკურ უნივერსიტეტში 2005 წელს შემუშავდა. სისტემის კონცეფციის ავტორი დოქტორი კრისტენ ჰაისია, რომელიც, წლების განმავლობაში, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მუშაობდა. NOAH-ას შესახებ გერმანიისა და შვეიცარიის რეგიონული შეფასების კომისიამ სპეციალური დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ ეს სისტემა უმაღლესი სასწავლებლების აქამდე არსებულ მართვის ყველა საშუალებებზე ბევრად უკეთესი და გამართულია. თუმცა, კამპუსის ელექტრონული მართვის ახალი სისტემის დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტად იმ სახით, როგორც მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტშია, არ მოხდება. თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქამდე არსებულ მართვის სისტემასთან NOAH –ას ადაპტაცია მოხდეს, რაც სასწავლო პროცესის უფრო ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა.

„მართვის ელექტრონული პროგრამა NOAH მოაგვარებს იმ პრობლემათა უმეტესობას, რაც სტუდენტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული; გაცილებით გაამარტივებს უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ ინფორმაციის სტუდენტებისთვის გადაცემის პროცესს (თუკი სტუდენტს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით რაიმე კითხვა გაუჩნდება, პასუხის მიღება ელექტრონული ფორმით შეეძლება); პროფესორ-მასწავლებლებისთვის შესაძლებელს გახდის საჭირო ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას თავიანთ ლექციებზე დარეგისტრირებულ სტუდენტთათვის.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის უნარების გაუმჯობესებაზე ჩვენ 2009 წლიდან დავიწყეთ მუშაობა. 2011 წლის იანვრიდან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კამპუსის მართვის ახალი ელექტრონული სისტემა ტესტირების რეჟიმში უკვე გაიშვება და დღემდე არსებულ სისტემასთან ერთად პარალელურად იმუშავებს. ზაფხულის პერიოდი კი საშუალებას მოგვცემს, ყველა ხარვეზი გამოვასწოროთ და სისტემა საბოლოოდ გავმართოთ“, — განაცხადა თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ.

მართვის სისტემის NOAH–ას შესახებ ინფორმაცია თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის უკვე ცნობილია. ერთი კვირის განმავლობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის თანამშრომლებისგან, თსუ-ის ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შედგენილ ჯგუფებს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ. ყველა მათგანს სასწავლო სისტემის მართვაში სხვადასხვა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ, ამიტომ NOAH–ას შესახებ მათთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება ახალი სისტემის წარმატებით ამუშავებას შეუწყობს ხელს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული მართვის ახალი სისტემის NOAH-ას დანერგვა პროექტის „თსუ-ის მართვის უნარების გაუმჯობესების“ ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით ხორციელდება.

ელექტრონული სწავლება თსუ-ში

შურთხია ბეროშვილი

ელექტრონული სწავლების ფორმა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციული სწავლების მეთოდის პარალელურად ინერგება, შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს — აიმაღლონ ცოდნის ხარისხი და ამ მიმართულებით მეტი ინფორმაცია მოიპოვონ. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისთვის საჭიროა იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც უკვე დანერგილია მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე, აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა.

ამ მიზნით თსუ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ერთად ახორციელებს საერთაშორისო პროექტს — „უმაღლესი განათლების დარგში ელექტრონული სწავლების გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ესტონეთსა და საქართველოს შორის“. პროგრამის მიზანია თსუ-ში, გორის უნივერსიტეტში, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების სისტემისა და მეთოდოლოგიის დანერგვა-განვითარება.

პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში 1-14 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტების ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები ერთკვირიანი ვიზიტით ეწვივნენ ესტონეთის წამყვან უნივერსიტეტებს (ტალინი, ტარტუ, ჰააპსალუ). ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შედგა ესტონეთის განათლების სამინისტროსა და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან. 29 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე კი ესტონელი კოლეგები ქართულ უნივერსიტეტებს ეწვივნენ. ისინი განათლების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ელექტრონული სწავლების ექსპერტებს შეხვდნენ. ესტონეთის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები 29 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ესტუმრნენ და ესაუბრნენ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ალექსანდრე კვიტაშვილსა და პროფესორ-მასწავლებლებს. თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეა გერგედავას ინფორმაციით, შეხვედრა, ძირითადად, პროექტის მიმოხილვას შეეხო.

„თსუ-ში ესტონეთის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ დაიგეგმა სამომავლო სამოქმედო გეგმა ელექტრონული სწავლების დანერგვის კუთხით, კერძოდ, დაინტერესებული აუდიტორიისათვის ელექტრონული სწავლების პრეზენტაციებისა და ტრენინგების ორგანიზება; ასევე, დაიგეგმა ამ მიმართულებით ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ახალი პერსპექტივები“, — აღნიშნა თეა გერგედავამ.

აქცენტი

რატომ რჩება ფრანგული გრანტი გამოუყენებელი?

ნატო ოზოლაძე

უკვე მესამე წელია, რაც თსუ-ის ბაზაზე ინფორმატიკის ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი არსებობს, რომლის კურსდამთავრებულები ვერსალ სენ-კანტენისა და თსუ-ის დიპლომებს იღებენ. ახალი წლიდან კი ინსტიტუტი საფრანგეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტებული უმაღლესი განათლების დიპლომების გაცემას დაიწყებს. ამ დიპლომის მფლობელ თსუ-ის სტუდენტებს ევროპის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისთვის რეალური პერსპექტივა ექნებათ.

ფრანგული მხარის რეკომენდაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც ამოქმედდა. ამ მიმართულებით საფრანგეთის საელჩო საქართველოში თსუ-სთან თანამშრომლობას აქტიურად აპირებს. იგეგმება სტუდენტებისთვის ფრანგული ენის ინტენსიური კურსის დაწყება და, ფრანგულ უნივერსიტეტებთან ერთად, ორმაგი დიპლომის გაცემისათვის შესაფერისი ბაზის მომზადებაც. ფრანგი დიპლომატები დაინტერესებულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლების გაძლიერებითა და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებით.

მე-5 გვერდზე

„ილუმინატორი“ ბიზნეს-ოლიმპიადის გამარჯვებულია

საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანათაგან, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამ სფეროთი დაინტერესება სახელმწიფოს დასაქმების პრობლემასაც მეტ-ნაკლებად მოუხსნის. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბიზნესის საწარმოებლად სპეციალისტთა მომზადება, რომლებიც საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების პროცესში თავის სიტყვას იტყვიან. ამ მიმართულებით თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აქტიურად მუშაობს და მაქსიმალურად ცდილობს — საქართველოს მაღალკვალიფიციური ეკონომისტები და ბიზნესმენები გაუზარდოს.

თამარ დადიანი

ამას ადასტურებს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამართული ბიზნეს-ოლიმპიადა, რომელშიც ფაკულტეტის სტუდენტებით დაკომპლექტებული 53 გუნდი მონაწილეობდა. თითოეული გუნდი 10 წევრისგან შედგებოდა. კონკურსის პირველ ტურში შერჩეულ გუნდებს დაევალათ თავიანთი არჩეული თემატიკის მიხედვით გაეკეთებინათ 10 წუთიანი პრეზენტაცია. შეირჩა 12 საუკეთესო გუნდი, რომლებიც ბიზნეს-ოლიმპიადის **პროექტის მიმდინარეობაში** ჩაერთვნენ.

პროექტის იდეა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად კი თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწეს გიორგი გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და პროფესურის ორგანიზებით შემუშავდა პროექტი, რომელიც **ინოვაციურია და, თავ**ისი მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება, წარმატებულად ჩაითვალოს. მისი **ორგანი**ზატორობა **იტვირთეს ეკონომიკისა და ბი**ზნესის ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბთან“ ერთად და „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდმა“.

პროექტისთვის სტუდენტებმა და პროფესურამ ერთობლივად შეარჩია საინტერესო და აქტუალური თემატიკა: განათლება; ტრანსპორტი; სოფლის მეურნეობა; ტურიზმი; ენერგეტიკა; ინფრასტრუქტურა; დასაქმების პრობლემები საქართველოში; დემოგრაფია; მრეწველობა; ბიზნეს გარემოს ანალიზი; საფინანსო განვითარების ხარისხი; სოციალური პოლიტიკა; ფისკალური, მონეტარული და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი; მედია მენეჯმენტი; სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა.

ბიზნეს-ოლიმპიადაზე წარმოდგენილი პროექტები შეაფასა ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებისგან შემდგარმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თსუ-ის სრული პროფესორები: ელენე ხარაბაძე, ნოდარ ხადური, სიმონ გელაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, მაია მარგველაშვილი და ასოცირებული პროფესორები: ეკა ლეკაშვილი, ნაზირა კაკულია და ინეზა გაგნიძე.

ბიზნეს-ოლიმპიადა სამ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი, ანუ შესარჩევი ტური 2009 წლის 18 ნოემბერს გაიმართა. მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მიიღეს გუნდებმა: „ილუმინატორი“, „ობიექტივი“, „DUCHE“, „Elite-Energy“, „Ceteris paribus“, „მერანი“, „21 გრამი“, „Need For Money“, „VS უმუშ€რობა“, „FBI“, „მე-9 ბლოკი“ და „Just do it“. ხოლო საბოლოო, ანუ მესამე ეტაპზე გასული გუნდებიდან („ილუმინატორი“, „ობიექტივი“, „DUCHE“, „Elite-Energy“, „Ceteris paribus“) **გაიმარჯვა ეკონომიკისა და ბიზ**ნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებისგან შემდგარმა გუნდმა „ილუმინატორი“, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ **ასოცირებული პროფესორი — ნინო პაპაჩაშვილი. გა**მარჯვებული პროექტის თემა იყო: „უმაღლესი განათლების სისტემის კლასტერი და მისი როლი ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში“. ეს თემა აქტუალური იყო იმდენად, რამდენადაც საგანმანათლებლო პოლიტიკა, დღესდღეობით, წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

დასკვნით ტურში გუნდებს, ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის მასშტაბით, ეკონომიკის დარგის განვითარების შესაძლებლობების სვოტ-ანალიზი, დარგის კლასტერის აგება, დარგის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის ფორმირება, ეფექტიანი რეგიონული კავშირების ჩამოყალიბების შესაძლებლობის ანალიზი ევალებოდათ.

ბიზნეს-ოლიმპიადის ჟიურის წევრი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი **ეთერ ხარაიშვი**ლი ოლიმპიადის მნიშვნელობას ხაზს უსვამს და აცხადებს: „თანამედროვე განათლება პრობლემის დასმისა და მისი გადაწყვეტის მოძებნის გზით ვითარდება. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, დიდი როლი შეასრულა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარებულმა **ბიზნეს-ოლიმპიადამ. სტუ**დენტებმა აჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ ეკონომიკური პრობლემების გამოკვეთა-შეფასება და ფაქტების ანალიზით ლოგიკური გადაწყვეტილებების მიღება. მინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვთქვა **სტუდენტური თვითმმართვე**ლობისა და „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის“ მიმართ. მათი ხელმძღვანელობით ჩატარებული ოლიმპიადა მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, გუნდების მიერ წარმოდგენილი პროექტების შეფასების კრიტერიუმები სრულად ასახავდა **მოთხ**ოვნებს, დაცული იყო გამჭვირვალობის პრინციპიც“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის გიორგი მესხორაძის აზრით, გუნდურ პროექტებში მონაწილეობა **საუკე**თესო საშუალებაა, სასწავლო პროცესის პარალელურად, შემეცნებითი თუ კვლევითი უნარ-ჩვევების **დაუფლებისთვის, მენეჯე**რული პრაქტიკის გავლისა და პროფესიული მომზადებისათვის. ასეთი სახის ღონისძიებები სტუდენტს უფრო აქტიურსა და ცოდნაზე ორიენტირებულს ხდის.

ბიზნეს-ოლიმპიადის III ეტაპი (დასკვნითი ტური) 27 ნოემბერს გაიმართა. მასში გამარჯვებული გუნდი — „ილუმინატორი“ 1000 ლარით დაჯილდოვდა, ხოლო გუნდის წევრებს სერტიფიკატები გადაეცათ.

მომავალი მეცნიერი

მაია ტორაძე

ნიკოლოზ ფირცხალავას თითქმის ყოველი დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსვლით იწყება და „დინამოს“ საფეხბურთო მოედანზე თამაშით მთავრდება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი დღის პირველ ნახევარს აუდიტორიაში, ლექციებსა და ლაბორატორიებში ატარებს, შემდეგ კი საყვარელ სპორტის სახეობაში ვარჯიშობს. იგი იმ ნიშნით გამოვარჩიეთ, რომ მაგისტრატურის პირველივე კურსიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩაერთო. ნიკოლოზი პროფესორ გიორგი ჩაგელიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს შიდაგრავიტაციული ტალღების ევოლუციის საკითხებზე და ფიქრობს, რომ დოქტორანტურაშიც ამ მიმართულებით გააგრძელებს კვლევას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი განათლების რეფორმის შესაბამისად და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ჩამოყალიბების პროცესს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს რეგიონში წამყვანი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სახელს. ამ კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაგისტრანტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რადგანაც, სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მათი სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბება და მომავალი კვლევებისთვის მომზადება.

ნიკოლოზ ფირცხალავა მხოლოდ ახლა იწყებს „ჩაღრმავებას“ პლაზმურ ფიზიკაში და შიდაგრავიტაციული ტალღების ევოლუციას სწავლობს. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, მისი საქმიანობა, ამ ეტაპზე, ფორმულებთან და რიცხვით თვლებთანაა დაკავშირებული და, თეორიული ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე, ბაკალავრიატის სტუდენტ დავით ჩაგელიშვილთან ერთად მუშაობს.

ის ფაქტი, რომ მაგისტრატურის პირველი კურსიდანვე მიეცა სამეცნიერო კვლევაში ჩართვის საშუალება, ნიკოლოზს მომავალი სამეცნიერო მუშაობის სტიმულსაც აძლევს. მისი თქმით, კარგია, როცა სტუდენტს ცოდნის რეალიზების საშუალება აქვს და, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, სიღრმისეულად სწავლობს საკითხს.

„მიმაჩნია, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ადამიანს იმ დონის ცოდნას აძლევს, რომ სხვა სფეროშიც ადვილად მოიკიდებს ფეხს, მაგრამ მე, პირადად, ვაპირებ — ჩემი მომავალი მეცნიერებას დავუკავშირო, ამიტომაც დრო, ფაქტობრივად, არ მაქვს. ვსწავლობ, ვვარჯიშობ და თავისუფალ დროს სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას ვუთმობ“, — განაცხადა ნიკოლოზ ფირცხლავამ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲐ ᲮᲔᲠᲮᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ

ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის პრობლემა უნივერსიტეტში გამოკვეთილად ნამდვილად არ დგას, თუმცა კულუარულად მაინც საუბრობენ მათ შორის კომუნიკაციის ნაკლებობაზე, რაც, ზოგჯერ, სწავლების პროცესსაც ხელს უშლის. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორები მზად არიან მრგვალ მაგიდასთან იმსჯელონ ამ საკითხზე და გარკვეული რეკომენდაციები დადონ სწავლების პროცესში მონაწილე პირთათვის. ამ თემაზე ვესაუბრეთ ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორს ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔᲡ, *რომელიც უნივერსიტეტში პიროვნების ფსიქოლოგიას ასწავლის.*

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

— როგორ გესახებათ უნივერსიტეტში ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის პრობლემის გადაჭრა, თუ, რა თქმა უნდა, ეს საკითხი დღის წესრიგში დგას?

— ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ლექტორზე, როდესაც სტუდენტი აუდიტორიაში შემოდის და ლექტორი მას იღებს. ლექტორმა სტუდენტი უნდა „გახსნას“ და ღია ურთიერთობისთვის უნდა განაწყოს. განსაკუთრებით საფრთხილოა პირველკურსელებთან დამოკიდებულება. ისინი ყოველთვის დიდი ინტერესით მოდიან უნივერსიტეტში ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყებად. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი პირველი შთაბეჭდილებები... მათ, მთავარია, იმედები არ გავუცრუოთ და გავამართლოთ ის მოლოდინი, რაც აქვთ. ამისთვის, პირველ რიგში, ორგანიზაციული მხარე უნდა იყოს მოწესრიგებული, ლექციისადმი კეთილგანწყობის შესაქმნელად კი მათ ისეთი თემები უნდა შევთავაზოთ, რაც მეტად განსხვავდება იმისგან, რასაც სკოლაში ისმენდნენ. როცა ბავშვი სკოლას ამთავრებს, ამით უკან იტოვებს ერთ საფეხურს და შემოდის უნივერსიტეტში, სადაც ლექტორმა უნდა შეაყვაროს ახალი სიტუაცია და გარემო. მან უნდა იგრძნოს, თუ რა მიმართულებით გრძელდება მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი.

— საინტერესოა, რამდენად უჭირთ სტუდენტებს ადაპტაცია და თავის დამკვიდრება ამ გარემოში?

— ბოლო წლების მანძილზე მათ განსაკუთრებით უჭირთ თავის დამკვიდრება საუნივერსიტეტო სივრცეში, რადგან სტუდენტებისთვის ცოტა რთული აღმოჩნდა საგნების არჩევითი სისტემის შემოღება. მართალია, ტუტორების ინსტიტუტი მათ, ხშირად, სწორი მიმართულებით აკვალიანებს, მაგრამ სტუდენტებს, გარკვეულწილად, მაინც უჭირთ საჭირო საგნების შერჩევა, ანუ რას ნიშნავს არჩევითი საგანი და რას — სავალდებულო, ამაში ნაკლებად ერკვევიან.

ადრე, როდესაც შედარებით პატარა ჯგუფები იყო, მაშინ პრობლემები არც იგრძნობოდა. ყველამ იცოდა რომელ აუდიტორიაში უტარდებოდა ლექცია და ყველანი გამოკრული ცხრილის მიხედვით მოქმედებდნენ. ამჯერად კი სტუდენტები სიახლეს ცოტა შიშით ეკიდებიან, თუმცა, დროთა განმავლობაში, ეს პროცესიც დარეგულირდება.

ჩემი აზრით, სიტუაციას ართულებს 100-120 კაციანი ჯგუფები, რომელთათვისაც ლექციების კითხვა არ არის პროდუქტიული. შეუძლებელია, ასევე, ინტერაქტიული პროცესის

წარმართვაც. მიმაჩნია, რომ კომუნიკაცია აუცილებლად უნდა დამყარდეს თითოეულ სტუდენტთან, რისთვისაც პატარა ჯგუფებია საჭირო.

ამჯერად 100 კაციანი აუდიტორია იყოფა 4 ჯგუფად, სემინარებს მათ სხვადასხვა ლექტორი უტარებს. ჩემი აზრით, ლექციის წაკითხვას და სემინარის ჩატარებას ერთი და იგივე პროფესორი უნდა უზრუნველყოფდეს. რატომღაც ითვლება, რომ სემინარი მეორეხარისხოვანია, არადა, სწორედ სემინარზეა შესაძლებელი უფრო მეტი კომუნიკაციის დამყარება სტუდენტთან.

— თქვენი აზრით, როგორი თაობა მოდის? სცემენ თუ არა სტუდენტები პატივს ლექტორებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ლექციაზე მაქსიმალურად დააინტერესონ ისინი შერჩეული თემით?

— ვატყობ, რომ უნივერსიტეტში ძალიან კარგი თაობა მოვიდა. ისინი, ცოდნის დაუფლების თვალსაზრისით მეტად მონდომებული არიან, რაც კიდევ, უფრო მეტ სტიმულს გაძლევს, რომ რაც შეიძლება მეტი მისცე მათ. დღევანდელი თაობა მოტივირებულია ის ცოდნა მიიღოს, რაც დასაქმებისთვის გამოადგება. მათ პრაგმატულ მოსაზრებას ჩვენ პატივი უნდა ვცეთ და

მათი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. თუ სტუდენტი არ არის მოწადინებული — ცოდნა შეიძინოს და, თუ არაფერს აკეთებს, ეს ლექტორის ბრალია.

— დასწრების დონე როგორია? ხშირად აცდენენ სტუდენტები ლექციებს?

— სამწუხაროდ, ლექციებს ზოგჯერ აცდენენ. 100%-იანი დასწრება არასოდეს არის, მაგრამ ამის გამო ლექცია არ ჩაშლილა. იმას კი აშკარად ვხედავ, რომ სტუდენტებს მუშაობა უნდათ. უნივერსიტეტში სწავლა რთულია, რადგან სამეცნიერო საკითხებს ეხები (ეს ხომ არ არის ბელეტრისტიკა). ამიტომ მათ უნდა დაანახო, რომ შენთან ერთად მუშაობენ და კარგად უნდა აუხსნა, რატომ გიყვარს შენ ეს მეცნიერება, ეს დარგი...

— ყურადღების კონცენტრაციისთვის რამდენად აუცილებელია ლექციის პოპულარულ ენაზე წაკითხვა?

— პოპულარულ ენაზე ლექციის კითხვა, ჩვენს ენაზე, გულისხმობს საინტერესო მაგალითების მოყვანას, რაც, მართლაც, აუცილებელია სტუდენტთა მობილიზებისთვის. ამავე დროს, ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის კანონზომიერებაც, რაც არსებობს: სტუდენტი ლექციის საწყის ეტაპს უკეთესად აღიქვამს, შემდეგ კი ოდნავ დუნდება. ამიტომ ლექტორმა მთავარი საკითხები ლექციის დასაწყისშივე უნდა განიხილოს. ანუ უნდა ვიცოდეთ, რომ სტუდენტს დილით უკეთესად შეუძლია ლექციის მოსმენაც და საკითხების დამახსოვრებაც, ვიდრე შუადღეს. ასე რომ, ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

— როდესაც სტუდენტურ ჯგუფებს, პირობითად, გამორჩეული ლიდერი ჰყავთ, ეს პრობლემას ხომ არ ქმნის სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტები შეიძლება ლიდერად გამოკვეთილ ტიპაჟს უფრო მეტად დაემორჩილონ, ვიდრე ლექტორს?

— საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სტუდენტთა შორის გამოკვეთილი ლიდერის დაუმორჩილებლობის არავითარი მაგალითი არ მაქვს. არიან სტუდენტები, რომელთაც სურთ განსაკუთრებით თავის გამოჩენა და მცირე ჯგუფების მართვა, მაგრამ ეს უნივერსიტეტში პრობლემად ჯერ არ ქცეულა. თუ არსებობს ძალაუფლების ხიბლით შეპყრობილი სტუდენტი, ლექტორმა მისი ამბიციურობის მიზეზი უნდა დაადგინოს — რატომ იქცევა ასე? უმეტეს შემთხვევაში ასეთ ახალგაზრდებს თვითდამკვიდრების მიზანი ამოძრავებთ, თუმცა ამგვარი ხასიათის გამოვლენა, ხშირად, სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებშია უფრო მოსალოდნელი.

— თქვენ, როგორც ფსიქოლოგს, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ფსიქოლოგების წრეში სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციის პრობლემაზე მსჯელობა მრგვალ მაგიდასთან?

— ამ საკითხზე მსჯელობა აუცილებელია. ყველა ლექტორი ფსიქოლოგი ხომ არ გახლავთ, ზოგიერთი მათგანი ძალიან ახალგაზრდაცაა და ვფიქრობ, რომ ისინი სიამოვნებით გაიზიარებენ ფსიქოლოგების გამოცდილებას. სტუდენტს მხოლოდ ცოდნას ხომ არ გადავცემთ, მას მოქალაქის უნარ-ჩვევები თუ გარკვეული ღირებულებები ჩვენ უნდა ჩამოვუყალიბოთ — ამისთვის საჭიროა ჯანსაღი კომუნიკაცია მასთან, როგორც პიროვნებასთან. შესაბამისი ურთიერთობისა და დამოკიდებულების გამომჟღავნება ფსიქოლოგი ლექტორის მხრიდან გაცილებით მარტივია, ვიდრე სხვა პროფესიის ლექტორისთვის. ჯერჯერობით უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესურისთვის არავის მოუმართავს, რომ აღნიშნულ საკითხზე გვემსჯელა და სხვა ლექტორებისთვის ჩვენი გამოცდილების გაზიარება საჭირო გამხდარიყო. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენი რესურსის გამოყენება, ამ მხრივ, მხოლოდ წაადგებოდა უნივერსიტეტს. უნდა ჩატარდეს კვლევა — თუ რა სჭირდებათ სტუდენტებს და რა — ლექტორებს? ანალიზის შედეგად, შესაძლოა, გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება და, საჭიროების შემთხვევაში, ტრენინგების ჩატარებაც.

— მას შემდეგ, რაც საგნების თავისუფალი არჩევის სისტემა დაინერგა, სტუდენტები ლექტორებსაც ირჩევენ. ამის გამო ზოგიერთი ლექტორი, შეიძლება, ნაკლებად დატვირთული აღმოჩნდეს. ხომ არ არის ისეთი შემთხვევაც, რომ ზოგმა გარიყულადაც კი იგრძნოს თავი?

— სწორედ ამიტომ არის საჭირო ანალიზი და გარკვეული სახის რეკომენდაციების შემუშავება, რომ ლექტორს სტუდენტთან კომუნიკაციის პრობლემა მაინც არ ჰქონდეს. ზოგიერთი არ თვლის, რომ სტუდენტს ისევე უნდა მოექცეს, როგორც თავის ტოლს, როგორც კოლეგას — ზოგ შემთხვევაში ასეა საჭირო, ზოგჯერ კი მართლაც დისტანციაა აუცილებელი. ამ ყოველივეს განსაზღვრის უნარი ყველას უნდა ჰქონდეს.

რამდენიმე ხნის წინ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილ პრობლემურ საკითხებზე სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლექტორებმა და სტუდენტებმა. გამოკითხვის შედეგებისა ლექტორს არ უნდა ეშინოდეს. პირიქით, ამ კითხვარის შევსებულ ვარიანტს კარგად უნდა ჩაუღრმავდეს და უნდა შეეცადოს დამოკიდებულებების კორექციას. ვფიქრობ, ხშირად უნდა ჩატარდეს ასეთი გამოკითხვები — იგვიანებს თუ არა ლექტორი ლექციაზე? რამდენად ფლობს საგანს, რომელსაც კითხულობს? რამდენად აქვს გადმოცემის უნარი? რამდენად კომუნიკაბელურია სტუდენტთან და ა.შ. ამ კითხვარზე პასუხების ანალიზი და მისი შედეგების პროფესურისთვის მიწოდება აუცილებელია, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდეს ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც სტუდენტს ყველა ასპექტით მიიზიდავს — იქნება ეს სწავლის შედარებით ნაკლები გადასახადი, საინტერესო და დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები თუ სტუდენტის აღზრდისთვის ყველა მხრივ მომზადებული ლექტორები.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ?

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ამ დროისთვის ეკოლოგიის მიმართულებაზე 60 სტუდენტია ჩაწერილი, ორჯერ მეტია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც ამ სასწავლო კურსს ისმენს. ვაპირებთ 16 კაციანი ჯგუფისთვის ფრანგული ენის სწავლების ინტენსიური კურსის დაწყებას, რათა მათ ფრანგული ენის შესწავლისათვის კარგი საფუძველი შევუქმნათ. რაც მთავარია, ამ კუთხით, ახალგაზრდები მოტივირებულნი არიან და ამდენად არის სასიამოვნო მათთან მუშაობა. ენის შესწავლა 15 იანვრიდან დაიწყება და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება — ეს ჩემი ინიციატივა გახლავთ... დაფინანსების წყაროს მოძიება იმდენად ძნელია, რომ გადავწყვიტე — სტუდენტებისთვის ფრანგული ენა თავად მესწავლებინა. ამ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ აქტიურ ახალგაზრდებს, გაცვლითი სასწავლო პროგრამების მეშვეობით, საფრანგეთში გავგზავნით. ჩვენთვის უკეთესია 5-6 უკეთ მომზადებული სტუდენტის გაგზავნა, ვიდრე ამ პროგრამებში ფრანგულ ენას ნაკლებად დაუფლებული ახალგაზრდის ჩართვა.

ყველანაირად ვცდილობთ ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესებას. გასულ წელს ტემპუსის დაფინანსების მოსაპოვებლად სპეციალური პროექტიც მოვამზადეთ. მართალია, კონკურსში ვერ გავედით, მაგრამ, სამაგიეროდ, ვიპოვეთ პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნებიდან: საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან. ავსტრიის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბლუმი ეკოლოგიის პროგრამის თანახელმძღვანელია. დაფინანსების მოპოვების მიზნით, წელსაც ვაპირებთ განაცხადის გაკეთებას ტემპუსის პროგრამისთვის, რაზეც ფაკულტეტი უკვე მუშაობს. საინტერესო გეგმები გვაქვს საფრანგეთთან მიმართებაშიც, კერძოდ, მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი მარკ აბადი გაზაფხულის სემესტრში ჩვენს სტუდენტებს ვიდეოხიდით სალექციო კურსს წაუკითხავს თემაზე: „პოლიმერებით გარემოს დაბინძურების საკითხები“. პროფესორი მარკ აბადი, საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით, გაზაფხულზე ხანმოკლე ვიზიტით ჩამოვა უნივერსიტეტში სტუდენტებთან სემინარების გასამართად“, — აღნიშნა ეკოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა ვაჟა ცხოვრებაშვილმა.

საქართველოში საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და თსუ-ის ინფორმატიკის ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა უკვე წლებია გრძელდება, რასაც ხელს უწყობს ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოც. გასულ წელს სააგენტოს ექსპერტებმა ინფორმატიკის ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტში არსებული ვითარება შეაფასეს და ადმინისტრაციას მაგისტრატურის შექმნის რეკომენდაცია მისცეს. ინფორმატიკის ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის მუშაობით დაინტერესებულია საქართველოში საფრანგეთის საელჩოც, რაც ელჩის თსუ-ში სტუმრობის ერთ-ერთი საფუძველი გახლდათ.

„საფრანგეთის საელჩოსა და ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ის, რომ ფრანგულ ენაზე გაუწიოს მეცნიერებას პროპაგანდა, გამოყოს სტიპენდიები, მოაწყოს ტრენინგები... საფრანგეთის საელჩო ყოველ წელს, სტიპენდიის სახით, გვაფინანსებს, რომლის მეშვეობითაც ჩვენს საუკეთესო სტუდენტებს საფრანგეთის უნივერსიტეტების მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შანსი ეძლევათ. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან თსუ-ის კურსდამთავრებულები საფრანგეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აღიარებულ დიპლომსაც მიიღებენ,“ — განაცხადა ინფორმატიკის ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა არჩილ ელიზბარაშვილმა.

საფრანგეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს იმ ქვეყნებს შორის, სადაც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველ წელს ფრანგული მხარე 200-300 ათასი ევროს ოდენობის გრანტს აგზავნის ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, თუმცა, იმ მიზეზით, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების უმეტესობა ფრანგულ ენას შესაბამის დონეზე ვერ ფლობს, გრანტი გამოუყენებელი რჩება. საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზანი, სწორედ, ფრანგული ენის სწავლების გაძლიერებაა.

თსუ-ის ინფორმატიკის ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულებაზე არსებული ვითარების გასაცნობად საფრანგეთის ელჩი საქართველოში, ბატონი ერიკ ფურნიე თსუ-ს ეწვია. მან თსუ-ის ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს, ზუსტი მეცნიერებების მიმართულებით, სასწავლო სისტემის გაუმჯობესების პროცესში დახმარება აღუთქვა.

როგორ გამოვიყენოთ წიაღისეული კომერციული მიზნებისთვის

ადამიანმა განვითარება წიაღისეულთან ურთიერთობით დაიწყო. სწორედ ამ ურთიერთობის შესაბამისად გამოყოფენ მეცნიერები საზოგადოების განვითარების ეტაპებს, რომლებსაც ქვის, ბრინჯაოს, რკინის, ნავთობის და სხვ. ხანას უწოდებენ. თუ ამ გადასახედიდან განვიხილავთ, გამოდის, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორია, პრაქტიკულად, წიაღთან ურთიერთობის ისტორიაა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე გეოლოგია, როგორც მეცნიერება, სულ რაღაც 200 წელს ითვლის და დღეს, სხვა ფუნდამენტალური მეცნიერებების და ტექნოლოგიების კვალდაკვალ, ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება.

დღეისათვის მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში სასარგებლო წიაღისეული ყველაზე დიდ კაპიტალად მიიჩნევა და, უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფო საკუთრებაშია. აქედან გამომდინარე, გეოლოგია მნიშვნელოვან სამეცნიერო მიმართულებად ითვლება, რადგანაც იმის ცოდნა, თუ რა სიმდიდრეს ფლობს ქვეყანა, სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების ცოდნასაც განაპირობებს. ექსპერტების აზრით, ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უნდა არსებობდეს ზუსტი ანალიზი იმისა, თუ რა ქონებას ვფლობთ, რა წიაღისეულს მოვიპოვებთ და რისი მოპოვების შესაძლებლობები გაგვაჩნია.

მაია ტორაძე

კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ისტორიულად უმდიდრეს სამთო რეგიონად მიიჩნევა, რადგანაც აქ წიაღისეულის (მაგალითად, ბრინჯაოს კომპონენტების და ოქროს) მოპოვებისა და დამუშავების ისტორია ათასწლეულებს ითვლის და თემური წყობილების, მოგვიანებით კი სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება. ამრიგად, არსებობდა იმის საბაბი და წინაპირობები, რომ გეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, XX საუკუნის დასაწყისში ცალკე მიმართულებად გამოყოფილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც, შემდგომში, ამ ბრწყინვალე სკოლას საფუძველი პროფესორმა ალექსანდრე ჯანელიძემ და მისმა თანამიმდევრებმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ და კალისტრატე გაბუნიამ ჩაუყარეს.

დღეს, სასარგებლო წიაღისეულის საკითხებზე საქართველოში არაერთი სამეცნიერო ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორისაა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოლოგიის და სხვა ინსტიტუტები, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები.

რა სასარგებლო წიაღისეულს ფლობს საქართველო, რას მოვიპოვებთ და კიდევ რა საბადოების არსებობის პერსპექტივები გაგვაჩნია? — ამ კითხვებით მივმართეთ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეულ ლექტორს არჩილ მაღალაშვილს:

— ბატონო არჩილ, რა სიმდიდრეს ფლობს საქართველო, რა სახის წიაღისეულს მოვიპოვებთ დღეს და არის თუ არა ეს ის რაოდენობა, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერპექტივისთვის მნიშვნელოვანია?

— საქართველოში, დღეის მდგომარეობით, ამა თუ იმ რაოდენობით გაგვაჩნია პრაქტიკულად ყველა ძირითადი სახის წიაღისეული (ლითონური, არალითონური, ენერგეტიკული, აგრონომიული და სხვ.), რადიოაქტიული ნივთიერებების გარდა, რაც გარკვეულ საწარმოო ინტერესს წარმოადგენს. გვაქვს მადნეული წიაღისეულის საკმაოდ ფართო სპექტრი, დაწყებული ძვირფასი ლითონებიდან – ოქროდან დასრულებული სხვადასხვა სანახელაო თუ მოსაპირკეთებელი ქვებით. ოქროს, ჯერჯერობით, მხოლოდ კაზრეთსა და საყდრისში მოვიპოვებთ. სხვათა შორის, ოქროს მომპოვებელი ქვეყანა მსოფლიოში სულ რამდენიმეა. მათ შორისაა საქართველოც, სადაც ეს ძვირფასი ლითონი, უძველესი დროიდან მოიპოვებოდა — გავიხსენოთ მითი არგონავტებზე... ჩვენში, ოქრო, დღეს, ძირითადად, კომპლექსურ მადნებში მომყოლი სახით გვხვდება. იგი არის, ასევე ე.წ. „მეორად კვარციტებში“ საიდანაც მისი გამოტუტვა სპეციალური ტექნოლოგიით ხორციელდება. გარდა „კვარციტებისა“, ოქრო დაკავშირებულია სპილენძის მადნებთანაც. ასე რომ, საქართველოში არსებობს მთელი რიგი საბადოები, რომელთაგან ამგვარი - მინარევი ოქროს მოპოვების პერსპექტივა არსებობს.

გარდა ამისა, ტყიბულში მოვიპოვებთ ქვანახშირს, ჭიათურაში — მანგანუმს, რაჭაში — დარიშხანს... თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ გავუშვით ხელიდან დრო, როცა ზესუფთა დარიშხანზე დიდი მოთხოვნა არსებობდა... წიაღისეულში შედის მინერალური წყლებიც: ბორჯომი, ნაბეღლავი, ზვარე და უამრავი სხვა, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, წიაღისეულის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ახალ შესწავლას მოითხოვს. ის კონცეფციები და მეცნიერული საფუძვლები, რასაც საბჭოთა პერიოდში წიაღისეულის ძებნა-ძიება ემყარებოდა, მოძველდა და გარკვეულ რევიზიას საჭიროებს. შეიძლება ითქვას, რომ, საქართველოში საბადოთა უმრავლესობა გარკვეული თვალსაზრისით, შემთხვევით, მყარი მეცნიერული საფუძვლების გარეშეა აღმოჩენილი. არადა, კავკასია უნიკალური მხარეა იმ თვალსაზრისითაც, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე წიაღისეულის ფრიად ფართო სპექტრი გვაქვს: საწვავი წიაღისეულის უმდიდრესი მარაგები, რომლის გარკვეული ნაწილი ჩვენთანაც არის; ლითონური, სამშენებლო თუ მოსაპირკეთებელი წიაღისეული, რომელშიც შედის შავი, ფერადი, ძვირფასი და იშვიათი ლითონები და ა.შ.

— რაც ჩამოთვალეთ, ეს უკვე ცნობილი საბადოებია და მათზე წიაღისეულის მოპოვება წლებია მიმდინარეობს. თქვენ ბრძანებთ, რომ გვაქვს სხვა წიაღისეულის მოპოვების პერსპექტივაც. კონკრეტულად რომელ ბუნებრივ სიმდიდრეზე მიანიშნებთ? რა გვაქვს და რას არ მოვიპოვებთ?

— საქმე იმაშია, რომ არა მარტო სხვა ტიპის, არამედ ჩვენში უკვე ცნობილი წიაღისეულის მარაგების გაზრდაა მოსალოდნელი. ძალიან საინტერესო პოტენცია გვაქვს ოქროსა და ისეთი ტიპის მადნებთან დაკავშირებით, რომელიც კაზრეთში მოიპოვება. ჩემი აზრით, იქ მარაგების ზრდის სერიოზული პერსპექტივა არსებობს. ასევე გვაქვს პოლიმეტალური მადნების მარაგის ზრდის პერსპექტივა აჭარაში, სპილენძის მადნებისა — კახეთსა და კავკასიონის სამხრეთ ფერდობის სხვა ადგილებში. ასევე საინტერესო პერსპექტივაა ვოლფრამის და სხვა მადნების თვალსაზრისითაც, რასაც დამატებითი შესწავლა სჭირდება.

— რას ეყრდნობა ეს მონაცემები?

— ეს მონაცემები ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებული მთელი რიგი ნიშნების – ე.წ. „საძიებო კრიტერიუმების“ არსებობას, რასაც შემდგომი შესწავლა სჭირდება. გეოლოგიური ძებნა-ძიება არ არის ადვილი. ადრე ასეთ საძიებო სამუშაოები ხუთწლედური დაგეგმარების მიხედვით ხდებოდა. გეგმიურად ეწყობოდა საძიებო და სადაზვერვო ექსპედიციები და, მეცნიერული დასაბუთების დამტკიცება-არდამტკიცებას წლები სჭირდებოდა. 80-იანი წლებიდან დაიწყო ახალი გეოლოგიური პარადიგმის შემუშავება. სხვათა შორის, ამ ახალმა შეხედულებებმა, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, ერთ-ერთმა პირველმა საქართველოში მოიკიდა ფეხი და საფუძველი მთელი რიგი ახალი გეოლოგიური საძიებო კრიტერიუმების შემუშავებას მისცა. მაგრამ გეგმიური ეკონომიკის, სხვა ობიექტური და რიგ შემთხვევაში სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ახალი შეხედულებების პრაქტიკაში გამოცდა მთელ რიგ შემთხვევაში ვერ მოხერხდა. შემდეგ საბჭოთა კავშირიც დაინგრა და დიდი საძიებო გეოლოგიური სამუშაოების დაფინანსებაც პრაქტიკულად შეწყდა.

მას შემდეგ, საქართველოს წიაღის გეოლოგიურ შესწავლა პრაქტიკულად არ დაფინანსებულა. ის დაფინანსება, რაც 90-იან წლებში გეოლოგიური სამსახურებისთვის გამოიყოფოდა, პრაქტიკულად სამსახურების შენარჩუნებას მოხმარდა. თითქმის არ წარმოებდა ბურღვა და სხვა სამთო საძიებო სამუშაოები, რის გარეშეც გეოლოგია წარმოუდგენელია.

ვიმეორებ, წიაღისეულის შესწავლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ამაზე, როგორც წესი, სახსრები სახელმწიფომ არ უნდა ხარჯოს. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი გარემო და წინაპირობები, რომელიც ინვესტორს დააინტერესებს.

როგორც ახალი ტიპის წიაღისეულის აღმოჩენის მაგალითი, მინდა გაუწყოთ, რომ ახლახან ამერიკელების მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის მონაწილე მეც გახლდით. პროექტი ეხებოდა საქართველოს პერსპექტივების შესწავლას ე.წ. „ფიქალის გაზთან“ მიმართებაში. ამ კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანას ამ მიმართულებით საკმაო პერსპექტივები გააჩნია. სხვა საკითხია, კომერციულად მომგებიანი იქნება თუ არა ის, მაგრამ, ქვეყანას რომ ამგვარი გაზის არსებობის პერსპექტივა აქვს, დამტკიცებულია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი აირის მოპოვების თვალსაზრისით, საქართველო კარგად შესწავლილი არ არის. საბჭოთა პერიოდში ბუნებრივი აირი, ფაქტობრივად, მუქთა იყო, რადგანაც რუსეთი ამ წიაღისეულით ძალიან მდიდარია. მაშინ, საქართველოში ძირითადი ყურადღება ნავთობს ექცეოდა. ნავთობის მხრივ კი ჩვენი პერსპექტივები ნაკლებია, რადგანაც საქართველო, ტექტონიკური თვალსაზრისით, დანაწევრებული ქვეყანაა და გიგანტური ბუდობების არსებობის ალბათობა ნაკლებია. სამაგიეროდ, მცირე ბუდობებში ან, როგორც იტყვიან „სტრუქტურებში“ მაღალი წნევის ქვეშ დიდი რაოდენობის ბუნებრივი აირი შეიძლება იყოს დაჭირხნული. მაგრამ ამასაც დეტალური ძიება და შესწავლა სჭირდება.

— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გეოლოგიური თვალსაზრისით საქართველო კარგად იქნეს გამოკვლეული?

— ჩემი აზრით, მიწაში ჩატოვებული წიაღისეული დაკარგული კაპიტალია და დადგა დრო ჩვენი სასარგებლო წიაღისეულის უფრო გონივრული გამოყენებისა. თუკი ჩვენ ეს კაპიტალი გვაქვს, მას დროული გამოყენება სჭირდება. თუკი მას სწორედ მაშინ არ გამოვიყენებთ, როდესაც ფასი აქვს, იკარგება და, შესაძლებელია, ხვალ იგი აღარავის დასჭირდეს. ყაირათიანი პატრონი დროულად და გონივრულად იყენებს იმ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელიც მისი მიწის წიაღშია, ასევე უნდა იქცეოდეს სახელმწიფოც. წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც ფულს მიწაში ინახავს... თუ მან ეს ფული შვილების განათლებაში, ბიზნესში ან სხვა სფეროში დროულად არ დააბანდა, ხვალ, ინფლაციის თუ სხვა მიზეზით, მან შეიძლება ფასი დაკარგოს. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ კარგად და დროულად გავიგოთ — რა წიაღისეული გაგვაჩნია, რათა ეს სიმდიდრე დროზე გამოვიყენოთ. ხოლო თუ გამოსაყენებელი არ არის, მაშინ შევინახოთ და საჭირო დროს დაველოდოთ. ამას, ვერც ერთი დროებით მოწვეული უცხოელი კონსულტანტი ვერ მოგვიგვარებს, რადგანაც ეს ქვეყნის საქმეა, ქვეყანამ უნდა გააკეთოს. სწორედ ამიტომ გვჭირდება ეროვნული კადრების არსებობა და აღზრდა.

— რა პრობლემებია გეოლოგიური კვლევის სფეროში, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სათანადო კვლევები წარმოებდეს?

— ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. წიაღის შესახებ კანონი კარგა ხნის წინ სხვა ეკონომიკურ ვითარებაში დაიწერა, მას შემდეგ მასში მრავალი შესწორება შევიდა და არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ის რთულად გასაგები, რიგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი და ეკლექტიკური გახდა. ჩვენს პირობებში, სამთო კანონმდებლობა – „სამთო კოდექსი“ უნდა იყოს ლიბერალური, უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ სპეციფიკას. მაგალითად, ჩემი აზრით, არ არის სწორი, როცა მაღალმთიან რეგიონებში, სადაც, წიაღისეულის თვალსაზრისით, გაცილებით დიდი პერსპექტივა არსებობს, ისეთივე საგადასახადო რეჟიმი თუ სალიცენზიო პირობები უნდა არსებობდეს, როგორიც ბარში. ასეთ პირობებში არც ერთი ინვესტორი არ წავა მთაში სამუშაოდ, მით უმეტეს, რომ ინფრასტრუქტურული პირობები ბევრად რთული და ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე ბარში. არადა ჩვენი ძირითადი წიაღისეული სიმდიდრე მთაშია.

მეორე პრობლემა გახლავთ ის, რომ ამ მიმართულებით მომგებიანი საინვესტიციო გარემო, ჯერჯერობით, არ გვაქვს შექმნილი. სამთო ბიზნესი მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული და სპეციფიური ხელშეწყობა სჭირდება. საერთოდ, სახელმწიფო, მით უმეტეს, ჩვენნაირი, უნდა ქმნიდეს იმის კომპლექსურ პირობებს, რომ ინვესტორი შემოვიდეს და გამოიკვლიოს — არსებობს თუ არა კონკრეტული წიაღისეულის საბადო და შესაძლებელია თუ არა მისი დამუშავება ორმხრივი გარიგების საფუძველზე? არადა სამთო მრეწველობის განვითარებას მოჰყვება ჩვენი მოსახლეობის დასაქმება, ინფრასტრუქტურის და მრეწველობის სხვა დარგების და, ზოგადად, ეკონომიკის განვითარება.

მესამე, და ყველაზე მთავარი — სახელმწიფო უნდა მართავდეს წიაღთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს; უნდა არსებობდეს ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ ახლა და, თანაც, საკმაო სირთულეებით ყალიბდება – რა, სად და რამდენი გვაქვს; ვინ, რას და სად მუშაობს; რას და რამდენს მოიპოვებს; რა ინფორმაციას გვაწვდის და სხვა? აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც მეწარმეებთან ერთად მჭიდრო კონტაქტში უნდა მიმდინარეობდეს. მათ ერთად უნდა შექმნან ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ერთის მხრივ, გასაგები და მიმზიდველი იქნება ინვესტორისთვის, ხოლო, მეორეს მხრივ, სასარგებლო — სახელმწიფოსთვის. ასეთი სტრუქტურების მაგალითები მსოფლიოში არსებობს და, მონდომების შემთხვევაში, ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ დაგვჭირდება.

— გეოლოგია, ტრადიციულად, ძველი და საინტერესო პროფესიაა. მას არასოდეს აკლდა სპეციალისტები, მაგრამ დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების ყველა დარგი პერსპექტიული კადრების ნაკლებობას განიცდის. თქვენს სფეროში რა მდგომარეობაა? ჰყავს თუ არა გეოლოგიას მიმდევრები?

— უკანასკნელ პერიოდში ვატყობ, რომ ახალგაზრდების მხრიდან ინტერესი გაიზარდა, თუმცა ეს, კონკრეტულად, გეოლოგიით დაინტერესების შედეგი არ გახლავთ. ეს საგნები ზოგს კრედიტების ჩასაწერად სჭირდება და ზოგიც იმიტომ მოდის ჩვენთან, რომ სხვა მიმართულებაზე სწავლა ვერ განაგრძო. ამის მიუხედავად, რაც მეტი მოისმენს გეოლოგიის კურსს, მით მეტი დაინტერესდება, მაგრამ მე ვერ ვხედავ, „შემთხვევითი“ სტუდენტების სახით, იმ პერსპექტიულ კადრს, რომლებიც გეოლოგიას გამოადგება.

კარგი გეოლოგის გაზრდა ძვირი სიამოვნებაა. ამას სჭირდება პრაქტიკა და ექსპედიციები, რათა სტუდენტმა საბადოები ნახოს. მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებსა თუ კონგრესებში. განვითარებული ქვეყნები ამ მეთოდით ასწავლიან, მაგრამ ჩვენთან ეს, ფინანსური პრობლემების გამო, საფუძვლიანად ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს გეოლოგიით?

— ყველაზე მეტი დაინტერესება ახალგაზრდებისთვის დასაქმების პერსპექტივაა. თუ ახალგაზრდა დაინახავს, რომ, გეოლოგიის კურსის დასრულების შემდეგ, შრომით ბაზარზე ფეხს მოიკიდებს, თავისთავად დაინტერესდება ამ პროფესიით.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ნაწილის მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები უკვე იდგმება.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტს თანდათან უბრუნდება კვლევითი ფუნქციები, რასაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შემოერთებაც შეუწყობს ხელს. ეს, ჩემი აზრით, მშვენიერ წინაპირობას ქმნის იმისთვის, რომ სტუდენტები თავიდანვე ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში და ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც სამეცნიერო, მათ შორის საზღვარგარეთულ წრეებთან, ისე სამთო-სამრეწველო კომპანიებთან, რომლებიც, გარკვეულ პირობებში, დაინტერესებულნი იქნებიან სტუდენტების დასაქმებით.

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდის დროს გეოლოგიურ პარტიებს ფაქტობრივად დავალებული ჰქონდათ სტუდენტთა პრაქტიკის პერიოდში დასაქმება. დღეს უკვე საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც შეიძლება მოვიფიქროთ შესაბამისი მექანიზმი — მენარმეს შევუქმნათ პირობები, რათა სტუდენტი ან კურსდამთავრებული დაასაქმოს. სანაცვლოდ, მივიღებთ ახალ ძლიერ ეროვნულ კადრს და ჩვენი ტრადიციული გეოლოგიური სკოლის გაგრძელებას, რომლის ეფექტურ მუშაობაზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრის — წიაღისეულის მოვლა-პატრონობა.

ვირჩევთ რექტორს

ალექსანდრე კვიტაშვილი

ავტობიოგრაფია

ალექსანდრე (სანდრო) კვიტაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1970 წლის 15 ნოემბერს. 1987 დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1992 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ევროპისა და აშშ-ს უახლესი ისტორიის სპეციალობით.

1992 წლის სექტემბერში, მასკის პროგრამაში გამარჯვების შედეგად, ჩაირიცხა ნიუ იორკის უნივერსიტეტის რობერტ ფ. ვაგნერის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში.

1993 წელს მან წარჩინებით დაასრულა სწავლა ნიუ იორკის უნივერსიტეტში და მიიღო სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი.

სწავლის დასრულების შემდგომ, იგი მუშაობდა ატლანტის გრეიდის სამედიცინო ცენტრის ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტში.

1993 წელს სანდრო კვიტაშვილი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობაში ადმინისტრაციისა და ფინანსების ოფიცრის თანამდებობაზე.

1995-1997 წლებში იგი იყო გაერთიანებული მეთოდისტური დახმარების კომიტეტის (UMCOR) საქართველოს მისიის უფროსის მოადგილე და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი. მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაცია ახორციელებდა პროგრამებს ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში.

1997 წელს სანდრო კვიტაშვილი გახდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია — „კურაციოს“ საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, „კურაციოს“ ფონდმა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ჯანდაცვის მართვის, ფინანსირებისა და ეკონომიკის მიმართულებით, ასევე, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროში.

2002 წელს იგი გახდა საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სექტორების ქვეკომიტეტის ეროვნული ექსპერტი — კოორდინატორი.

1995-2002 წლების განმავლობაში იგი მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტად აზერბაიჯანში, ლიტვაში, უკრაინაში, სომხეთსა და სერბეთში. ამავე წლებში მას გამოცემული აქვს რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც შეეხება ჯანდაცვის სფეროს რეფორმებისა და სოციალური დაცვის სისტემის ანალიზს.

2002-2003 წლებში სანდრო კვიტაშვილი მუშაობდა ნიუ იორკში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტში და შიდსის წინააღმდეგ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის ინსტიტუტის კონსულტანტად.

2004 წელს იგი დაინიშნა აღმოსავლეთ-დასავლეთ ინსტიტუტის (estWest Institute) ადმინისტრაციის დირექტორად, ხოლო 2005 წლიდან ადმინისტრაციის უფროს დირექტორად და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრად.

ამ რანგში იგი უწევდა მართვას ნიუ იორკის, ბრიუსელის, პრაღისა და მოსკოვის ცენტრებს, ასევე კადრების, ინფორმატიკის, ღონისძიებათა და ზოგადი ადმინისტრაციის დეპარტამენტებს. მონაწილეობდა ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

2008 წლის თებერვლიდან 2010 წლის სექტემბრამდე სანდრო კვიტაშვილი მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

2010 წლის სექტემბრიდან დღემდე იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

1918 წლის 8 თებერვალს დაარსებული პირველი უნივერსიტეტი საქართველოს თავისუფლების, ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებისათვის მებრძოლ საზოგადო მოღვაწეთა რამდენიმე თაობის ძალისხმევის შედეგია და დღემდე განათლების, მეცნიერების, დამოუკიდებლობის, ეროვნული კულტურის, ღირებულებების განვითარების სიმბოლოდ აღიქმება.

საზოგადოების ნდობა და პატივისცემა უნივერსიტეტს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და მისიას აკისრებს: იგი უნდა გახდეს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წარმატებული წევრი და ამ სივრცეში ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, ეროვნულ სამეცნიერო მემკვიდრეობას.

სწავლებისა და კვლევის მეშვეობით, უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების აღიარებას, საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ განვითარებას.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ორი ამოცანის შესრულება: პროფესიონალის ფორმირება და მოქალაქის აღზრდა: უნივერსიტეტის მიერ მომზადებული კადრი უნდა იყოს მაღალი ხარისხის კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს კონკრეტული საქმიანობის სფეროში და, ამავე დროს, იქნება იმ სოციო-კულტურული ღირებულებების მატარებელი, რაც უზრუნველყოფს მის სრულფასოვან სოციალიზაციას, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პოზიტიურად, საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენებას.

საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში უნივერსიტეტის ძირითად ორიენტირებს უნდა წარმოადგენდეს განათლებისა და მეცნიერების ფუნდამენტურობა, მემკვიდრულობა, უწყვეტობა, მაღალი ხარისხი, აგრეთვე, რეგიონულ თუ მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ლიდერობის, განსაკუთრებული სოციალური მისიის, უნივერსალურობისა და აკადემიურობის შენარჩუნება.

უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტებში ინტელექტუალური, სოციალური, მორალური ინიციატივების ფორმირებას და, ამავე დროს, მხარი უნდა დაუჭიროს მათ ინიციატივებს.

როგორც თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთობა, უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და კორპორატიული ეთიკის დაცვის ინიციატორი.

ამჟამად უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციის საკითხი, რადგან, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო საქმიანობა თავისთავად გულისხმობს ღრმა სამეცნიერო-კვლევით ფუნდამენტს, მეორე მხრივ კი, მხოლოდ კარგად აწყობილმა საგანმანათლებლო სისტემამ შეიძლება უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევებისათვის აუცილებელი ცოდნის გადაცემა, შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ზოგადად, მეცნიერების განვითარების უწყვეტობა.

უნივერსიტეტმა მიზნად უნდა დაისახოს უნივერსიტეტში ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული განათლებისა და კვლევის პროცესების უზრუნველყოფა.

საკადრო პოლიტიკაში პრიორიტეტული იქნება თანამშრომელთა ინსტიტუციური გამოცდილების შენარჩუნება, შრომის სამართლიანად და ადეკვატურად ანაზღაურება.

უნივერსიტეტი თავისი საქმიანობიდან, სტატუსიდან, მასშტაბებიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებს სახელისუფლებო ორგანოებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო საზოგადოებებს, უცხოეთის წამყვან საუნივერსიტეტო და სამეცნიერო ცენტრებს, ფონდებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბიზნეს-სექტორს, არასამთავრობო სექტორსა და ა.შ.

სწავლებისა და კვლევის პროცესებთან დაკავშირებული მიზნები, პრობლემები და ინიციატივები

- ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია, მასში წარმატებული სუბიექტის სახით ჩართვა;
- საუნივერსიტეტო ტრადიციის უწყვეტი განვითარება, ეროვნული სასწავლო და სამეცნიერო სკოლების აღორძინება;
- უნივერსალური სასწავლო-სამეცნიერო ბაზის შენარჩუნება/განვითარება;
- ფუნდამენტური და მაღალი აკადემიური ღირებულების მქონე არაკომერციული დარგების შენარჩუნება/განვითარება;
- ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნება, ენის განვითარებაზე ზრუნვა;
- რეგიონულ სასწავლო-სამეცნიერო სივრცეებთან ინტენსიური კავშირის დამყარება, შესაბამისი დარგების შენარჩუნება/განვითარება;
- განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- მობილობის პროცესების ხელშეწყობა;
- შიდა საკონკურსო გარემოს ფორმირება;
- აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის უწყვეტ ამაღლებაზე ზრუნვა;
- ინსტიტუციური გაძლიერება;
- პრინციპის – „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ დანერგვის ხელშეწყობა;
- პრინციპის – „უმაღლესი განათლება — საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“ დანერგვის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის საქმიანობაში სტუდენტების კომპეტენტურ, აქტიურ და კონსტრუქციულ პარტნიორად ჩართვა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლებისათვის;
- განათლების ბაზრის კონკურენტუნარიან და შრომის ბაზრის სრულფასოვან პარტნიორად ჩამოყალიბება;
- თანამედროვე ტიპის საუნივერსიტეტო ქალაქის (სტუდქალაქის) მშენებლობა/მოწყობა;
- თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკის მოწყობა;
- ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის მისასვლელების მოწყობა და უახლესი ავტორიზებული პროგრამებით უზრუნველყოფა;
- ინტერნეტ-გამოცემების ხელშეწყობა;
- დისტანციური სწავლების დანერგვა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება საინფორმაციო ტექნოლოგიებში;
- სტამბის რეაბილიტაცია;
- ბიბლიოთეკის თანამედროვე ინვენტარით უზრუნველყოფა;
- ბიბლიოთეკის ფონდის უწყვეტი განახლება;
- სტუდენტთა უზრუნველყოფა ლიტერატურით და ა.შ.

ვირჩევთ რექტორს

ნიკოლოზ ლელუაშვილი

ავტობიოგრაფია

მე, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ლელუაშვილი, დავიბადე 1962 წლის 6 დეკემბერს თბილისში.

- 1969-1979 წ.წ. — თბილისის 134-ე საშუალო სკოლა.
- 1979-1984 წ.წ. — თსუ-ის კიბერნეტიკის და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი.
- 1984-1990 წ.წ. — სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ინჟინერი.
- 1990 წლიდან კერძო ბიზნესი (მეტ-ნაკლები წარმატებით).
- მყავს მეუღლე და ორი შვილი.
- 1982-1994 წ.წ. გახლდით ფეხბურთის მსაჯი (I კატეგორია).
- 1989 წლის 6 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) და 1990 წლის 15 თებერვლის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) დამფუძნებელი ყრილობების საორგანიზაციო ჯგუფების წევრი და რამდენიმე ყრილობის დელეგატი.
- საქართველოს განათლების სისტემაში რომ ყველაფერი რიგზე არ არის, დიდი ხანია მანუხებს.
- 2008 წელს საქმეში ღრმად ჩასახედად ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და შიგნიდან დავინახე ის დანაშაული და სამშობლოს ღალატი (აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის შეფასება), რაც სტუ-შიც და თითო-ოროლას გამოკლებით, საქართველოს ყველა უ/ს-ში ყოველდღიურად ხდება. უბრალოდ, ცხოვრების ასეთი წესი დამკვიდრდა. რეიტინგული წერები და გამოცდები, რბილად რომ ვთქვათ, არასათანადოდ ტარდება. ოღონდ სტუდენტმა სწავლის ქირა გადაიხადოს და გინდ უსწავლია და გინდ არა.
- ლექტორებს რომ ჰკითხოთ, სამშობლოს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს უზრდიან. სინამდვილეში მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს უახლოვდება. სტუდენტმა თუ თავისი სურვილით ისწავლა, ხომ კარგი. თუ არა და ეს არც არავის ადარდებს.
- 2010 წლის 15 ივლისს, პროტესტის ნიშნად, ჩვენი ფაკულტეტის დეკანის კაბინეტის კარი ავჭედე, მერე ფაკ-ის საბჭოზე სიტყვით გამოვედი და პირში ვუთხარი ყველა ის მანკიერება, რასაც ვხედავ.

— რატომ წერთ დაუმსახურებელ ნიშნებს-მეთქი?!

— მართალი ხარ, ვწერთ, მაგრამ კარები არ უნდა აგეჭედაო!

— მეტის ღირსები ხართ-მეთქი!

ვითომც არაფერი, კვერცხის გულივით გადაყლაპეს...

- 29 ივლისს დავესწარი ჩვენი ფაკ-ის მაგისტრანტების დიპლომების დაცვას. საბჭოთა პერიოდი სანატრელი გამიხდა: სქელტანიანი ფსევდონაშრომები, ფსევდოცოდნა, ფორმალურობა და საგამოცდო კომისიის მხრიდან დანაშაულებრივი გულგრილობა, ფაქტიურად, სამშობლოს ღალატი.
- მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემს გარდა ყველა ცუდია. დღევანდელი განათლების სისტემა არ იძლევა ქმედითი ღონისძიებების განხორციელების საშუალებას და ამიტომ ყველანი მეტ-ნაკლებად სიტუაციის მსხვერპლთა როლებში აღმოვჩნდით. მაგრამ პროფესორ-მასწავლებელთა დუმილი მკლავს.
- კიბო რომ ცუდი დაავადებაა, ყველამ იცის. მის დასამარცხებლად ვერავითარ გზას ვერ ვხედავ და ვარ ჩუმად. განათლების სისტემაში და, შედეგად, მთელ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორების გზა რომ დავინახე, ამიტომ დავრეგისტრირდი თსუ-ის რექტორობის კანდიდატად. ახლა გაჩუმება და ფარ-ხმალის დაყრა დანაშაულად მიმაჩნია და ჩემ თავს ვერ ვაპატიებ.
- ყველა ადამიანი (მეც, რა თქმა უნდა) შეიძლება რაიმეში შეცდეს. მაგრამ ახლა 100%-ით დარწმუნებული ვარ ამ პროექტის ეფექტიანობასა და დანერგვის აუცილებლობაში. ისიც ვიცი — ინოვაციურ პროექტებს რამხელა წინააღმდეგობა ხვდება საზოგადოებაში „შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსო“. მესმის, რომ ევროპულ სისტემასთან მისაახლოვებლად მთავრობის მიერ დიდი მოცულობის სამუშაოა შესრულებული. ალბათ, პირადი კონტაქტებიც დამყარდა და განმტკიცდა, მაგრამ თუ უკეთესი გამოჩნდა, ძველზე უარი უნდა ვთქვათ. ჩვენ უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ და სხვებიც ჩვენ მოგვბაძავენ, აქეთ შემოგვიერთდებიან. ინგლისის არ იყოს, ჩვენც მუდმივი ეროვნული ინტერესები გვაქვს და არა მუდმივი მეგობრები. ჩვენ და ევროპა ერთი მიზნისკენ წავალთ, ოღონდ სხვადასხვა გზით. როცა დეტალებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ ჩემი ხედვა შექმნილ სიტუაციაში რეალური, დროული და იოლად განხორციელებადია. „არის რაღაცები, რასაც თუ ვერ დაინახავ, ვერ იწამებ და რაღაცები, რაც თუ არ იწამე, ვერ დაინახავ“.
- უამრავ ადამიანს, სტუდენტებსაც, ვინც კი პროექტს გაეცნო, მოეწონათ და მხარდაჭერა გამომიცხადეს.
- ამ პროექტს ასევე უდიდესი ეფექტი ექნება ოფიცრების, მასწავლებლების და სპორტის მწრთვნელების მომზადება-გადამზადებისას.
- მოვიფიქრე ძალიან საინტერესო სისტემა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანთა სწავლებისთვისაც. ამას ღია მსჯელობის საგნად ჯერ ვერ გავხდი. ქალბატონი მინისტრი თუ დაინტერესდება, დაუყოვნებლივ მოვახსენებ.
- აკადემიური საბჭოს წევრების ღრმა აზროვნების და ვაუკაცობის იმედი მაქვს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ბოლომდე ვერ ჩაწვდნენ პროექტის არსს. არადა, ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა მათი პოზიციაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იქცეს ჩვენი ცნობიერების და შემდეგ ყოფიერების სასიკეთოდ შეცვლის ინიციატორად და ცხოვრებაში წარმატებით გამტარებლად.
- ამ პროექტმა უნდა გაგვაძლიეროს, გაგვაერთიანოს, გაგვამთლიანოს, გაგვანთავისუფლოს და ქვეყანა გააბრწყინოს!!!
- სასურველია 27 დეკემბრამდე აკადემიურმა საბჭომ განათლების მინისტრი მოიწვიოს, ყველა კანდიდატს საჯაროდ მოუსმინოს და ჯანსაღი პაექრობის საშუალება მოგვეცეს.

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

უნივერსიტეტის როლი საქართველოს გაძლიერებასა და გამთლიანებაში

„უწრთვნელი ძაღლის ყოლა სჯობს,
უწრთვნელი შვილის ყოლასა!“
„ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილი!“

კაპიტალისტურმა ქვეყნებმა უმძაფრეს კონკურენციაში მიაღწიეს განვითარების დღევანდელ დონეს. მეც ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის განათლებაა ერთ-ერთი პირველთაგანი პრიორიტეტი და ხსნა. ბოღმისგან გული მისკდება, როცა ვხედავ, როგორ იფლანგება ჩვენი სტუდენტების მინიმუმ 90%-ის გონებრივი პოტენციალი.

დღევანდელ განათლების სისტემას თავისდაუნებურად ბოროტება მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ასეთ პირობებში მუდმივად მაჩანჩალები დავრჩებით. თუ გვინდა წინ გავიჭრათ, არაორდინარული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. არაორდინარული და არაჩვეულებრივი სიმღერა რომ შესთავაზეს „ბზიკებმა“ შარშან ევროპას, იმიტომ გახდნენ „ევროვიზიის“ ჩემპიონები — კენწეროში მოექცნენ.

არ გინატრიათ ყველა სტუდენტი ერთმანეთს ეჯიბრებოდეს — არა მე უფრო მეტი და კარგად უნდა ვისწავლო — არა მეო?!

ხომ ჩაუსხდებოდნენ წიგნებს და სამეცნიერო ლიტერატურას?!

ხომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს მივიღებდით?!

ხომ დაგვრჩებოდა სინგაპური უკან და ხომ იქნებოდა ქვეყანა ბედნიერი?!

მეც მინატრია და გამოსავალსაც მივაგენი. განათლების სისტემას მივუსადაგე მრავალჯერ ნაცადი ხერხი, რომელიც ამჟამადაც წარმატებით მუშაობს სხვადასხვა სფეროში. ამ პროექტის მიზანია სტუდენტებს დაეხმაროს მობილიზებაში, სიზარმაცის დაძლევასა და ცოდნის უმაღლესი მწვერვალების დაპყრობაში, ხოლო ქვეყანას — ეკონომიურად ფეხზე მყარად დადგომაში.

ვიმეორებ, ჩვენი ქვეყნისთვის არა იმდენად გეოპოლიტიკა, რამდენადაც განათლებაა უპირველესი პრიორიტეტი და ხსნა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ქმედითი დახმარება ვერავინ ვერ გაგვიწია. ჰუმანიტარული ტვირთებით და „შეშფოთება-აღშფოთებით“ მოგებული ომისა კი რა მოგახსენოთ. „ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის განევა სუსტებისათვის, ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს“ — ი. სტალინი. ამიტომ არ გვიწევს რუსეთი ანგარიშს. ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად თუ ძალიან არ გაძლიერდა, სახელმწიფო თვალსა და ხელს შუა ჩამოგვეშლება. „დღეს მძლეთამძლეა ის, ვინც მცდელია და ბეჯითია სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა“ — ილია ჭავჭავაძე.

უმჯობესია, სწავლაში დავღვაროთ ბევრი ოფლი და ომში — ნაკლები სისხლი და ომამდეც საქმე აღარ მივიდეს. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ჯონ კენედი: „ჩვენი, როგორც ერის პროგრესი, დამოკიდებულია განათლების პროგრესზე“.

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი: „სტუდენტისთვის დაწერილი ყოველი დაუმსახურებელი სამიანი სამშობლოს ღალატია.“

ჩვენი საზოგადოება სიმართლის პირშიმთქმელი ხალხის დეფიციტს განიცდის. დღესდღეობით უმაღლეს განათლებაში რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, სადავო არ არის. უამრავ დაუმსახურებელ სამიანს ამდენივე ფსევდოდიპლომი და ფსევდოსპეციალისტი მოსდევს. დიპლომის აღების და დისერტაციის დაცვის თამასამ საგრძნობლად დაიწია. უმაღლესებში ტექნიკუმის პროგრამით ასწავლიან. მომრავლებულმა უ/ს-ბმა და დიპლომების უპრაგონოდ დარიგებამ დიპლომის დევალვაცია გამოიწვია. „დიპლომიც“, სამწუხაროდ, ისეთივე წყალწყალა ცნება გახდა, როგორც „სტუდენტი“, „სწავლა“, „პროფესორი“, „დისერტაცია“.

ისედაც ცუდი მემკვიდრეობა გვერგო. საბჭოთა საქართველოში წარმოებული პროდუქცია რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, ესეც ცნობილი ფაქტია. მიზეზი — მოძველებული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური პროცესების დაუცველობა, დაბალი დონის სპეციალისტები, მიწერები, კორუფცია, პროტექციონიზმი, უკონკურენციო გარემო და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკა წელში რომ გაიმართოს, პირველ რიგში, აუცილებელია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება (კადრები წყვეტენ ყველაფერს), რასაც დღევანდელი განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს.

ვინც სწავლობს, რასაც მართლა სწავლა ჰქვია, არის დაახლოებით 10%. დანარჩენი 90%-ის პოტენციალს ჩვენ ვფლანგავთ.

მე-9 გვერდზე

ვირჩევთ რექტორს

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

მერვე გვერდიდან

განათლების სამინისტრო სულ ეძებს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს: შემოიტანეს დასწრების გრაფიკები, ადგენენ სილაბუსებს და სხვ. მაგრამ სხვაგან ეძებს და არა იქ, სადაც შესაძლოა ეს გამოსავალი იპოვოს.

დაახლოებით ისეთი სიტუაციაა: მძიმე ავადმყოფს კარგი მედიკამენტები კი არ შეურჩიოს ექიმმა, არამედ ლოგინზე თეთრის მაგივრად ჭრელი თეთრეული დაუგოს, იქნებ მორჩესო.

და სად არის გამოსავალი?

ჩემი აზრით, სწავლის და სწავლების 80% დამოკიდებულია მოსწავლეზე, ხოლო 20% — მასწავლებელზე, ჩვენ ვედებით ყველას და ყველაფერს, გარდა მთავარი მოქმედი პირისა ანუ მოსწავლისა (სტუდენტისა).

უნდა შევუქმნათ მას სასწავლებელში ისეთი კონკურენტული გარემო, რომ იძულებული გახდეს ისწავლოს, როგორც მისაღები გამოცდებისას ანუ აბიტურიენტობისას ხდება.

ზარმაცი მოსწავლე ჰგავს დასაქოქ მანქანას, რომელსაც უნდა მიაწვე და დანიშნულების ადგილამდე მიაგორო. თუ ამ მანქანას დავქოქავთ, ისე გაქროლდება, თქვენი მოწონებული.

შეგახსენებთ ველორბოლას: ტრეკზე გამოდის რამდენიმე ველოსიპედისტი და იწყება რბოლა. პირველი წრის ბოლოს უკანასკნელი ველოსიპედი ეთიშება შეჯიბრს. ასე გრძელდება ყოველი წრის შემდეგ, ანუ სუსტი ვარდება. ვისაც ეს სანახაობა უნახავს, დამეთანხმება, თუ რა დიდი ძალისხმევით ცდილობენ სპორტსმენები ბოლო ადგილს თავი დააღწიონ — მონდომება ერთიათად იზრდება.

ეს არის შეჯიბრი გამოთიშვით, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ტელეშოუები: „ჯეოსტარი“,„ყველაზეჭკვიანი“,„ეტალონი“.

ასეთი კონკურენტული გარემო რომ შეიქმნას, ვაპირებ (არჩევის შემთხვევაში) დასაწყისში მხოლოდ I კურსზე შევქმნა რამდენიმე ჯგუფი, სადაც, მათი სურვილის შემთხვევაში, ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც ადრე ჩაბარებული აქვთ ეროვნული მისაღები გამოცდები, სწავლობდნენ თსუ-ში და სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი. მათთან გაფორმდება პერსონალური ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით სტუდენტი მთლიანად გათავისუფლდება სწავლის ქირისაგან, ოღონდ მომდევნო კურსზე გადასვლა მოხდება კონკურსის საფუძველზე, ანუ უარესი აკადემიური მაჩვენებლის მქონე 1 ან 2 სტუდენტი გაირიცხება თითოეული ჯგუფიდან.

ამ ჯგუფის სტუდენტებისთვის აკადემიური მოსწრება განისაზღვრება შემდეგნაირად (ეს შეიძლება დაიხვეწოს): ყოველ საგანს სირთულის მიხედვით მიენიჭოს კოეფიციენტი 1-დან 2-მდე. ბოლოს შეჯამდეს რეიტინგებში და გამოცდაზე მიღებული ქულების ნამრავლი მისთვის მინიჭებულ კოეფიციენტზე

$$\sum_{i=1}^{n} k_i Q_i$$

სადაც n — კურსზე საგამოცდო საგნების რაოდენობაა,

k_i — საგნის შესაბამისი კოეფიციენტი,

Q_i — საგნის სარეიტინგო და საგამოცდო ქულების ჯამი.

თუ ორ ან მეტ სტუდენტს აღმოაჩნდება ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა მიენიჭება უმაღლესი კოეფიციენტის მქონე საგანში მიღებულ ქულას და ა.შ. კოეფიციენტის კლების მიხედვით. ბოლოს შევადაროთ კურსდამთავრებულები.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისი აჯობებს?!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლა 100%-ით დარწმუნებული ვარ ამ მეთოდის ეფექტიანობასა და დღევანდელი საქართველოსთვის მის აუცილებლობაში.

მექნება რა ხელთ სტუდენტების მიერ ნაჩვენები შედეგები, ვაპირებ პრეზიდენტს მივმართო, რათა ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაინერგოს ასეთი მეთოდი: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჯგუფში უარესი აკადემიური მაჩვენებლის მქონე სტუდენტების 5-10% ჩარჩეს კურსზე, განმეორებით ჩარჩენის შემთხვევაში კი გაირიცხოს უმაღლესი სასწავლებლიდან.

მე ასეთ პირობებში 1 წელი (აბიტურიენტობისას) მომიწია სწავლამ. ეს წელი იყო სწავლის მხრივ ჩემთვის ყველაზე პროდუქტიული იმ 17-დან, რომლებიც მერხთან გავატარე სკოლის და უნივერსიტეტების კედლებში.

სტუდენტებს „ისწავლე-ისწავლეს“ ჩიჩინი აღარ დასჭირდებათ. ისინი იძულებულნი იქნებიან სწავლაში შეეჯიბრონ ერთმანეთს. ჩაუსხდებიან წიგნებს და სამეცნიერო ლიტერატურას (სხვა გზა აღარ ექნებათ) და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებსაც მივიღებთ.

დღევანდელი სტუდენტობა, ძირითადად, C კატეგორიის, ფიქრობს, რომ „რაღაცაც“ რომ ისწავლოს, ან მასწავლებელს სწავლის სურვილი დაანახოს ან მოაჩვენოს, ჩათვლას ან ნიშანს მიიღებს, სამიანს არ დაამადლიან — რაც, ძირითადად, ასეც ხდება. მაგრამ თუ იგრძნო, რომ ის „რაღაცა“ და იმაზე ცოტა მეტიც შეიძლება სხვამაც ისწავლოს და შეიძლება თვითონ საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, მაშინ შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს. როცა ზურგს უკან მოწინააღმდეგის სუნთქვას გრძნობ, გეშინია.

როგორც მგელი ასრულებს ტყეში სანიტრის ფუნქციას და სპობს ჯოგს ჩამორჩენილ, დაუძლურებულ, დავარდნილ ცხოველებს, ისე სწავლის ასეთი წესი უნდა იქცეს სანიტრად ჩვენი სტუდენტებისთვის. დაემუქრება თუ არა საფრთხე ზარმაცებს და უქნარებს, მაშინვე შეფუცხუნდებიან და დაიწყებენ თვითგადარჩენისთვის ზრუნვას, რაც მთლიანობაში ქვეყანას წაადგება.

უმჯობესია ახალგაზრდა სტუდენტობისას „ჯოჯოხეთში“ მოხვდეს და შემდეგ მთელი ცხოვრება „სამოთხეში“ გაატაროს, ვიდრე სტუდენტობისას თავი „სამოთხეში“ იგრძნოს და შემდეგ მთელი ცხოვრება „ჯოჯოხეთად“ ექცეს.

ფაკულტეტის პროფილის მიხედვით მისაღებ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს შერჩევით ორ გამოცდაში 50%, დანარჩენ ორში — 60%.

სტუდენტი, რომელიც კურსიდან კურსზე კონკურსის წესით გადავა, თავს ვერ მისცემს უფლებას იზარმაცოს, ლექციები გააცდინოს და დრო ფუჭად დახარჯოს. მისი ტვინი 4-6 წელი მაქსიმალური სიმძლავრით იმუშავებს და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივიღებთ სპეციალისტს, რომელიც, ზვიგენის შვილის არ იყოს, „დაბრდღვნის“ ყველაფერს. მე ჯერ ვერც კი წარმომიდგენია, ხარისხობრივად როგორი მაღალი დონის სპეციალისტი შეიძლება მივიღოთ. რექტორმა უნდა უზრუნველყოს კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდების ობიექტურობა ეროვნული მისაღები გამოცდების ანალოგიურად.

ახლა თუ წარმოვიდგენთ, რომ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი ასეთ კადრებს მოამზადებს, დამეთანხმებით, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერება გიგანტურ ნაბიჯებს გადადგამს, საგრძნობლად წაიწევს წინ. მას უკან მიჰყვება ეკონომიკა, შემოვა ინვესტიციები, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ჩვენი პროდუქცია ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე. ცხოვრების დონე საგრძნობლად აიწევს. საქართველოდან გასულები, ყველანი ალბათ არა, მაგრამ დიდი ნაწილი თავიანთ ოჯახებს და ქვეყანას დაუბრუნდება. წამსვლელთა რიგებიც შემცირდება.

ფეხზე მყარად დამდგარი მაძღარი ქვეყანა ნატოსაც მოულბობს გულს და ევრო-კავშირსაც, ოსებს და აფხაზებსაც ჩვენსკენ გამოახედებს. ეს ქვეყნის უეჭველი გამთლიანების მშვიდობიანი გზაა.

სულ არ გამიკვირდება დღევანდელმა ელიტამ ამ პროექტს წითელი რომ აუნთოს, რადგან სრულიად გარკვეულ მოკლე პერიოდში ისეთი ბოკვრები გამოვლენ ასპარეზზე, მათ ელიტარულობას წყალს რომ შეუყენებენ. ისინი სასწრაფოდ შეავსებენ იმ ვაკუუმს, რაც ბოლო წლებში წარმოიქმნა ქვეყნის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ცხოვრების ყველა სფეროში.

უმუშევრებმა მხოლოდ ის კი არ უნდა სთხოვონ პრეზიდენტს, რომ მან დაასაქმოს, არამედ განათლების ასეთი სისტემა დანერგოს, რათა დიპლომირებულმა სპეციალისტმა თვითონ შესძლოს თავისი თავის და სხვების დასაქმებაც. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ცოდნა სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას არ გააჩნია.

უნივერსიტეტის უპირველესი და უწმინდესი დანიშნულებაა სწავლა, სწავლა და სწავლა, რასაც ავტომატურად მოსდევს დიდი მეცნიერება.

გიორგი ლილუაშვილი

ავტობიოგრაფია

მე, ლილუაშვილი გიორგი ემზარის ძე დავიბადე 1973 წლის 16 ნოემბერს ქ. ზესტაფონში, მოსამსახურის ოჯახში, ეროვნებით ქართველი, უცოლშვილო;

მამა – ლილუაშვილი ემზარი გრიგოლის ძე, მუშაობს ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯში პედაგოგად;

დედა – კაპანაძე იზოლდა ისაკის ასული, არის 61-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ძმა – ლილუაშვილი დავითი ემზარის ძე, დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასპირანტურა;

1979 წელს შევედი ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1990 წელს;

1990 წელს მუშაობა დავიწყე ს/გ „საქკავშირმშენ პროექტში“ მ.მ.კ 2 მონტიორად, საიდანაც ჩემი განცხადებით გავთავისუფლდი 1992 წელს;

1990 წლიდან ვსწავლობდი ქ. თბილისის სამრეწველო-ეკონომიკურ კოლეჯში დაუსწრებელ განყოფილებაზე, სპეციალობით – „ეკონომიკა და დაგეგმვა სახალხო მეურნეობის დარგებში“, რომელიც დავამთავრე 1993 წელს, მომენიჭა ტექნიკ-ეკონომისტის კვალიფიკაცია (PT-1 №143640);

1992 წელს ჩავაბარე საქართველოს ღია ჰუმანიტარულ ინსტიტუტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1996 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია (ტი №000445);

1992 წლიდან ვმუშაობდი ქ. თბილისის სამრეწველო-ეკონომიკურ კოლეჯში ლაბორანტად, საიდანაც პირადი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი 1993 წელს;

1992 წლის 7 ნოემბრიდან 1993 წლის 14 მაისამდე ვმონაწილეობდი საქართველოს მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში 21-ე ბრიგადის მოხალისეთა ბატალიონში, მოხალისედ (სან ინსტრუქტორად);

1993 წელს ჩავაბარე ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2001 წელს და მომენიჭა ზოგადი პროფილის სამხედრო ექიმის კვალიფიკაცია (TSMU №101855);

მე-10 გვერდზე

ვირჩევთ რექტორს

გიორგი ლილუაშვილი

ავტობიოგრაფია

მეცხრე გვერდიდან

1993 წლიდან გაწვეული ვარ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ სამხედრო ნაწილში „სამხედრო სამედიცინო ფაკულტეტი“, მომენიჭა სამხედრო წოდება „მსმენელი“ (სამხედრო ბილეთი №016066);

1995 წელს მუშაობა დავიწყე რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოს მე-8 განყოფილებაში სანიტრად, სადაც ვმუშაობდი 1996 წლამდე;

1998 წელს მუშაობა დავიწყე სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურ „ქველის“ გამსვლელი ბრიგადის მედდის თანამდებობაზე;

1999 წელს გადამიყვანეს გამსვლელი ბრიგადის მორიგე ექიმად, საიდანაც გავთავისუფლდი საკუთარი განცხადების საფუძველზე 2004 წლის 1 მაისს;

2000 წლის 1 ივლისიდან – 2000 წლის 18 სექტემბრამდე ვმუშაობდი ს.ს. „ფეროს“ მედიკო-სანიტარული ნაწილის ქირურგიულ, ტრავმატოლოგიურ და კარდიოლოგიურ განყოფილებებში ექიმის თანაშემწედ;

2000 წლის 19 ივლისიდან – 2000 წლის 18 სექტემბრამდე ვმუშაობდი ზესტაფონის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ექიმის თანაშემწედ;

2000 წლის 15 სექტემბრიდან არჩეული ვარ საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად, ამავე აკადემიის ახალგაზრდულ საქმეთა კოორდინატორად, გაზეთ „ჟამი ერისას“ ახალგაზრდულ საქმეთა რედაქტორად და „მომავლის აკადემიის“ პრეზიდიუმის წევრად;

2000 წლის 1 ოქტომბრიდან 2001 წლის 1 ივნისამდე ვმუშაობდი შ.პ.ს. „მცხეთის“ სამხარეო მრავალპროფილიანი საავადმყოფოს“ ქირურგიულ განყოფილებაში ექიმის თანაშემწედ;

2001 წელს კომპიუტერულ ცენტრ „კამარა-კომპიუტერი" გავიარე კომპიუტერის შემსწავლელი კურსი, შემდეგი პროგრამებით: 1. MS WINDOWS – 98; 2. MS WORD – 97; 3. MS EXCEL – 97; 4. INTERNET;

2001 წლის 3 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით №1615 მომენიჭა სამხედრო წოდება — სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი. (ოფიცრის ბილეთი №006607);

2001 წლის 2 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით №2003 მომენიჭა სამხედრო წოდება — სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი;

2001 წლის 14 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№2548) დანიშნული ვიქენი მე-11 მექანიზირებული ბრიგადის (ს.ნ.№10143) საარტილერიო დივიზიონის (ს.ნ.№06325) საშტაბო და მომსახურების ბატარეის სამედიცინო პუნქტის უფროსად;

2002 წლის 17 ივნისიდან 28 ივნისამდე ვმონაწილეობდი სწავლება „COOPERATIVE BEST EFFORT“-ში სწავლების სამედიცინო პუნქტის ქირურგად;

2002 წლის 1 აგვისტოდან ვმუშაობ საქართველოს ეროვნული აკადემიის იურიდიული მომსახურების კომპლექსური ცენტრის დამოუკიდებელი სამხედრო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტად;

2002 წლის 20 აგვისტოდან ვმონაწილეობდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშტაბო-სამეთაურო სწავლება „კახეთი 2002“-ში;

2003 წლის 3 თებერვლიდან 3 ივნისის ჩათვლით საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ჩარიცხული ვიქენი ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამხედრო-სამედიცინო“ ფაკულტეტის დარგობრივი დახელოვნების კურსებზე „სამხედრო საველე ქირურგიაში“ (№0009);

2003 წლის 26 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების მიერ დაჯილდოებული ვიქენი საპატიო სიგელით, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის – 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, სამსახურეობრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისა და საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის;

2003 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№2718) გადმომეცა „სამშობლოს ერთგულების და თავდადების“ მე-3 ხარისხის ნიშანი;

2003 წლის 4 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№3312) მომენიჭა მორიგი სამხედრო წოდება სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი;

2003 წლის 25 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№3638) დავინიშნე მე-11 მექანიზირებული ბრიგადის (ს.ნ.№10143) საარტილერიო დივიზიონის (ს.ნ.№06325) ექიმად (სამედიცინო სამსახურის უფროსი);

2003 წლის 8 სექტემბრიდან 2003 წლის 20 სექტემბრამდე ვმონაწილეობდი საშტაბო-სამეთაურო და სამედიცინო სწავლება `RESCUER MEDCEUR 03~-ში;

2004 წლის 4 ოქტომბრიდან 2004 წლის 29 ნოემბრამდე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№1/782) მივლინებული ვიქენი დ. აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის უცხო ენების შემსწავლელ ცენტრში, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების კურსებზე;

2004 წლის 1 სექტემბრიდან ვმუშაობ საქართველოს ეროვნულ აკადემიასთან არსებულ უნივერსიტეტში აკადემიის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად. აგრეთვე, ვკითხულობ ლექციებს „საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების საფუძვლებს“;

2006 წლის 4 იანვრიდან დავინიშნე საქართველოს ეროვნული აკადემიის „მომავლის აკადემიის“ კოორდინატორად, ამავ დროულად ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშემწყობ სფეროს საკითხებში საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად;

2006 წლიდან ვმუშაობ №138 საჯარო სკოლაში პედაგოგად;

2006 წელს არჩეული ვარ №138 საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს წევრად;

2006 წლიდან ვმუშაობ ქ. თბილისის სამედიცინო სასწავლებელ „არგო“-ში ლექტორად;

2007 წელს გავიარე კომპიუტერული პროგრამა „INUX“-ის და ვებ-გვერდების შესაქმნელი პროგრამების შესასწავლი კურსები;

2007 წელს ვმონაწილეობდი საჯარო სკოლების დირექტორების კონკურსში;

2007 წლიდან შეთავსებით №138 საჯარო სკოლის იურისტი;

2007 წლიდან სამედიცინო სასწავლებელ „არგოს“ იურისტი;

2008 წლის 12 ივნისიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი;

2009 წელს განმეორებით არჩეული ვარ № 138 საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს წევრად.

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

მოგესალმებით ღრმად პატივცემულო! ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებო, უნივერსიტეტის თანამშრომლებო და სტუდენტებო!

მოგეხსენებათ, 2010 წლის 27 დეკემბერს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ უნდა გააკეთოს არჩევანი და განსაზღვროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბედი უნივერსიტეტის რექტორის არჩევით.

ჩემი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს: უნივერსიტეტში ეროვნული ღირებულებების გადარჩენას, მათ გაფრთხილებასა და ჩვენი ეროვნული შემოქმედების აღორძინებას; ქართული ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტული დარგების ჩამოყალიბება-დამკვიდრებას; ქართველოლოგიური მიმართულებების გაფართოება-გაღრმავებას; საბჭოურ პერიოდში გარკვეული იდეოლოგიური ტენდენციების გამო შეზღუდული ან ტაბუდადებული, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე უძველესი ქართული ცივილიზაციების ახალი საკაცობრიო მასშტაბით კვლევას; მეცნიერებისა და განათლების თანამედროვე ევროპულ ინტეგრაციას სწორედ ამგვარი ეროვნული თვითშემოქმედების კონტექსტში.

დღეისათვის სახეზეა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა დაკარგა თავისი რეალური არსი — ყოფილიყო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება. უნივერსიტეტში გაუქმებულია უამრავი სამეცნიერო ცენტრი, კვლევითი და სასწავლო ლაბორატორია; მოხდა ასეულობით პროფესიონალისათვის სამუშაო ფუნქციის ლიკვიდაცია... ნაცვლად საგანმანათლებო და სამეცნიერო პრობლემური წრეების გაფართოებისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა 22 ფაკულტეტის შემჭიდროვება და 6 ფაკულტეტზე დაყვანა; დაუსრულებელი მრავალწლიანი სარემონტო სამუშაოებით დღემდე ვერ ჩადგა ერის სამსახურში უნივერსიტეტის ისტორიული I კორპუსი; დაკარგული, გაძარცვული და უკანონოდ გასხვისებულია უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება; არ არის გამჭვირვალე უნივერსიტეტის ბიუჯეტი (უნივერსიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ბიუჯეტი ქართული საზოგადოების, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების დაცინვაა, ან არადა უნივერსიტეტში მიზანმიმართული ეკონომიკური დანაშაულის დაფარვა); გაუქმდა უნივერსიტეტის ეროვნული თვითმყოფადობის განმასახიერებელი ჰუმანიტარულ მეცნიერული კაბინეტები: ქართველთა საფიცარი პოეტისა და მოღვაწის – რუსთველის კაბინეტი, პეტრე იბერის კაბინეტი ანუ იგივე არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი (რომელიც ათეისტურ საბჭოთა კავშირშიც კი არსებობდა და, ჩვენს ეკლესიასთან ერთად, ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების სადარაჯოზე იდგა), ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი, დიდი ილიას, აკაკის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის... უნივერსიტეტში არ არსებობს ჩამოყალიბებული სასწავლო გეგმები, ან თუ არსებობს, არ სრულდება; ჩაშლილია სასწავლო პროცესები; განადგურებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტში შექმნილია რესურს-ცენტრები, რაც დადებითად უნდა ასახულიყო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრებაზე, თუმცა ეს ცენტრები დღეისათვის გასართობ საატრაქციონო დანიშნულებას იძენს და რეალურად სტუდენტების გართობას ემსახურება და სასწავლო პროცესიდან მოცდენის საშუალებად იქცა; დასახვეწია საგამოცდო ცენტრის მუშაობაც; არ არსებობს შეფასების სრულფასოვანი კრიტერიუმები; მოსაწესრიგებელია უნივერსიტეტის გათბობის სისტემები (გაუმართავი გათბობის სისტემები ზრდის უნივერსიტეტის ხარჯს); სტუდენტთა სწავლის საფასური გადასახედია და გადახდის მექნიზმები დასამუშავებელი (უნდა იყოს გათვალისწინებული ქართველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა); აუცილებელია უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა არა სასწავლო პროცესის ხარჯზე; საჭიროა სპორტული დარბაზების კეთილმოწყობა და გამართვა; მკაცრ კონტროლზეა ასაყვანი უნივერსიტეტის ბიუჯეტი და უნდა მოხდეს მისი სრული გამჭვირვალობა (ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე სრული და დეტალური უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა), რათა უნივერსიტეტის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა არ განხორციელდეს; დასაგეგმია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლების ანაზღაურების ზრდა (სახელმწიფოში მიმდინარე ინფლაციისა და უნივერსიტეტის განვითარების გათვალისწინებით); გადასაწყვეტია მათი სამედიცინო დაზღვევისა და სრულფასოვანი დასვენების საკითხებიც; დასაბრუნებელი და შესაკეთებელია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი; თბილისის უნივერსიტეტის ნგრევით დაიწყო მოშლა სწორედ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ჩაყრილი საძირკვლებისა.

სწორეთაც ჩემი უნივერსიტეტში რექტორად არჩევის შემთხვევაში თქვენთან ერთად ვიბრძოლებ ზემოთხსენებული და მუშაობის პროცესში აღმოჩენილი უნივერსიტეტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტისათვის; გავაღრმავებ საერთაშორისო კავშირებს; მოვიზიდავ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ცნობილ პროფესორ-მასწავლებლებს (უნივერსიტეტის იმიჯის ასამაღლებლად); მოვიზიდავ უცხოელ სტუდენტ ახალგაზრდობას, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება უნივერსიტეტისათვის; უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიებში დავამუშავებთ საქართველოსა და მსოფლიოში აქტუალურ სამეცნიერო თემატიკას და საერთაშორისო ბაზარზე გავიტანთ უნივერსიტეტის ინტელექტუალური მუშაობის ნაყოფს, რაც უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გაუმჯობესებს;

მე-11 გვერდზე

ვირჩევთ რექტორს

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

მეათე გვერდიდან

ამავდროულად დავიცავთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ინტელექტუალური შრომის შედეგებს; უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთვება კურსდამთავრებულთა შესაბამისი პროფესიებით დასაქმების საქმეში (დადებს ხელშეკრულებებს განვითარებული ქვეყნების შრომის ბირჟებთან და პროფესიულ კავშირებთან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების სათანადოდ დასასაქმებლად); პირველ ეტაპზე წარჩინებული სტუდენტების (შემდგომ ყველა სტუდენტის) სწავლის პროცესში სწავლის გადასახადიდან განთავისუფლდება და, დასაქმების შემდგომ, ხელფასიდან სწავლის საფასურის დაკავება; უნივერსიტეტში არსებობდა და მიმაჩნია, უნდა აღდგეს კოსმიური ზონდირებ ის ლაბორატორია; ჩვენი ქვეყნისათვის, დღეისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის ფაკულტეტზე არსებული კვების პროდუქტების ხარისხის შემსწავლელი კვლევითი ლაბორატორიის აღდგენა; აგრეთვე, მნიშვნელოვანია გეოგრაფია-გეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის აღდგენა, უამრავი სხვა ლაბორატორია-ცენტრების აღდგენა და განახლება (უახლოეს წარსულში უნივერსიტეტს 20-ზე მეტი მსოფლიო თუ საკავშირო დონის სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორია და ცენტრი გააჩნდა); უნივერსიტეტში უნდა აღდგეს, გაიზარდოს და განახლდეს ფაკულტეტთა რაოდენობა; აღდგეს და შეიქმნას ახალი ფილიალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ფილიალები უნდა გაიხსნას მეგობარი ქვეყნების ტერიტორიაზე და ქართული სათვისტომოების აქტიური დახმარებით დღეს მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ტერიტორიებზეც კი.

■ აღდგენილ, განახლებული და შექმნილი უნდა იქნას შემდეგი ფაკულტეტები თავისი სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიებით:

1) ფილოლოგიის ფაკულტეტი;
2) ევროპის ქვეყნების ენათმცოდნეობის ფაკულტეტი;
3) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი;
4) ისტორიის ფაკულტეტი;
5) იურიდიული ფაკულტეტი;
6) ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ;
7) ფიზიკის ფაკულტეტი;
8) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი;
9) ქიმიის ფაკულტეტი;
10) ბიოლოგიის ფაკულტეტი;
11) სამედიცინო ფაკულტეტი;
12) გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტი;
13) ეკონომიკის ფაკულტეტი;
14) ტურიზმისა და მარკეტინგის ფაკ;
15) ფსიქოლოგიის ფაკულტეტი;
16) ჟურნალისტიკის ფაკულტეტი;
17) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ;
18) რელიგიათმცოდნეობის ფაკ;
19) დიპლომატიის ფაკულტეტი;
20) არქეოლოგიის ფაკულტეტი;
21) ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი;
22) კომერციის ფაკულტეტი;
23) ინფორმატოლოგიის ფაკულტეტი;
24) კულტუროლოგიის ფაკულტეტი;
25) სპორტისა და ჯანდაცვის ფაკ;

(ცნობისათვის, ბოლონიის უნივერსიტეტში 24 ფაკულტეტია.)

■ აღდგენილ უნდა იქნას სამხედრო პატრიოტული განათლების კათედრა;

■ აღდგენილ, განახლებული და შექმნილი უნდა იქნას:

1) დიპლომისშემდგომი გადამზადების ცენტრი;
2) კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი;
3) კოსმიური ზონდირებისა და კოსმიური ინფორმაციის დამუშავების ცენტრი;
4) კავკასიოლოგიის ცენტრი;
5) ანომალიური მოვლენების შემსწავლელი ცენტრი (რომელიც მოიცავს: პოლიტოლოგიას, ეკონომიკურ კრიზისებს, დემოგრაფიულ, სოციალურ და სხვა სფეროებს.);
6) მასობრივი სპორტული და გასართობ ღონისძიებათა ოპტიმალური მართვის შემსწავლელი ცენტრი;
7) საქართველოში მცხოვრები მცირე ერებისა და მსოფლიოში გაფანტული ჩვენი თანამემამულეთა სახელმწიფო ენის შემსწავლელი ცენტრი;
8) შესაბამისი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ცენტრი;
9) დისტანციური სწავლების ცენტრი.

განახლდეს და აღიჭურვოს თანამედროვე ტექნოლოგიებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, შეივსოს იგი ახალი, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს სამეცნიერო ელექტრონული ლიტერატურა, დაევალოს ფაკულტეტებს, კათედრებს და ცენტრებს სამეცნიერო ნაშრომებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის ვებ სივრცეში განთავსება.

მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტი არ არის ნივთი: სკამი ან მაგიდა – რომელსაც არ ეკითხებიან, როგორ უნდა გააკეთონ იგი. უნივერსიტეტი ცოცხალი სულიერი ორგანოა, მისი აღმშენებლობა სწორედაც რომ უნდა დავეკითხოთ ქართველ ხალხს, ქართულ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, საზოგადო მოღვაწეებს... (ჩემთვის გასაკვირიც და გასაოცარიც არის ის, თუ რატომ არ მონაწილეობს უნივერსიტეტის რექტორის არჩევაში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი და, საერთოდაც, პროფესორ-მასწავლებლების მთელი არმია, რომლის ბედიც ამ არჩევნებით წყდება).

სტრატეგიული პარტნიორების ძიებაში უნივერსიტეტმა არ უნდა დაკარგოს თავისი თვითმყოფადობა, ეროვნული მუხტი. რეალურად უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ ეროვნული მოძრაობითა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ძიებით გულანთებულებს, საბჭოთა რეჟიმის მიერ მსოფლიოს პოლიტიკურ, ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეულებს, სხვა აუცილებლობასთან ერთად, გაუთვალისწინებელი დაგვრჩა, რომ მეოცე საუკუნის პოლიტიკური ტექნოლოგიებით, სწორედ ჩვენეული დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ძიება შეიძლებოდა ქცეულიყო ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიების დაპყრობის ახალ საშუალებად და გზად, ყალბი ჰუმანიზმისა და ყალბი მეგობრობის მსხვერპლად. მსოფლიო დანაშაულებრივი და უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის, რომელმაც საქართველოში, ყველაზე ბუნებრივსა და ყველაზე უფრო ღვთით მონიჭებულ დარგს საქართველოში: მიწათმოქმედებას, სოფლის მეურნეობას და სოფელს, მიზანმიმართულად არ მისცა გასაქანი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა აღდგეს სამეცნიერო ლაბორატორიები და ჩვენი ცივილიზაციის ცნობიერების და თანამედროვეობის პოლიტიკური ტენდენციების ანალიზის საფუძველზე მომზადდეს თეოლოგიური კონცეფცია ერის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ეროვნულ პოზიციასა და ხედვას მსოფლიოს ახალი წესრიგის მსოფლმხედველობრივი ორიენტაციისათვის. გვაქვს კი ჩვენ სახელმწიფო, რომელსაც აინტერესებს ქართული მეცნიერება და მეცნიერული აზრის ძალა?! ძალგვიძს კი ჩვენ, მეცნიერებს, მოვუწოდოთ მსოფლიოს, ვაჭრული და იმპერიული პოლიტიკიდან გარდაისახოს ჭეშმარიტად ჰუმანური და კეთილშობილიური პოლიტიკისაკენ?! მოგვისმენს კი ამ პატარა ერს ეს გამგელებული და მტაცებლობისკენ მიდრეკილი მსოფლიო?

მეოცე საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის ამბიონიდან ქართველმა ხალხმა დაიმახსოვრა თავისი ახლად მობრძანებული პატრიარქის საოცრად ამამაღლებელი ქადაგება: „ერი შეიძლება რიცხობრივად იყოს დიდი და ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა... ერი შეიძლება ეკონომიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ძლიერება ერისა... ერი შეიძლება ტერიტორიულად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა... ერი შეიძლება სამხედრო ძლიერებით იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არის ძლიერება ერისა... ჭეშმარიტი ძლიერება მის სულიერ ძლიერებაშია“. გვაქვს კი ჩვენ ეს რწმენა ეროვნული ძლიერების ჭეშმარიტი რაობისა და სულიერი ფასეულობის შეგრძნების?

დღეს თბილისის უნივერსიტეტს ანგრევენ იმიტომ, რომ დიდიაო იგი... ანგრევენ დაპატარავების მიზნით, ანგრევენ პატარები.

საქართველოსაც და თბილისის უნივერსიტეტსაც მოწამეობისა და განსაცდელის ჟამი უდგათ...

გვწამდეს, თბილისის უნივერსიტეტი ისევე გაბრწყინდება ამ ნგრევით, როგორც ჯვარცმით გაბრწყინდა იესო, მაცხოვარი და უფალი ჩვენი!

გმადლობ ყურადღებისათვის!

თეიმურაზ ურუშაძე

ავტობიოგრაფია

ექიმი, მედიცინის დოქტორი/Ph.D.
ირაკლი აბაშიძის №37, თბილისი
ტელ: 2929253; მობ: 10 56 16
ელ.ფოსტა: temuri52@gmail.com

განათლება

2003 წ. აშშ — Ph.D მედიცინის დოქტორი — აკადემიური ხარისხი;

1985 წ. მოსკოვი — პიროგოვის სახელობის ქირურგის ცენტრი, საკანდიდატო დისერტაცია „Celiac არტერიის სტენოზი“;

1978-1980 წწ. მოსკოვი — ბაკულევის სახელობის გულ-სისძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტი, გულ-სისხლძარღვთა ქირურგის დიპლომი;

1976 წ. თბილისი — სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ექიმის დიპლომი;

ლიცენზიები:

თერაპია (თბილისი), გულ-სისხლძარღვთა ქირურგია (მოსკოვი), კარდიოლოგია (მოსკოვი), ულტრასონოგრაფია (აშშ)

კვალიფიკაცია და სერტიფიკატები:

2005 წ. აშშ — ამერიკის რადიოლოგიის დიაგნოსტიკური ცენტრი, გულის, სისხლძარღვთა, მუცლის ღრუსა და სხვა მცირე ორგანოების გამოკვლევის უფლების საერთაშორისო სერტიფიკატის მონიჭება, აღიარებული ამერიკისა და ევროპის წამყვან ქვეყნებში;

2004 წ. აშშ — ჩააბარა ECFMG-ში ექიმების გამოცდები, კლინიკური მეცნიერებების გამოყენება პრაქტიკაში;

2002 წ. მონტერიე პარკ, კალიფორნია/აშშ — კაპლანის სახელობის უნივერსიტეტი, ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები;

2002 წ. აშშ — ჩააბარა აშშ-ში ამერიკელი ექიმებისათვის ექიმად მუშაობის უფლების მოსაპოვებელი გამოცდა USMLE /Step 3;

1999 წ. აშშ — ჩააბარა ECFMG-ში ექიმების გამოცდები კლინიკური მედიცინა/Step 2;

1997 წ. აშშ — ჩააბარა ECFMG-ში ექიმების გამოცდები მედიცინის საფუძვლები/Step 1;

1989 წ. მოსკოვი — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, სერტიფიკატი კარდიოლოგიაში;

მე-12 გვერდზე

ვირჩევთ რექტორს

თეიმურაზ ურუშაძე

ავტობიოგრაფია

სამუშაო გამოცდილება

2005-2010 წწ. კალიფორნია/აშშ — თანამედროვე დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი;

2008-2010 წწ. ლონგ ბიჩი, კალიფორნია/აშშ — Memorial Hospital, ექიმ ჯორჯ ტარეკის კლინიკა, მრჩეველი-კონსულტანტი მედიცინისა და ბიზნესის დარგში;

2005-2010 წწ. ბევერლი ჰილსი, კალიფორნია/აშშ — კალიფორნიის უნივერსიტეტი, პროფესორ ჯორჯ მედნიკის კლინიკა, ექიმი-კონსულტანტი სამედიცინო ბიზნესისა და კლინიკური კვლევების განვითარების დარგში;

2006-2008 წწ. ლოს-ანჟელესი, კალიფორნია/აშშ — კარდიოლოგიური ცენტრი, ექიმი-კონსულტანტი;

2001-2005 წწ. შერმან ოაკს, კალიფორნია/აშშ — ექიმ შერმანის სამედიცინო კლინიკა, მრჩეველი-კონსულტანტი;

2001 წ. ნორვალკ, კალიფორნია/აშშ — მეტროპოლიტენის სახელმწიფო საავადმყოფო, ექიმი;

1988-1990 წწ. მოსკოვი, რუსეთი — მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლ ძარღვთა ქირურგიის ცენტრი, უფროს მეცნიერ-თანამშრომელი;

1985-1993 წწ. თბილისი — საქართველოს ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ექიმი;

1980-1985 წწ. მოსკოვი — პიროგოვის სახელობის ქირურგიის ცენტრი გულ-სისხლძარღვთა ქირურგი;

1976-1978 წწ. თბილისი — ონკოლოგიის ცენტრი, ექიმ-ქირურგი;

აქტიურ მონაწილეობას იღებდა კარდიოლოგებისა და რადიოლოგების საერთაშორისო კონფერენციებში.

- არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალებში.
- სრულყოფილად ფლობს: ქართულს, ინგლისურს, რუსულს, საშუალო დონეზე ფლობს ესპანურს.

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი: 13 იანვარი, 1952 წ.

ეროვნება: ქართველი / (მოპოვებული აქვს ამერიკის მწვანე ბარათი, Green Card);

დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

საქართველოს დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული რეალური მდგომარეობის ანალიზის შედეგად იკვეთება ორი ძირითადი პრობლემა:

- საქართველოს სამთავრობო სექტორის ძირითადი მიმართულება — საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის საბოლოო გათანაბრება აშშ და ევროპის მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ საგანმანათლებლო სისტემის სტანდარტებთან, რაც ნათლად აისახა საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩართვით.
- საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების დღეისათვის არსებული მდგომარეობა, ცალკეული ასპექტებით, უახლოვდება სასურველ სტანდარტებს, მაგრამ მთლიანობაში საგრძნობლად ჩამორჩება მისაღწევ მიზანს, რაც აბრკოლებს საქართველოს კადრების ინტეგრაციას მსოფლიო განვითარების პროცესში.

სამოქმედო გეგმის მიზანი:

კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალზნეობრივი, საერთაშორისო სტანდარტების დონის კადრის მომზადება; სამეცნიერო პოტენციალის განვითარება მართვის დემოკრატიული მოდელის საფუძველზე; პროგრამული სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა; ეროვნული საუკუნოვანი სკოლის ტრადიციებისა და მსოფლიოში აღიარებული სწავლების გამოცდილების შერწყმა სათანადოდ მომზადებული პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამედროვედ აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენებით.

დასახული მიზანი განხორციელდება ეტაპობრივად

საგანმანათლებლო ქმედებები ეფუძნება საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფას, რომელიც უზრუნველყოფს:

- სპეციალისტების მომზადების ხარისხისა და საგანმანათლებლო მომსახურების განვითარებას;
- ატესტაციის, აკრედიტაციის და სერტიფიცირების თანამედროვე შკალაზე გადასვლას კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის აქამდე არსებულ საგანზე ორიენტირებული მიდგომიდან გადასვლას პიროვნებაზე ორიენტირებულ ფორმაზე და სპეციალისტების მომზადების სისტემის სრულყოფა, რაც უნივერსიტეტისთვის დამატებით კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს;
- უნივერსიტეტის მობილობას, მოქნილობასა და მზადყოფნას რიგი იმ ახალი სპეციალობების (ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და ა.შ.) შექმნაში, რომელზედაც მოთხოვნილებაა და მუდმივად ცვალებად ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მიმართულებებს პასუხობს, სოციალურ შეკვეთებს საქართველოსა და საერთაშორისო სივრცეში.
- შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას და გარე დისტანციური სწავლების სისტემის შექმნას, რომელიც უნივერსიტეტისთვის უზრუნველყოფს ახალ საგანმანათლებლო სივრცეს, მნიშვნელოვნად გააფართოებს საგანმანათლებლო მომსახურების გეოგრაფიულ ბაზარს, შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს აქტიური მარკეტინგული პოლიტიკა, რითაც შეიქმნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის დამატებითი წყარო.

სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ერთიანობის უზრუნველყოფა:

- სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩოების გაფართოება კონკურსებში, გრანტებსა და პროგრამებში მონაწილეობის, ლაბორატორიების, ინსტიტუტების, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრების, კლინიკების და ა.შ. შექმნის გზით.
- სტუდენტების მოზიდვისა და ჩართვის აქტივიზაცია, ინდივიდუალური სწავლების ჩარჩოს შექმნა განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტებისთვის, მიზანმიმართულების შექმნა, სტაჟირება უცხოეთში — მაგისტრატურა-ასპირანტურა-დოქტურანტურა;
- სამეცნიერო კვლევები უნდა დარჩეს უნივერსიტეტის მოქმედების წამყვან სფეროდ ფუნდამენტურ, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, იურიდიულ და სამედიცინო მიმართულებებში. სამეცნიერო კვლევები უნდა იყოს ახალი ცოდნის მოძიების, სპეციალისტების მომზადების, მომავალი წარმოების ათვისების, ახალი ტექნოლოგიების, ქვეყნისა და რეგიონალური ეკოლოგიის, ეკონომიკის, სოციალური, კულტურული, ბალანსირებული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მუდმივი წყარო.

სასწავლო პროგრამების შემუშავება მოხდება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციების მიხედვით საათობრივი და კრედიტების სისტემის საფუძველზე.

- ევრო-გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების და აშშ საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობა და საქართველოში არსებულ პროგრამებთან შეჯერება საფუძველს მოგვცემს, ბოლონიის პროცესში მონაწილეობით მოვამზადოთ საერთაშორისო დონის კადრები.

სტუდენტთა შეფასება:

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიღწევადია, რომ გამოცდები, რომლებიც სტუდენტს და სპეციალისტს საერთაშორისო სერტიფიცირების (როგორიცაა ECFMG, USMLE, Prometric Center და სხვა) საშუალებას მისცემს, ჩატარდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ისეთი მონიტორინგის ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და პროფესიონალურ კონტროლს, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მაგალითად, აშშ-ის მოთხოვნებს. ამით გზა გაეხსნებათ ახალგაზრდებს — იყვნენ კონკურენტუნარიანი და იმუშაონ თავისი პროფესიით.

პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებისათვის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ.

მათ საშუალება უნდა მიეცეთ განავითარონ და გააფართოვონ სწავლების შესაძლებლობები. ამდენად, პროფესორ-მასწავლებლებს საშუალება მიეცემათ უცხოეთის წამყვან ქვეყნებში გაიარონ სტაჟირება, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში.

გარდა ამისა, გაცვლითი პროგრამებით დამეგობრებულ უნივერსიტეტებთან პროფესურას და სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა — ითანამშრომლონ უცხოეთის წამყვან სპეციალისტებთან. პროგრამული სწავლების დონის ზრდას, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან დაახლოებას უცილობლად მოყვება სტუდენტთა ცოდნის გათანაბრება საერთაშორისო განათლების სტანდარტებთან, ეს კი გამოიწვევს სტუდენტების რაოდენობის ზრდას, რაც უნივერსიტეტის მატერიალურ-ფინანსურ ბაზას გაზრდის. აღნიშნული უნივერსიტეტის მმართველობას შესაძლებლობას მისცემს— მოიზიდოს მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც დღევანდელ რეალობაში სხვადასხვა კერძო სტრუქტურებშია გაფანტული.

სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა:

წინამდებარე სამოქმედო გეგმა ლამაზ ოცნებად დარჩება, თუ არ შეიქმნა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც განხორციელდება სწორი თანამედროვე და კეთილსინდისიერი მენეჯმენტის საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, კაპლანის უნივერსიტეტის მენეჯმენტი. ბედნიერება მქონდა მრავალი წლის განმავლობაში განათლება მიმეღო ამ და სხვა საერთაშორისო დონის უნივერსიტეტებში. ჩემი მიზანია ამ ცოდნისა და გამოცდილების სინთეზი ეროვნულ-საგანმანათლებლო ტრადიციებთან.

მართვის დემოკრატიული მოდელის საფუძველი გახდება:

- უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების განხორციელება საჯაროობის, ნდობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში;
- განსაკუთრებულად წახალისებული იქნება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურების წინადადებები;

საერთაშორისო სფერო

საერთაშორისო სფეროში კონტაქტების დამყარება და მემორანდუმების გაფორმება ევროკავშირისა და აშშ შესაბამის ინსტიტუციებთან, პროგრამების, ბიბლიოთეკის, პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების, საერთო სამეცნიერო პროექტების შემუშავების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში აღზრდილი კადრების ცოდნის გათანაბრებას თანამედროვე დონესთან.

ვირჩევთ რექტორს

მარიამ ცაცანაშვილი

ავტობიოგრაფია

დაბადების თარიღი — 15 სექტემბერი, 1963 წ.

დაბადების ადგილი — თბილისი

ეროვნება — ქართველი.

ტელეფონი / ფაქსი: — (+ 995 32) 25 38 10

მობილური: — (+ 995 99) 70 11 55

E-mail: — mar@mmg.ge

განათლება, მეცნიერული ხარისხი და წოდება:

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სამუშაო გამოცდილება:

2008 წ. - დღემდე — საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

2006-2008 წწ. — კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სრული პროფესორი;

2003-2005 წწ. — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

2001-2003 წწ. — საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;

2000-2001 წწ. — საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული სამსახურის უფროსი;

1999-2001 წწ. — საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

1995-1999 წწ. — საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახური, მრჩეველი;

1985-1995 წწ. — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი;

საკლასო ჩინი: — ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.

სახელმწიფო კომისიები და ქვეკომისიები:

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული 8 სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ან წევრი

პუბლიკაციები: — 45 სამეცნიერო სტატია (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) სამართლის ისტორიაში, ინფორმაციული სამართლისა და მდგრადი განვითარების პრობლემებზე. მათ შორის 4 მონოგრაფია.

სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, ლექციები:

- 2010 წ. ბონის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გერმანია), ლექცია: „2008 წლის კიბერომი საქართველოში“;
- 2008 წ. მე-18 საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი პოლონეთში. მოხსენება: „ინფორმაციული უსაფრთხოების ევროპული სისტემის ფორმირება: პრობლემები და გადაწყვეტა“;
- 2007-2008 წწ. მეორე და მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი (თბილისი), „ცივილიზაციათა დიალოგი – განათლება და აღზრდა, როგორც საშუალება მხარეთა თანამშრომლობისა“ (ორგანიზატორი);
- 2005 წ. აგვისტო, სტაჟირება „კომუნიკაციები სამართლებრივ ურთიერთობებში“, საარბრიუკენი (გერმანია);
- 2000 წ. „საჯარო ადმინისტრაციის ორგანიზაცია“, კონფერენციის მონაწილე, (SIPU-შვედეთი);
- 2000 წ. „საჯარო მოხელის სამსახურებრივი სტატუსი“, კონფერენციის მონაწილე (SIDA-შვეიცარია);
- 1999 წ. იურიდიული სწავლების მეთოდიკა. სემინარის მონაწილე (londoni City University).

სამეცნიერო ორანიზაციები და სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

- 2001 წ. — გელათის მეცნიერებათა აკადემია, სწავლული მდივანი;
- 2005-2008 წწ. — ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემია (აშშ);
- 2006 წლიდან — საქართველოს დიპლომატიური აკადემია;
- 2006 წლიდან — აზერბაიჯანის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს წევრი. (У. 23.00.00);
- 1995-1999 წწ. — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (У 12.00. №1) წევრი და სწავლული მდივანი.

რედაქტორობა და რედკოლეგიის წევრობა (პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი):

„ინტელექტი“, „სამართალი“, „ელექტრონული იურიდიული ჟურნალი“, „ახალი ათასწლეული“ - (საქართველო), „სამართალი და პოლიტოლოგია“ - (აზერბაიჯანი-საქართველო რუსულ ენაზე), ელექტრონული ჟურნალი „informacion and society“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე - www.informsic.org)

არასამთავრობო ორგანიზაციები (დამფუძნებელი და/ან დირექტორი):

არასამეწარმეო (NGO):

- მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი;
- ეკოლოგიის სტრატეგიული კვლევების ცენტრი;
- გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრი;
- ინფორმაცია და საზოგადოება.

ტექნიკური უნარ-ჩვევები და უცხო ენები:

- MS Word; Excel; Flash Adobe Photoshop CS2; PowerPoint; Dreamweaver და სხვა.
- რუსული – თავისუფლად; ინგლისური - საშუალოდ.

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიზანია: ჩამოყალიბდეს 21-ე საუკუნის ახალი ტიპის უნივერსიტეტი, რომელშიც ორგანულად იქნება შერწყმული ტრადიციული კლასიკური უნივერსიტეტისა და სწრაფად მზარდი ინოვაციური სექტორისათვის დამახასიათებელი პრინციპები. რეფორმების არსი, პირველ რიგში, სწორედ ასეთ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული.

პრინციპები: უნივერსიტეტი - ქართული კულტურის ნიშანსვეტი; უნივერსიტეტის მიღწევები — ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოების გარანტი; უნივერსიტეტი — კულტურათა დიალოგისა და ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის კერა.ავტონომია კვლევისა და შემუშავების პროცესში.

პრიორიტეტები: 1) უნივერსიტეტი — ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცეში; 2) კვლევისა და შემუშავების პროცესში თავისუფალი სააზროვნო გარემოს შექმნა; 3) ქართული სახელმწიფო ენის პოლივალენტოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ახალი ისტორიული პარადიგმის შესაბამისად;

4) მულტილინგვური სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების განვითარება;

5) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების მართვა; 6) ინოვაციები – ქვეყნის უსაფრთხოების, მისი სულიერი და ტექნოლოგიური განვითარებისათვის;

7) სტუდენტებისა და აკადემიური კორპუსის პროფესიონალური მობილობის აქტივიზაცია და მათი სოციალური დაცვა.

■ **საგანმანთლებლო საქმიანობის სფერო.** ხარისხიანი სწავლის უზრუნველყოფა ფუნდამენტური განათლების შენარჩუნებისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი. სწორედ ესაა, დღეს, საზოგადოებრივი დაკვეთა, რომელსაც მართვის ადეკვატური პასუხი სჭირდება.

ღონისძიებები: გადაიხედება პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამები: შეფასდება რამდენად თანხვდება ისინი ბაკალავრისათვის ცოდნის ფართო ბაზისა და პროფესიული კომპეტენციის უზრუნველყოფას; მაგისტრატურაში დიდი ყურადღება დაეთმობა პროფესიული დაოსტატების სასწავლო კურსების შექმნას; საუნივერსიტეტო ავტონომიის ფარგლებში დოქტორანტთა დაფინანსების საკითხიც შეისწავლება და, შეძლებისდაგვარად, მათ სასიკეთოდაც გადაწყდება; სწავლების ყველა ეტაპი და მიმართულება დაეფუძნება ფილოსოფიას; სავალდებულო სასწავლო პროგრამები შეივსება სტუდენტთა ინდივიდუალური მომზადების პროგრამებით; გადაიჭრება სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხი; კვირაში ერთხელ სტუდენტებისათვის დაინიშნება „რექტორის საათი“; განხორციელდება პროგრამა „სწავლა სიბერემდე“ და გაფართოვდება დისტანციური სწავლება; გაფართოვდება წარმოებასა და ბიზნესთან ურთიერთობა; გაიზრდება ოლიმპიადების როლი ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში; გაღრმავდება სპეციალიზებული სკოლების მხარდაჭერა; სწავლის ხარისხის გაზრდისათვის განხორციელდება „ხუთ სტუდენტზე ერთი პედაგოგისა“ და სასწავლო ცხრილების ოპტიმიზაციის პროექტი; აგრეთვე, ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამა მონაცემთა ბაზების დახვეწისა და ამ ბაზებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

■ **სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის სფერო.** დადგა დრო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილოს ისეთ მსხვილ და ამბიციურ პროექტებზე, როგორებიცაა: „გარემოს დაცვა“, „ბუნებრივი რესურსების შესწავლა“, „კლიმატის ცვლილებები“, „ეკოლოგიურად სუფთა წარმოება“, „განახლებადი ენერგეტიკა“, „ბიოტექნოლოგიები“, „ნანოტექნოლოგიები“, „თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების, მონაცემთა ბაზების, ავტომატური თარგმანის პროექტები ქართულ და სხვადასხვა ენებზე“. მეცნიერების ამ დარგების პერსპექტიულობის განსაზღვრა, განათლების სამინისტროსა და მთავრობის დონეზე, სტრატეგიული გადაწყვეტილებების საკითხია. ამიტომ, უნივერსიტეტი იზრუნებს მთავრობის წინაშე სამეცნიერო საზოგადოების აზრის ლობირებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ დარგების პერსპექტიულობაზე.

ღონისძიებები: პრიორიტეტული იქნება დარგთაშორისი კვლევების დაფინანსება; კვლევების საკონკურსო შერჩევა ღია განხილვის საფუძველზე წარიმართება; განხორციელდება ტექნოლოგიების სელექცია და მათი ტრანსფერი საზღვარგარეთ; დაიწყება „სპინაუტკომპანიების“ ჩამოყალიბება; ხელი შეეწყობა მეცნიერული კვლევების შედეგების კომერციალიზაციას; მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველოლოგიური, კავკასიოლოგიური და დარგთაშორისი ახალი კვლევების დაფინანსებაში ჩაიდება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება დაეფუძნება სისტემურ და თანმიმდევრულ განახლებას; უნივერსიტეტი იქნება ინიციატორი საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის დღეების ჩატარებისა; სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად გადაწყდება აკადემიური შვებულების საკითხი; დაარსდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მულტილინგვური დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები; დასრულდება სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება (ბიბლიოთეკა, არქივი, მონაცემთა ბაზები და ბანკები, კომუნიკაციები); განხორციელდება საგანმანათლებლო კლასტერების ორგანიზება.

■ **საკადრო და სოციალური პოლიტიკა.** უნივერსიტეტის მთავარი ფასეულობა და, ამავე დროს, მისი ღირსება ადამიანებია. ტრანსფორმაციით გამოწვეულმა წინააღმდეგობებმა ნეგატიური ზეგავლენა არ უნდა იქონიოს საკადრო შემადგენლობისა და მისი მახასიათებლების სრულყოფაზე. საკადრო პოლიტიკა ისე უნდა განვითარდეს, რომ თითოეულმა უნივერსიტეტელმა თავი დაცულად იგრძნოს და სრულად შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება. ამიტომ, კონკურსით შერჩეული აკადემიური თანამდებობის პირი, დადგენილ ვადაში, კვალიფიკაციის მონიტორინგს ექვემდებარება და არა ხელახალი კონკურსით შერჩევის წესს.

მე-14 გვერდზე

ვირჩევთ რექტორს

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

მეცამეტე გვერდიდან

ღონისძიებები: 5 წლამდე გაიზრდება აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა;დაზუსტდება საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით მყოფი პროფესორის სტატუსი; შესაძლებლობების ფარგლებში გაიზრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დამხმარე პერსონალის ხელფასი;გადაწყდება ერთი რანგის პროფესორთა თანაბარი დაფინანსების საკითხი; გადაიხედება პროფესორებთან დადებულ კონტრაქტებს შორის ხელფასის სხვაობის საკითხი პროფესორის დატვირთვის გათვალისწინებით; შეიქმნება აკადემიური თანამდებობის პირთა საკვალიფიკაციო სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება კონკურსის დროს; დაკონკრეტდება საარჩევნო და შეფასების კრიტერიუმები; განხორციელდება„50+50 სტიპენდიის პროექტი“ (სამეცნიერო სტაჟირებები, პრემიები); შემუშავდება სპეციალური პროგრამა წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მივლინებისა და ერთობლივი კვლევებისათვის; დაწესდება უნივერსიტეტის დამსახურებული მოღვაწის სტიპენდია, რომელიც გაიცემა ემერიტუსის წოდებამდე; მოწესრიგდება სოციალური სადაზღვევო ბარათების გარანტირებულად გაცემის საკითხი; სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად დამუშავდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროგრამა; განხორციელდება მუდმივი კავშირი: უნივერსიტეტი – კურსდამთავრებული.

■ **საერთაშორისო კავშირების სფერო**. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი უნდა გახდეს კავკასიოლოგიასა და ქართველოლოგიურ მეცნიერებებში. ამ მიმართულებით სტუდენტთა მოტივაცია არა მარტო საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში სამსახური იქნება, არამედ კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის კვლევის საკითხებით დაინტერესება მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მულტილინგვური პროგრამებით ამ მიმართულების შევსება კვლევებს უფრო მობილურს გახდის.

ღონისძიებები: ექსპერტული ჯგუფების ფორმირება ცნობილი საერთაშორისო ჟურნალებისათვის ქართველ მეცნიერთა მიღწევების მისაწოდებლად; მეცნიერული მიღწევების სისტემური თარგმნის პროგრამის შემუშავება და განხორციელება; საერთაშორისო კონფერენციების, ფორუმებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა და ანალოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა; სტუდენტთა გაცვლის ორგანიზება იმ ფორმით, რომ ხელი შეეწყოს ცოდნის დაუნჯებას ქვეყნის საკეთილდღეოდ;

■ **უნივერსიტეტის მართვის დემოკრატიზაცია**. მართვის საჯაროობა და ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული ფუნქციათა კონკრეტიზაციაზე, მართვის ორგანოებს შორის მობილური კავშირების არსებობაზე, გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობაზე, მაკონტროლებელი ორგანოების დასკვნების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, აგრეთვე სხვა სამინისტროებთან სახელშეკრულებო ურთიერთობები კვლევისა და შემუშავების შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციას შეუწყობს ხელს.

ღონისძიებები: აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების შემადგენლობები გაიზრდება მიმართულებათა და ინსტიტუტების წარმომადგენლებით, არჩეული პირის გამოწვევის უფლებით; გაიზრდება ხარისხის მართვის ფუნქციები და ანგარიშგების მექანიზმები; დაწესდება საუნივერსიტეტო ომბუდსმენის თანამდებობა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა უფლებების დაცვას; ცალკეული მიმართულებების მიხედვით შეიქმნება კათედრები; მოწესრიგდება საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები; მობილური მართვისათვის გაანალიზდება მაკონტროლებელი ორგანოების დასკვნებში ასახული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა; წახალისდება სტუდენტური ინიციატივები; ყურდღება დაეთმობა სკოლებსა და ბავშვთა სახლებთან სტუდენტთა ურთიერთობას, რაც გაზრდის მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

გიორგი ჭინჭარაული

ავტობიოგრაფია

დაბადების თარიღი: 29.01.1947 წ.

დაბადების ადგილი: თიანეთის რაიონი სოფ. საჭურე

საცხოვრებელი ადგილის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 37 კორ. 1ა/61

ტელეფონი: 29-46-51

განათლება: უმაღლესი, ეკონომიკის დოქტორი

სამუშაო გამოცდილება:

1975 წლიდან 2009 წლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

1992-1995 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის პირველი ფრაქციის თავმჯდომარე, პარლამენტის კოლეგიის, ფინანსების და იურიდიული კომიტეტის წევრი.

2003-2005 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო საბჭოს წევრი.

1992-1995 წლებში საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრი.

1992 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული სოციალურ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი.

2005 წლიდან 2010 წლის 5 დეკემბრამდე სესტუს რექტორი.

სამეცნიერო მუშაობის შედეგები:

გამოქვეყნებული 200-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის, 12 მონოგრაფია.

2009 წელს „ეკონომიურ მოვლენათა კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები“

წარდგენილი იყო ნობელის სახელობის პრემიაზე.

არასამთავრობო საქმიანობის გამოცდილება:

1989 წლიდან დღემდე საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი და წევრი.

ჰობი: სპორტი, ტურიზმი.

სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

1. უმაღლესი განათლება არ მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობას. უნივერსიტეტი კი რეგულირდება სამეწარმეო საქმიანობის კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, უნდა დაისვას საკითხი პარლამეტის წინაშე — კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება.
2. საჯარო სამართლის სუბიექტს, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, არც საქართველოს, არც საერთაშორისო სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის კანონმდებლობა არ იცნობს. სხვა საქმიანობა კი არ არსებობს. ამდენად, საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა.
3. ზემოთ ხსენებული ანალოგიური საკანონმდებლო საკითხების სრულყოფის მიმართულებით უნდა განხორციელდეს მუშაობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის და სწავლების დონემ აიწიოს.
4. უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს ის ღონისძიებები და იმგვარად, რომლებიც ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის, ეკონომიკური და ადამიანური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.
5. სამამულო და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში უნდა წარიმართოს მუშაობა სამეცნიერო-პედაგოგიური, სტუდენტთა და სხვა პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.
6. უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ჩარიცხულებს თუ არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა, საკითხი დაისმება არა მარტო მათი გარიცხვის, არამედ იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებაც, რომელთაც არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღეს.
7. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება უნივერსიტეტის ყოფილი რექტორების საქმიანობის შესახებ. უღირსი რექტორების სურათები უნივერსიტეტის კედლებიდან ჩამოიხსნება და მათი გაკეთებული საქმეების დეტალურად შესწავლის შემდგომ ყველაფერი გამომზეურდება.
8. უნივერსიტეტში სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე შესწავლილი იქნება კუთხური, შოვინისტური და სხვა უარყოფითი გამოვლინებები, მოხდება შესაბამისი რეაგირება.
9. უნივერსიტეტში არსებული სტრუქტურების ფუნქციონირების კონკრეტული დაკვირვების შემდგომ, დემოკრატიზაციის პირობებში მოხდება მათი ოპტიმიზაცია და სრულყოფა.
10. უნივერსიტეტში თანამშრომელთა მიღება და კონკურსი ჩატარდება პირთა მორალური, პედაგოგიური და სამეცნიერო შედეგების მიხედვით.
11. სასწავლო პროგრამების, სილაბუსების და სხვა მსგავსი საქმიანობის აპრობირება მოხდება საჯაროდ. პლაგიატების და სხვა არაკეთილსინდისიერი პირების მიმართ მოხდება შესაბამისი რეაგირება.
12. უნივერსიტეტში ყურადღება დაეთმობა სისუფთავეს, განათებას, გათბობას, გამწვანებას და სხვა ანალოგიურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმეს.
13. უნივერსიტეტი გააძლიერებს კავშირებს სამამულო და საზღვარგარეთის იმ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების საქმიანობის ეფექტიანობას აამაღლებენ.
14. უნივერსიტეტში უნდა გაიზარდოს შეკვეთები სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაზე, ვინც შეკვეთას ვერ მიიღებს ან არ შეასრულებს დასაბუთების გარეშე, მათ მიმართ მოხდება შესაბამისი რეაგირება.
15. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მასობრივ ჩაბმას სპორტში და სამოქალაქო თავდაცვასა და ა.შ. ანალოგიური იქნება ის ძირითადი საპროგრამო მიმართულებები, რაც უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს.

„ხიბლი არაპოპულარობისა“

რა იმალება რევაზ სირაძის იდუმალების მიღმა

„ჩემი რელიგია არის ჭეშმარიტების ძიება ცხოვრებაში და ცხოვრებისა — ჭეშმარიტებაში, თუნდაც ვიცოდე, ჩემს სიცოცხლეში ამას ვერ მივაღწევ... ჩემი რელიგია არის დაუცხრომელი და დაუსრულებელი ბრძოლა იდუმალებასთან“.

მიგელ დე უნამუნო

მაია ტორაძე

ჩვეულებრივ მოკვდავთ მათი არ გვესმის... ისინი სხვა განზომილების ადამიანები არიან და ცხოვრებასაც სხვაგვარად აღიქვამენ – უფრო ღრმად... უფრო მეტყველად... უფრო მდუმარედ, რადგან მათი დუმილი ჩვენს ზარებზე ხმამაღლა ჟღერენ.

პირველად გაზეთ „კავკასიონში“ ვნახე... ის მაშინ ლიტერატურული დამატების — „არილის“ თანამშრომელი იყო და იქაც ასეთი მოდიოდა – თავმდაბალი, სიტყვაძუნწი და თბილი, იდუმალი გამოხედვით. მისი „სახისმეტყველება“ ახალი წაკითხული მქონდა. მოხიბლული ვიყავი ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით და უკან დავყვებოდი, რომ კარგად შემესწავლა – რა იყო ამ ადამიანის ხიბლი, რითაც ყველა სტუდენტი დატყვევებული ჰყავდა. მერე მასთან ერთად სუფრასთანაც მოვხვდი... იქ ცოტა სხვაგვარი ჩანდა — ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან და სიმღერასთან გაშინაურებული... ალბათ ბედნიერიც ვიყავი, რომ იმ ჰაერით ვსუნთქავდი, რომლითაც იმ დახშულ სივრცეში დიდი მეცნიერი და ქართული ლიტერატურის უბადლო მცოდნე, ბატონი რევაზ სირაძე სუნთქავდა.

ცოტა გვიან კიდევ უცნაური შეგრძნება მოვიდა... მივხვდი, რომ თუ ვინმე ბატონი რევაზ სირაძის პიროვნებასთან მიახლოებას დააპირებს, კარგად უნდა ფლობდეს დუმილის ენას. მისი ჭეშმარიტი აზრი ყოველთვის ფრაზებს მიღმა იმალება და ამასაც თავისი ხიბლი ჰქონია, რადგან მეცნიერულს იქით ბატონი რეზო პოეზიას ხედავს თავისი იდუმალებითა და ემოციით...

მასთან ინტერვიუც ასეთი იყო — დაწყებული ფრაზები და მის იქით ჩაკარგული აზრი, რომელიც კი არ უნდა **იგულისხმო, უნდა იგრძნო...**

♦ ♦ ♦

— ბატონო რევაზ, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ... თქვენი ბავშვობა საიდან იწყება, რა გახსენდებათ სათავეებიდან?

— ფილოლოგების ოჯახში გავიზარდე. მამა ოზურგეთის განათლების განყოფილების გამგე იყო. დედა – სკოლის მასწავლებელი... რაც ყველაზე ცხადად მახსოვს, ესაა ომის პერიოდის შეჭირვებული ცხოვრება და უამრავი კარგი წიგნი სახლში. არ მახსოვს პირველად რა წიგნი წავიკითხე, მაგრამ მახსოვს ის, რომ მამის მეგობრები მირჩევდნენ, რა წამეკითხა. მაშინ პროვინციაში ლიტერატურის მიმართ დიდი ინტერესი იყო და პირველ ვაჟთა სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, გასაოცარი პედაგოგები მყავდნენ.

სწავლა ოქროს მედლით დავასრულე. მაშინ, მოგეხსენებათ, ასეთი მოსწავლეები ცოტანი იყვნენ და მათ მიმართ სკოლაში დიდი მოთხოვნა იყო. ამიტომ, უფლება გვქონდა, სადაც გვინდოდა, იქ შეგვეტანა საბუთები და უგამოცდოდ ჩავრიცხულიყავით. ძალიან კი მეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მაინც ფილოლოგია ავირჩიე. იყო ამაში რაღაც **რომანტიზმი** და ილუზია... ყოველ შემთხვევაში ასე მეჩვენებოდა...

— რა იყო ეს ილუზია – მწერლობასთან ახლოს ყოფნა თუ რაღაც სხვა...

— ძნელია რამე აკადემიური სიტყვა მოუძებნო ამას... ეს იყო რაღაც... და ეს „რაღაც“ ძალიან საინტერესო სიტყვაა. არც ილუზიაა ადამიანის გონებისთვის უცხო. ჩვენი ცხოვრების ნახევარი ილუზიებში მიდის...

— მერე იყო უნივერსიტეტი... რას ელოდით და რა დაგხვდათ, რამ განაპირობა თქვენი ინტერესები მეცნიერებაში?

— დიახ, მერე იყო უნივერსიტეტი, სადაც, ღვთის წყალობით, ერთიმეორეზე აღმატებული პედაგოგები მასწავლიდნენ. ბევრს არ ვილაპარაკებ ბატონ კორნელი კეკელიძეზე, რომლის ასპირანტიც გახლდით... არც ბატონ აკაკი შანიძეს სჭირდება ჩემი დახასიათება, მაგრამ, რადგანაც ბატონი კორნელის გადაწყვეტილებით, ასპირანტურის კურსი ძველ ქართულ ენაში ბატონ აკაკისთან გავიარე, მასაც ჩემს პედაგოგად მოვიხსენიებ. დიდად გამოვდექი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მათგან წამოსული მოვალეობის გრძნობა შემრჩა მაინც.

თანმიმდევრობას დავარღვევ და აქვე ვიტყვი — ბატონ აკაკისთან ურთიერთობამ გამოიწვია, რომ 1973 წელს ერთი წლით მივლინებული ვიყავი ბულგარეთში **პეტრიწონის** მონასტრის ისტორიის შესასწავლად... იქ ყოფნა ჩემთვის სკოლა იყო, რადგანაც წიგნებში ყოველთვის არ წერია ის, რაც მე იმ სამონასტრო ცხოვრების დროს ვნახე. სხვათა შორის, ისინი დიდ პატივისცემას იჩენდნენ საქართველოსა და ყველაფერ ქართულისადმი, რაც გამოხატული იყო ქართული ეკლესიისადმი პატივისცემაში.

ჩემი პედაგოგი იყო, ასევე, ბატონი გრიგოლ კიკნაძე, რომლისგანაც, გარდა აკადემიური ცოდნისა, მოდიოდა ადამიანური, ძლიერი იმპულსები, რაც შინაგანად უნდა გქონდეს, რომ სტუდენტსაც გადასცე.

მათ გვერდით უნდა გავიხსენო ბატონი ტრიფონ რუხაძე, რომელმაც იცოდა ყადრი მეცნიერებისა, რომ ეს კაცად-კაცური, კარგი საქმეა. ახალგაზრდები, მით უმეტეს, ფილოლოგები, მთლად ვერ მოსწყდებიან ბოჰემისტობას, მაგრამ მის წინაშე ჩვენ წარვდგებოდით არა საჩვენებლად, არამედ ისეთივე პასუხისმგებლობით, როგორც თვითონ გვექცეოდა. მეცნიერული **პასუხისმგებლობა** იმ თაობისთვის რაღაც სხვა იყო — მახსოვს, მეორე კურსზე ხელნაწერთა ინსტიტუტში მიგვიყვანეს და გამომიტანეს წიგნი, რომელიც ცოტა დაუდევრად გადავშალე. ისე შეწუხდა დიდი ილია აბულაძე, რომ ამის მერე მე ეს აღარ გამიკეთებია.

თქვენს თაობას არ ემახსოვრება ფარნაოზ ერთელიშვილი, რომელიც სტუდენტთათვის დიდი პედაგოგი და არაჩვეულებრივად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ. ჩემი ლექტორი იყო ქალბატონი მზექალა შანიძეც....

— ქალბატონ მზექალას სიმკაცრეზე ლეგენდები დადის... თუ საიდუმლო არ არის, თქვენ რა დაგიწერათ გამოცდაში?

— ალბათ მაღალი შეფასება, რადგან ასპირანტურაში ვსწავლობდი...

— ვხვდები, როგორი სიყვარულით საუბრობთ თქვენს ლექტორებზე და მეჩვენება, რომ მაშინ სხვაგვარი დამოკიდებულება იყო ლექტორსა და სტუდენტს შორის და ჩემს თვალში სტუდენტობასაც სხვა შარავანდი ადგას... რეალურად როგორი იყო სტუდენტსა და ლექტორს შორის დამოკიდებულება თქვენს დროს?

— არ ვეცდები ხელოვნურად გავაღრმავო და ვიტყვი იმას, რაც იყო – არაფერს არ გიკარგავდნენ. თუ ნიჭს შეგატყობდნენ, ხელს გიწყობდნენ, გეხმარებოდნენ. ისე, ასეთი რამ ყოველთვის იყო და დღესაც არის. მართალია, თაობა შეიცვალა, მაგრამ შეცვლა არ ნიშნავს, მაინცდამაინც, ცუდისკენ წასვლას... უბრალოდ, ცუდი ჩანს... კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, ერთი ჩხუბი რომ მოხდეს რუსთაველის ბოლოში, მთელი ქალაქი უცებ გაიგებს, არადა, რამდენი პატიოსანი კაცი დადის იქ და არავინ არაფერი იცის მათ შესახებო... ამ თაობაში ძალიან კარგი ახალგაზრდობაა და ნუ გაგვიკვირდება, თუ ნაკლი ბევრი ჩანს – 20 წელიწადია რადიოთი, ტელევიზიითა თუ ქუჩაში ერთმანეთის **ლანძღვა და დაუნდობლობა** ისმის და ჩანს...

— თავად როგორი სტუდენტი იყავით?

— ჩვენ მაშინ გამოკვეთილი ლიტერატურული ინტერესები გვქონდა. უნივერსიტეტის ბაღში შეხვედრები ერთი რამ სიამოვნება იყო... აქ თავს იყრიდა ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც ლიტერატურულ სიახლეებზე მსჯელობდა და კამათობდა. ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობდით...

ჩემს მომდევნო კურსზე სწავლობდა დიდი ქართველი მწერალი ჯემალ ქარჩხაძე, ვინ იცის დღეს, რომ იგი მართლა დიდი მწერალია? იციან ლიტერატორებმა და, რომ ვუფიქრდები, არცაა საჭირო ყველამ იცოდეს. მცოდნემ იცის! საერთოდ, ჯემალ ქარჩხაძესთან მიმართებაში გამიჩნდა აზრი, რომ არსებობს ხიბლი **არაპოპულარობისა. ამას ლა**მაზ სიტყვად არ ვამბობ. კარგია, რომ გვყავს ამხელა მწერალი და ბევრმა არ იცის...

— თქვენი კურსი გამორჩეული სახელებითაც მდიდარი იყო...

— არაჩვეულებრივი კურსი მყავდა. სულ ერთად ვიყავით, მთელი საქართველო მოვიარეთ, თავადაც დავდიოდით და ბატონ ლევან მენაბდეც დიდად გვიწყობდა ხელს. ჩემი კურსელები იყვნენ თემურ მაღლაფერიძე (ცნობილი მწერალი და არაჩვეულებრივი პიროვნება) და შესანიშნავი ლიტერატორი ოტია პაჭკორია... ამ ადამიანზე გამოკვეთილად უნდა ვისაუბრო, რადგანაც მან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენზე. ის 8-9 წლით უფროსი იყო და ის-ის იყო დაბრუნდა კატორღიდან, სადაც პოლიტიკური ნიშნით გადაასახლეს. ყველას გვიკვირდა, როდის მოასწრო ამ ადამიანმა უკიდეგანო განათლების მიღება... ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ოტია ახსენებდა რომელიმე რუსი ან დასავლეთ ევროპელი მწერლის ნაწარმოებს და ჩუმად გავრბოდით საჯაროში ამ წიგნს წასაკითხად.

ეს იყო 50-იანი წლების ბოლო და 60-იანი წლების დასაწყისი. ჩვენ მოვესწარით დიდ გარდატეხას, რომელსაც მთელი თაობა ედგა სათავეში. ესენი იყვნენ: გურამ ასათიანი, ნოდარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, რეზი თვარაძე, ოტია პაჭკორია და სხვები. მათ მოახერხეს გაბატონებული სოციალისტური რეალიზმის შესუსტება. კი, არსებობდა ასეთი მიმდინარეობა, მაგრამ ჩვენ მათი წყალობით არასოდეს მოგვიწადინებია, მაგალითად, პარტიაში შესვლა.

— კომუნისტური პარტია პიროვნებისთვის მართლაც ასეთი დამთრგუნველი იყო თუ უბრალოდ არ გსურდათ ჩარჩოში მოქცევა?

— არ იყო ამის საჭიროება და სურვილი, არც გვაინტერესებდა, დამდაბლებად მიგვაჩნდა...

— რა ტიპის ლიტერატურას ეცნობოდით, რით სუნთქავდა თქვენი თაობა, რომელმაც საკუთარი მხრებით მოიტანა დღემდე ქართული კულტურა?

— კარგ ლიტერატურას ვკითხულობდით... მაგალითად, **დონ-კიხოტისა და შექსპირის** ნაწარმოებების წაუკითხაობა სირცხვილი იყო. ვეცნობოდით იტალიურ რენესანსულ **ლიტერატურას, ფრანგულ რომანს**, რუსულ კლასიკას... უფრო ტოლსტოის... დოსტოევსკი მერე უფრო გასაგები გახდა, როცა სიღრმეებში წვდომა ვისწავლეთ.

მახსოვს, საჯაროში მუშაობდა ერთი პატარა ტანის გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ფრაუ-ს ვეძახდით. მან იცოდა, რომ სანდო მკითხველები ვიყავით და, ხშირად, ჩუმად რარიტეტულ წიგნებს გვაძლევდა. ნაკითხვა ისე უნდა მოგვეხერხებინა (რამე კომუნისტურ წიგნში ჩაგვედო), რომ არავის დაენახა. ამ ქალბატონმაც დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ჩვენ სხვისთვის ხელმიუწვდომელ ბევრ წიგნს გავეცანით.

— მეცნიერებისადმი ინტერესი თავიდანვე გქონდათ თუ, უბრალოდ, წარმატებული სტუდენტი იყავით და ეს გზა გამონახეთ?

— წარმატებული სტუდენტი იმიტომ ვიყავი, რომ მეცნიერებით დავინტერესდი. ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში დიდად შემიწყვეს ხელი იმ ადამიანებმა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე... აღარაფერს ვამბობ სიმონ ყაუხჩიშვილსა და ალექსანდრე ბარამიძეზე, რომელთაგანაც ბევრი რამ ვისწავლე.

მათთან ერთად უნდა ვახსენო ე.წ. **ესსეისტური ნაკადი, რომლის კლასიკოსებიც გვყავდა** – გერონტი ქიქოძე და აკაკი გაწერელია. მოხიბლული ვიყავით მათი შემოქმედებით. ჩვენ მათი ნაშრომებით ცოდნასაც ვეზიარებოდით და შინაგან თავისუფლებასაც ვგრძნობდით...

სწორედ ამ ადამიანების გამო გამიჩნდა მეცნიერული ინტერესები და სხვა სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად შეიქმნა ჩემი მონოგრაფიები: „ქართული კულტურის საფუძვლები“, „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, „ქართული **აგიოგრაფია**“, „წმიდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა“, ამ მონოგრაფიაში საუბარია იმაზე, რომ ქართული ქრისტიანული მწერლობა იწყება არა „შუშანიკის წამებით“, არამედ „წმიდა ნინოს ცხოვრებით“ — ესაა დასაწყისი ქართული მწერლობისა. ბოლო დროს გამოვიდა კრებული, სადაც თავი მოვუყარეთ (რედაქტორი მე გახლავართ) 40 ქართველი მეცნიერის ნაშრომს, რომლებიც „წმიდა ნინოს ცხოვრებას“ აანალიზებს. არის კიდევ სხვა წიგნებიც – მაგალითად, „სახისმეტყველება“, რომელიც, ასე თუ ისე, პოპულარულია.

ზემოთ ვახსენე ბულგარეთში ჩემი სამეცნიერო მივლინება, რომლის შედეგები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა სხვადასხვა ქვეყანაში. ახლა მინდა გამოვცე წიგნი, რისთვისაც საჭიროა ჩემი ბულგარეთში ჩასვლა, რასაც, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებ...

— თქვენ იმ დიდ ქართველ მეცნიერთა შორის მოიხსენიებით, რომლებმაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე შესძინა...

— ჩემი თხოვნა იქნება „დიდს“ ნუ მიწოდებთ, დიდი მეცნიერი იყო კორნელი კეკელიძე... ჩვენ მასთან რას მოვალთ... მე კი არა, ლეონარდო და ვინჩიმ თქვა: „ჩვენ ვერ ვართ წინაპრების ტოლფარდი, მაგრამ ცოტათი უფრო მაღლები ვართ, რადგანაც მათ მხრებზე ვდგავართო“...

— მაშინ ასე გკითხავთ, შესაძლოა ადამიანი კარგი მეცნიერი იყოს, მაგრამ ნაკლებად გამოსდიოდეს ლექტორის საქმიანობა, ან პირიქით... ვისაც კი გავესაუბრე და ჰქონია პატივი, თქვენი სტუდენტი ყოფილიყო, ყველა ამბობს, რომ თქვენთან, როგორც ლექტორთან, მეცნიერთან და პიროვნებასთან ურთიერთობა მათი სტუდენტობის ყველაზე ნათელი წერტილი იყო... როგორ ფიქრობთ, რა არის ის განსაკუთრებული, რითაც სტუდენტებს ასე უყვარხართ?

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს... არ გამომივა... თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი სწავლების მეთოდი არ ემყარება დამოძღვრის პრინციპს, მე დიალოგური ფორმა მიყვარს, კამათი, განსჯა. კორნელი კეკელიძე და გრიგოლ კიკნაძე პირდაპირ გვაქეზებდნენ, რომ საწინააღმდეგო აზრი გამოგვეთქვა. რასაკვირველია, ჩვენ გვეძნელებოდა ეს, რადგანაც კორიფეების წინაშე ვიდექით. ეს არ იყო კომპლექსი. ეს იყო პირადი ღირსების საქმე, რომ ყველაფერი არ ილაპარაკო, მაგრამ თუ დავძლევდით საკუთარ თავს და შეკამათებას მოვახერხებდით, მათ უხაროდათ. ჯერ ვფიქრობდით, რომ ეს წაქეზების ერთგვარი პედაგოგიური ხერხი იყო, მაგრამ მერე მივხვდით, რომ მართლა უხაროდათ. ახლა უკვე მეც კარგად ვიცი — ყველაზე კარგად მისმენს ის, ვინც მეკამათება. თუ ჯგუფთან კონტაქტი შედგა, მთელი სერიოზულობით ვკამათობ მათთან, რადგან ეს არაჩვეულებრივი ხერხია, რომ დამატებით არგუმენტები მოვძებნო ამა თუ იმ საკითხის დასამტკიცებლად. ცნობილი დებულებაა, რომ „მეცნიერული აზრი არის ის, რაც საკამათოა“. მაგალითად, „ილია **ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს“, საკამათო** არაა, ფაქტია, მაგრამ რას ნიშნავს „აჩრდილი“, ყოველთვის საკამათო იქნება და უნდა იყოს....

— თქვენ კიდევ ბევრი საინტერესო მეცნიერული ნაშრომით გაანებივრებთ ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ცხოვრების დიდი ნაწილის გავლის შემდეგ რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარ თავზე, ვინ არის რევაზ სირაძე?

— თუ მე არ შემიძლია განვსაზღვრო პასუხი ამ კითხვაზე, ეს იქნება საუკეთესო.... ეგ რომ ვიცოდე და ჩამოვაყალიბო, დასრულებული იქნება ყველაფერი... მეცნიერულად ასახსნელის მიღმა ყოველთვის პოეზია იმალება და თუ მას მეტაფორა და ეპითეტი დავარქვით, ეს პოეზიაც დამთავრდება... იდუმალება უხდება პოეზიას.

P.S. ჩვენ შევეცადეთ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული დოქტორი რევაზ სირაძე ცოტა სხვა კუთხით წარმოგვეჩინა. მასთან საუბრის გაწყვეტა ძნელია, მაგრამ იმდენად კარგად დასრულდა აზრი და შეიკრა წრე, წერტილი თავისთავად დაისვა. თუმცა მკითხველმა ისიც მინდა იცოდეს, რომ რევაზ სირაძის ტრადიციებს 4 არაჩვეულებრივი შვილიშვილი აგრძელებს. „ოთხი მყავს და ყველა გადასარევი... როგორც მათი ბებია ამბობს, ამათზე კარგი ბავშვები არ არსებობენ... მე იუმორით კი ვუყურებ ბებიის ამ განცხადებას, მაგრამ ვეთანხმები,“ — გვითხრა ბატონმა რევაზმა და გამოჩენილი მეცნიერი უცებ მოსიყვარულე ბაბუად იქცა.

ამ სიყვარულის მიღმა კი ისევ ის იდუმალი და შეუცნობელი მოაზროვნე ჩაიმალა, რომელსაც საოცრად მოუხდა სხვაზე ნაფიქრი და ნათქვამი ფრაზა: „ხიბლი **არაპოპულარობისა**“...

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა თანამედროვე ევროპულ წყაროებში

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან გამორჩეულად საინტერესო სახეა ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის კა ფოსკარის ევრაზიული კულტურების კათედრის პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერ-კონსულტანტი, ვენეციის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკუმენისტური ინსტიტუტის ქრისტიანული რელიგიის ისტორიის კათედრისა და რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი გაგა შურღაია, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობის მასშტაბებში ქართველოლოგიური მოღვაწეობაც თავსდება.

მან უცხოეთის საცავებში დაცული არა ერთი საინტერესო ქართული წყარო შეისწავლა და საინტერესო სამეცნიერო დასკვნებიც გააკეთა. უკანასკნელი სიახლე, რაზეც 29 ნოემბერს იგი ქართველ მეცნიერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სემინარზე ესაუბრა, შეეხებოდა „ვახტანგ გორგასლის რეფორმის ახლებურ ინტერპრეტაციას ზოგიერთი უცხოური წყაროს შუქზე“. მისი ეს კვლევა ჯერ არ გამოქვეყნებულა და დასკვნები, პირველად, ქართველ მეცნიერებს გააცნო.

როგორც თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, გაგა შურღაიას მოხსენება უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია უკანასკნელი ხანის ქართველოლოგიურ ნაშრომებს შორის. იგი მოიცავს ბევრ სამეცნიერო სიახლეს, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა — პირველად სწორედ ქართველ მეცნიერთა წრეში შემოწმებულიყო დასკვნები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოქვეყნებულიყო ნაშრომი ევროპაში.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისიის მეცნიერები, მათ შორის: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: რისმაგ გორდეზიანი, რევაზ სირაძე, ისტორიკოსი მანანა გაბაშვილი და სხვები.

როგორც აღვნიშნეთ, მოხსენება, რომელიც გაგა შურღაიამ სემინარზე წარადგინა, შეეხებოდა „ვახტანგ გორგასლის რეფორმის ახლებურ ინტერპრეტაციას ზოგიერთი უცხოური წყაროს შუქზე“. ცნობილია, რომ ქართული საისტორიო წყაროების, კერძოდ, ჯუანშერის ქრონიკის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის თაოსნობით საქართველოში გატარდა დიდი საეკლესიო რეფორმა, რომლის შედეგადაც პირველად გაჩნდა კათალიკოსის ინსტიტუტი. ამ საკითხს თავის

დროზე, დიდი ივანე ჯავახიშვილიდან დაწყებული, ბევრი სხვა ქართველი მკვლევარი სწავლობდა. ისინი იკვლევდნენ რეფორმის თარიღს, ისტორიულ გარემოს, საქართველოს შიდა პოლიტიკას, რაც დღემდე მეცნიერთათვის საინტერესო საკვლევი და საკამათო საკითხია.

გაგა შურღაიამ სემინარზე იმსჯელა უცხოური ლიტერატურის, კერძოდ, ევროპაში დაცული წყაროების მიხედვით. მან გააანალიზა, რა საერთაშორისო გარემო ახლდა თან ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმას; რა ხდებოდა იმ პერიოდის ბიზანტიასა და სპარსეთში; რა მიმართებები იკვეთება ამ საკითხზე ევროპულ წყაროებში; საიდან იღებს სათავეს ტერმინი „კათალიკოსი“ და ა.შ.

გაგა შურღაიამ, ევროპაში ცნობილი ფართო საისტორიო წყაროების მოშველიებით, ძირითადად, დაადასტურა ივანე ჯავახიშვილის დასკვნები ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის თაობაზე.

სემინარის მონაწილეთა აზრით, გაგა შურღაიას ნაშრომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგიური სამეცნიერო სკოლისთვის. მისი უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნება კიდევ მეტად გაამყარებს ცოდნას საქართველოს მდიდარი საეკლესიო ისტორიის შესახებ.

პოლიტიკური მეცნიერებები პოლიტიკის სამსახურში

სამხრეთ კავკასიის რეგიონული კონფერენცია

პოლიტიკური მეცნიერებების განვითარების დონე გარკვეულ კავშირშია დემოკრატიის განვითარების დონესთან. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკოსები ყურადღებით აკვირდებიან პოლიტიკურ მეცნიერებებში მიმდინარე კვლევებს, რასაც პოლიტიკურ საქმიანობაში ინტენსიურად იყენებენ. თავის მხრივ, პოლიტიკური მეცნიერებები იმ საკითხებს იკვლევენ, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

მაია ტორაძე

ბოლო პერიოდში მსოფლიო საზოგადოების ყურადღება სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისკენაა მიმართული. ამიტომაც ამ ქვეყნების მეცნიერ-მკვლევრები აქტიურად ჩაერთვნენ მიმდინარე პოლიტიკური, დემოკრატიული თუ საზოგადოების განვითარების მიმართულებით კვლევებში. სწორედ ამ კვლევების შედეგების გაცნობას მიეძღვნა 4 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და მართვის ინსტიტუტის და პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის (აშშ) მხარდაჭერით გამართული სამხრეთ კავკასიის რეგიონული კონფერენცია თემაზე: „პოლიტიკური მეცნიერების როლი სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის განვითარებაში“.

კონფერენციის მუშაობაში, საქართველოსთან ერთად, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებიც მონაწილეობდნენ. მომხსენებლებმა საინტერესოდ ისაუბრეს პოლიტიკური მეცნიერებების როლის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დღეისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლებად ერთნაირი პრობლემები აქვს. სწორედ ეს პრობლემებია გამოწვევები დემოკრატიის განვითარებისთვის, რადგან ამ ქვეყნებს დემოკრატიის გარეშე განვითარების შესაძლებლობა არ აქვთ. მეცნიერთა აზრით, ერთია დემოკრატია და მეორე — ის ხერხები და მექანიზმები, რომლითაც დემოკრატიული ღირებულებები პრაქტიკაში უნდა დაინერგოს. ამ მექანიზმების ცოდნა სჭირდება ხელისუფლებასაც, ოპოზიციასაც და სამოქალაქო საზოგადოებასაც. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა არის დემოკრატია და რატომაა მნიშვნელოვანი მისი განვითარება ქვეყნის და საზოგადოების წინსვლისთვის. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუგული მაღრაძემ განაცხადა, პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის ობიექტად სწორედ ასეთი ტიპის საკითხები უნდა იქცეს.

„საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გვყავს მკვლევრები, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერებების პოლიტიკასთან კავშირის თემაზე მუშაობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური მეცნიერებების განვითარება თავისი გზით მიმდინარეობს და რეალურ პოლიტიკასთან მათ უშუალო შეხება ნაკლებად აქვთ. ანუ პოლიტიკური მეცნიერებების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე ძალიან სუსტია. ამას თავისი მიზეზები აქვს: ერთი მხრივ, თავად საზოგადოება, ოპოზიცია და ხელისუფლება არ ინტერესდება ხოლმე პოლიტიკური მეცნიერებების ორიენტირებით, რათა ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს კვლევის საწარმოებლად შეკვეთა მისცეს; მეორე მხრივ კი არც პოლიტიკურ მეცნიერებებშია ზუსტი შესაბამისობა აქტუალური პოლიტიკური საკითხებისადმი, რაც ქმნის იმ რეალობას, რომ ამ მიმართულების მეცნიერ-მკვლევრებს პოლიტიკოსებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება ნაკლებად შეუძლიათ. პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, ერთადერთი, არჩევნების დროს უკვეთავენ ხოლმე სოციოლოგიური კვლევის ცენტრებს გამოკითხვების ჩატარებას ხალხის განწყობათა თუ პოზიციათა შესასწავლად“, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

კონფერენციის მონაწილეთა აზრით, მათ მიერ ჩატარებული ღონისძიება წინ გადადგმული ნაბიჯია პოლიტიკასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. ამგვარი კავშირების არსებობა დასავლეთის ქვეყნებისთვის მეტად ბუნებრივი პროცესია, ალბათ, ამითაც არის განპირობებული დასავლური პოლიტიკის მზაობა პოლიტიკური მეცნიერებების მიერ მოპოვებული მონაცემებისა და დასკვნების გასაზიარებლად. მეცნიერებმა, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში ამ საკითხებზე მუშაობენ, საინტერესო დისკუსიები გამართეს თემებზე: თუ რა საკითხებია აქტუალური, დღეს, სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის? რა კვლევები შეიძლება გაკეთდეს და რა რეკომენდაციები შეიძლება მიეწოდოს სათანადო ორგანოებს?

ყურადღება გამახვილდა საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე, რაც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას განაპირობებს. მეცნიერთა აზრით, პოლიტიკური კულტურის ამაღლებას სჭირდება ობიექტური მონაცემების საფუძველზე მიღებული ცოდნის გავრცელება, რაც პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით მომუშავე მკვლევარ-ექსპერტთა გასაკეთებელია. დროა, მათ დაიწყონ ასეთი ტიპის პროპაგანდა, დაბეჭდონ პოპულარული ლიტერატურა, რაც ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები იქნება ხალხისთვის.

კონფერენციაზე იმსჯელეს იმ საკითხზეც, თუ რა უშლის ხელს პოლიტიკური მეცნიერებების განვითარებას და ქვეყანაში სწორი პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

სომხეთის წარმომადგენელმა, რეგიონული თანამშრომლობისა და გლობალიზაციის ანალიტიკური ცენტრის თავმჯდომარემ სტეფან გრიგორიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყნისთვის საერთო პრობლემა გახლავთ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილი კომუნისტური მენტალობით საზრდოობს. ამგვარი საზოგადოებისთვის დემოკრატია და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ცნება ჯერ კიდევ უცხოა, რაც განსაკუთრებით ვლინდება არჩევნების დროს, როცა საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება უჭირს.

აზერბაიჯანის სტრატეგიული სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა რაუფ გარაგოზოვმა ყურადღება გაამახვილა პოლიტიკური ფსიქოლოგიის არსებობის აუცილებლობაზე, რაც დიდად განაპირობებს იმის პროგნოზირებას – თუ როგორ მოიქცევა საზოგადოება ამა თუ იმ სიტუაციაში.

პოლიტიკურ ფსიქოლოგიას წამყვანი როლი აკისრია კონფლიქტების მოგვარებაშიც. კვლევა: ვინ და რატომაა ჩართული კონფლიქტში? რამდენი მხარეა და რა ინტერესები აქვთ მათ კონფლიქტთან მიმართებაში? — აუცილებელი კომპონენტია პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრისთვის. რაუფ გარაგოზოვმა მაგალითად მოიყვანა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის წინა პერიოდის კვლევა და გააანალიზა საქართველოს, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების ლიდერთა პოზიციები. მისი მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებები აგვისტოს ომის დაწყებამდე ნაკლებად აგრესიული იყო, ევროპის პოლიტიკურ ლიდერთა და რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლებში კი აგრესია სწორედ აგვისტოს ომის წინ სჭარბობდა. აზერბაიჯანის სტრატეგიული სწავლების ცენტრის წარმომადგენლის თქმით, პოლიტიკურ ლიდერთა აგრესიული გამოვლინებანი ომის განმაპირობებელი არ არის, მაგრამ ერთ-ერთია იმ ფაქტორთა შორის, რამაც შეიძლება გვამცნოს — თუ რა ტენდენციები მიმდინარეობდა მსოფლიო პოლიტიკაში ომის დაწყებამდე... ამ მაგალითზე დაყრდნობით რაუფ გარაგოზოვმა გააკეთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა პოლიტიკური ფაქტორის გამოკვლევა და ანალიზი მომავალი პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირების საშუალებს იძლევა, რაც პოლიტიკოსებმაც უნდა გაითვალისწინონ.

კონფერენციის მეორე ნაწილი მიეძღვნა პოლიტიკური ფსიქოლოგიის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ასოციაციის შექმნას, მისი სტატუსის განხილვასა და ხელმძღვანელი ორგანოების დამტკიცებას. პოლიტიკური ფსიქოლოგიის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ასოციაცია იქნება პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ნაწილი, რომელიც საქართველოს რეგიონებში შეხვედრებს მასთან ერთად დაგეგმავს.

ՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏՇԻ ՄԻՎԵՐՎՈՒԼԻ ՇԵԴԵԳԵԲԻԹ ԲԵԼԳԻԵԼԻ ՄԵՑԱՐՄՈՒԵԲԼԵԲԻ ԴԱԻՆՏԵՐԵՍԴՆԵՆ

դրեսիատվի ֆարտո մոխմարեբաշիա մերվլնի ԲՈՒՐԲՈՒՇԵԼՈՎԱՆԻ ֆիլա (ДСП-դսպ) դա Բոֆկովանի ֆիլա (MDF). ես արիս կոմ-պոզիցիորի մասալեբի, ռոմլեբից միրդեբա ԽՈՒՍ ՆԱԽԵՐԽԻՍԱԳԱՆ ան Բոֆկոսագան դա մեՑ-Բավի շիմադգենլոմբիսագան ցխելի դաՑՆԵԽ-վիս մեթոդիթ. կոմպոզիցիորի մասալիս շիմկրավ-մՑեբավ նիվթիերեբադ գամոիყենեբա ՇԱՐՁՈՎԱՆԱ ան ֆենոլ-ֆորմալդեՀիդորի ֆիսեբի.

ՁԱՆԴԱՑՎԻՍ ՄՍՈՓԼԻՈ ՈՐԳԱՆԻԶԱՑԻԻՍ ԵՎՍՊԵՐՏԵԲԻՍ միერ դադգենილია, რომ ფორმ-ალდეჰიდის მცირედი კონცენტრაციებიც კი ადამიანის ორგანიზმში იწვევს შემდეგ სიმპტომებს: სიმკრთალე, ძალის დაკარგვა, თავის ტკივილი, გაძნელებული სუნთქვა, დეპრესია, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება და სხვა. ფორმალდეჰიდის გრძელვადიანი ზემოქმედებისას იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გენეტიკურ აქტივობაზე, რეპროდუქტიულობაზე, კანზე და თვალებზე.

2013 წლიდან ამერიკის მთავრობის დადგენილებით მოხმარებიდან უნდა იყოს ამოღებული ფორმალდეჰიდის შემცველი ყველა შემკვრელი ნივთიერება.

საერთაშორისო ორგანიზაციის NineSigma-ს მიერ სამჯერ იქნა გამოცხადებული კონკურსი აღნიშნული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების თანამშრომლების მიერ (პროფესორ ომარ მუკბანიანი) შემოთავაზებული გამოგონებები: „ნაკეთობა დაწნეხილი მცენარეული ნედლეულის საფუძველზე“ და „ახალი სილიციუმორგანული შემკვრელები ლიგნინ-ცელულოზის შემცველი კომპოზიციური მასალების მისაღებად“ ეხება ცელულოზის [ხის, ბამბუკის, ნამჯის (ქერის, ხორბლის, თივის), სიმინდის ჩალის, ფოთლის, მზესუმზირის გამოხდის შედეგად მიღებული ნარჩენების, თხილის ნაჭუჭი, ყურძნის წიპწის, წიწვოვან მცენარეთა წიწვების, გირჩების და სხვა] ფხვნილების ბაზაზე ახალი, განახლებადი კომპოზიციების მიღებას, სადაც, როგორც შემკვრელი, პირველადაა გამოყენებული სილიციუმორგანული პოლიმერები. ამის საფუძველზე მიღებულია ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, ახალი კომპოზიციური მასალები, რომლებიც თავისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, მიღების პროცესის სიმარტივით, მიკროორგანიზმებისადმი მდგრადობით ბევრად აღემატება თავის ანალოგებს და შესაბამისობაშია იმ საერთაშორისო მოთხოვნებთან, რომელიც ითვალისწინებს ასეთი მასალებიდან ფორმალდეჰიდის ამოღებას.

როგორც პროფესორი ომარ მუკბანიანი აღნიშნავს, მისი ჯგუფის მიერ წარდგენილია მოკლე განაცხადი NineSigma-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში. არის პირველი გამოხმაურებებიც. აღნიშნული მიღწევებით დაინტერესდა ბელგიური კომპანია „Spanogroup“-ის წარმომადგენლები. აღნიშნული კომპანიის წევრები: დოქტორი კოენ ნელი და დოქტორი ჯიმი ბაიერტი 1 დეკემბერს იმყოფებოდნენ საქართველოში. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ბელგიელი მწარმოებლები, ასევე ქართული მხარე. შეხვედრაზე წარმოადგინეს ქართული მხარის მიერ დამზადებული მასალების ნიმუშები.

ჩამოსული სტუმრები შეხვდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ დავით ჩომახიძეს. შეხვედრისას მათ აღნიშნეს, რომ მათი საწარმო მრავალპროფილიანია და უშვებს მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ დაპრესილ მასალას. მათ გამოთქვეს დიდი დაინტერესება მიღწეული შედეგებით, დასახეს გეგმები ამ შედეგების ბელგიაში დანერგვისა და მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.

პროფესორმა ომარ მუკბანიანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ განზრახული აქვთ პატენტების ერთ საერთაშორისო განაცხადად წარდგენა. მანვე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილიყო იმ დიდი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ჯგუფების დაფინანსება, რომლებიც გამოყენებით და დანერგვით სამუშაოებს ასრულებს.

ԳԻՐՔԻՍ ԹԱՐՈ

ԲԻԶԱՆՏԻԱ ՔԱՐԹՈՒԼ ԿՅԱՐՈԵԲՇԻ

ԳԻՐՔԻՍ ՊՐԵԶԵՆՏԱՑԻԱ



ՇՈՐԹԽԻԱ ԲԵՐՈՇՎԻԼԻ

„თითქმის ათასი წლის მანძილზე არსებობდა უწყვეტი კონტაქტი ბიზანტიის იმპერიასთან. ქართული ორიგინალური მწერლობის განვითარების პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია ბიზანტიის ისტორიის გათვალისწინების გარეშე. ამიტომ მარცვალ-მარცვალ უნდა ეძებო ამ ზღვაში ყოველი ცნობა, გულმოდგინედ ამოკრიბო და მკითხველს მიაწოდო“, — წერდა აკაკი ბაქრაძე, როდესაც იგი თავის ერთ-ერთ წერილში საქართველოში ბიზანტინიზმის ფუძემდებლის — სიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურებაზე საუბრობდა.

აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ბიზანტინიზმის, როგორც თავისებური ფენომენის, ახალი განსაზღვრა შემოიტანა, რომლის თანახმად, ბიზანტინიზმი წარმოიქმნა ოთხი ძირითადი ელემენტის, ოთხი საწყისის: ელინურობის, რომანულობის, აღმოსავლურობისა და ქრისტიანობის შედეგად. ამ განსაზღვრებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვის, რამდენადაც „აღმოსავლეთში“ ქართველობაც იგულისხმება. აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ამ თემას მიუძღვნა თავის ერთ-ერთი ნაშრომი „ქართული წყაროები ბიზანტიის შესახებ“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა, მაგრამ მან ვეღარ შეძლო ამ პუბლიკაციის გაგრძელება. როგორც მისი მოსწავლეები იხსენებენ, მას ეს ძალიან აღელვებდა და ამიტომ მათ დააკისრა ეს საპასუხისმგებლო მისია.

„ჩვენი მასწავლებლის ანდერძი საკმაოდ დიდი დაგვიანებით, მაგრამ ასრულდა... ამ წიგნში შესულია ცნობები ბიზანტიის შესახებ, რომელიც შემონახულია ქართულ საისტორიო წყაროებში, ისტორიულ დოკუმენტებში, აგიოგრაფიულ თხზულებებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, დადასტურებულია ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმიკურ ლექსიკაში და ბიზანტიური ხანის ბერძნული ისტორიისთვის საყურადღებო ლინგვისტური ხასიათის მასალებში. ბუნებრივია, თემა ამოწურული არ არის და ბევრი რამ კიდევ შესასწავლია,“ — განაცხადა პროფესორმა ნელი მახარაძემ წიგნის — „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ პრეზენტაციაზე, რომელიც თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გაიმართა.

წიგნის შინაარსსა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს პროფესორებმა: რისმაგ გორდეზიანმა, ნელი მახარაძემ, თედო დუნდუამ, ვალერი ასათიანმა და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ წიგნის პირველი ვრცელი მონაკვეთის (ქართული საისტორიო თხზულებანი, როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა) ავტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართველ ბიზანტინისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ნოდარ ლომოური. წიგნის მომდევნო თავის (ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ წყაროებში) ავტორია ვახტანგ გოილაძე. წიგნში განხილულია ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები. საუბარია ქართულ ხელნაწერებზე შესრულებული მინაწერების შესახებ. ერეკლე ჟორდანია განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა „ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები“, საინტერესოა თამარ მესხის გამოკვლევა „ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი“, სადაც განსაზღვრულია ფრესკული წარწერების მნიშვნელობა თანადროული კულტურული და პოლიტიკური პროცესების მიმართ. მეცნიერის დასკვნები საინტერესოა თავად ბიზანტიური კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც.

წიგნის ბოლო ნაწილი ეთმობა ნელი მახარაძის გამოკვლევას „ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ისტორიისათვის“. მკვლევრების ყურადღება დაიმსახურა მისმა ნაშრომმა „ძველი ქართული წყაროების მონაცემები და ბიზანტიის ჩრდილოდასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური რეგიონების ბერძნული წარმოთქმების თავისებურებანი“.

როგორც ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ვალერი ასათიანმა აღნიშნა, ქართულ-ბიზანტიური წყაროთმცოდნეობის სფეროში ასეთი გამოცემების შემდეგ, როგორებიცაა: სიმონ ყაუხჩიშვილის საეტაპო რვატომეული (Georgica – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს თაობაზე), აგრეთვე მისივე „ქართული წყაროები ბიზანტიის ისტორიის შესახებ“, ქართულ-ინგლისური წიგნი — „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. „ფასეულია, რომ წიგნი ხელმისაწვდომი ხდება უცხოელი მკითხველისთვის და ერთვება თანამედროვე მეცნიერულ მიმოქცევაში, რაც მეტად თვალსაჩინოს ხდის ქართულ თემას მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ბიზანტიურ მონაკვეთში და წარმოაჩენს ჩვენი წინაპრების პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ორიენტაციას“, — აღნიშნა ვალერი ასათიანმა წიგნზე საუბრისას.

წიგნი „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ (რედაქტორები: ნელი მახარაძე, ნოდარ ლომოური) აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა. პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის (რუსთაველის ფონდი) სახელმწიფო გრანტით.

ნელი მახარაძის ინფორმაციით, პროექტი ითვალისწინებდა ქართულ-ინგლისური ვარიანტების გამოცემას ბიზანტიის შესახებ, რასაც უცხოელი მეცნიერები, ამ დარგში, განსაკუთრებული ინტერესით ელოდებიან. „მოგეხსენებათ, რომ ბიზანტიის ისტორია, გარკვეულწილად, საქართველოს ისტორიაც არის და, ამდენად, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იყო ამ წიგნის გამოცემა. მართალია, ორი წელი არც ისე ბევრი აღმოჩნდა ამ თემებზე სამუშაოდ, მაგრამ ჩვენ მაინც, დიდი ძალისხმევის შედეგად, შევძელით ბოლომდე მიგვეყვანა ეს საქმე.

ბატონი სიმონის ჩანაფიქრი, ძირითადად, ისტორიული წყაროების პუბლიკაციას ითვალისწინებდა, თუმცა ჩვენი გადაწყვეტილებით გამოკვლევაში ჩავრთეთ ჰაგიოგრაფიული მასალაც, რომელიც, მოგეხსენებათ, ბერძნულ-ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის ცნობებს შეიცავს. წიგნში შეტანილია, ასევე, ეპიგრაფიკული და ტოპონიმიკური მასალები, ჩართულია ენობრივი ხასიათის მასალაც, ამ შემთხვევაში გავითვალისწინეთ ბატონი სიმონის, ჯერ კიდევ 1926 წელს გამოცემულ ნაშრომში გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ის, რაც ენობრივი თვალსაზრისით დადასტურებულია ქართულ წყაროებში, მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ასევე, ბიზანტიური მეცნიერებისთვისაც. იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი გაამართლებს ქართველი და უცხოელი მკვლევრების მოლოდინს“, — აღნიშნა ნელი მახარაძემ.

ახალი, ქართველთათვის მეტად ღირებული წიგნის გამოცემა ავტორებს პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა მიულოცა. მისი აზრით, მისასალმებელია, რომ აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მოსწავლეები — თავადაც ცნობილი მეცნიერები, ესოდენ წარმატებით აგრძელებენ მასწავლებლის დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს.

გზები ერთმანეთს იკრავენ გულში

გაქვს წარსული? — გექნება აწმყო! იცი აწმყოს ფასი? — გექნება მომავალი! მიხარია, რომ ჩვენს ახალგაზრდობას გაა ზრებული აქვს, რომ სამ დროში უნდა იცხოვროს, — მიმართა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე „სამი თაობა“, სადაც პოეტები: ჯანსუღ ჩარკვიანი, მაყვალა გონაშვილი და ლექსო დორეული მსმენელის წინაშე საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ.

შურთხია ბეროშვილი

„როდესაც შვილი ხარ, სასიამოვნოა იმის განცდა, რომ გყავს წინაპრები... როცა მშობელი ხარ, ესეც ძალიან სასიამოვნოა. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება — მადლობა გადავუხადო ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელმაც გზა დამილოცა ქართულ მწერლობაში, მას ჩემს წინაპრად ვთვლი. ჩვენ კი ერთად გზა დავულოცეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ პოეტს ლექსო დორეულს, რომელსაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, „შოთაობის“ პრემია მივანიჭეთ. მიხარია, რომ დღეს ერთმანეთს შევხვდით სამივე თაობის წარმომადგენელი და მჯერა, რომ იმ საერთო საქმეში, რასაც პოეზიის მსახურება ჰქვია, ყოველთვის ერთად ვიქნებით“, — განაცხადა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა.

„კარგად ვიცნობ მსოფლიო ლიტერატურას და ვაფასებ ყველა კლასიკოსის შემოქმედებას, მაგრამ მჯერა, რომ ვაჟას მსგავსად მაინც ვერავინ იტყოდა: „ნისლი ფიქრია მთებისა“, ანდა, ვის შეეძლო შოთასავით ეთქვა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, ილიამ კი საოცარი ანდერძი დაგვიტოვა: „მამული, ენა, სარწმუნოება!“ ქართველმა მწერალმა ამ ღირებულებებით უნდა იცხოვროს... ყოველთვის ვცდილობდი, ამ ღირებულებებით მეხელმძღვანელა და ჩემი წინაპრების კვალს გავყოლოდი. მაშინაც კი, როცა თითქოსდა ქვეყანა ინგრეოდა, ვწერდი: „ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია მიზანში მოსახვედრია, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“ — ამ პოზიციას მტკიცედ ვიცავდი, რადგან ქართველ მწერალს რაინდობაც მოეთხოვება“, — ამგვარად გამოხატა პოეზიისადმი თავისი დამოკიდებულება ჯანსუღ ჩარკვიანმა სტუდენტებთან საუბრისას.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ახალგაზრდებს ტიციან ტაბიძის ის სიტყვები გაახსენა, რაც მან „მწერალთა კავშირის“ გახსნის დღეს წარმოსთქვა. მაშინ ტიციან ტაბიძემ საზოგადოებას ასე მიმართა: „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, სხვას არავის აქვს ერის სახელით ლაპარაკის უფლება და თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, ჯერ მწერალს უნდა ესროლოს“.

მაყვალა გონაშვილის ინფორმაციით, მალე, ქართველი მწერლები დაკარგულ შენობას დაიბრუნებენ და 2 იანვარს, ბედობის დღეს, ახალ წელს „საკუთარ“ სახლში იზეიმებენ. „მძიმე ყოფილა ლტოლვილობა... ეს ოთხი წელი, რომელიც მწერალთა სახლის დაბრუნებისთვის ვიბრძოდით, ძალიან მძიმე იყო თითოეული ქართველისათვის. ღრმად მწამს, რომ ერის სული დღესაც მწერლობაში ლაპარაკობს და ეს ასე იქნება ყოველთვის, სანამ საქართველო იარსებებს“, — განაცხადა მაყვალა გონაშვილმა.

ლექსო დორეულს განსაკუთრებული სითბოთი თანატოლები შეხვდნენ. ახალგაზრდა პოეტმა თავისი ახალი ლექსები წაიკითხა, რასაც მისმა წინამორბედებმა მაღალი შეფასება მისცეს. ლექსო დორეულის აზრით, ასეთი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია, რადგან დღეს სწორედ ამ სამი თაობის ადამიანები ქმნიან ამინდს ქართულ ლიტერატურაში.

„ჩემთვის უდიდესი პატივია, ქართველი მსმენელის წინაშე, ქალბატონ მაყვალა გონაშვილთან და ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად უმცროსი თაობის სახელით წარდგომა. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორ აკავშირებს თაობებს პოეზია და ხელოვნება. ეს არ არის შეჯიბრი... ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენი რამის სწავლა შეიძლება ერთმანეთისგან. ვფიქრობ, საზოგადოებისთვისაც საინტერესოა სამი თაობის წარმომადგენლების ერთად ხილვა და მათი შემოქმედების გაცნობა“, — თქვა ლექსო დორეულმა.

პოეტების ლექსები სტუდენტებმაც წაიკითხეს. შეხვედრის ბოლოს კი „ლიტერატურული სალონის“ პრეზენტაცია გაიმართა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კულტურის დეპარტამენტის კოორდინატორის თეონა ვასაძის ინფორმაციით, პოეზიის მოყვარულებს და ახალგაზრდა პოეტებს, ამიერიდან, ყოველ პარასკევს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსში შეუძლიათ თავმოყრა. მისი თქმით, სტუდენტებს, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთის შემოქმედებას გაეცნობიან, საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია ლიტერატურული კონკურსებისა და მსგავსი ღონისძიებების შესახებ.

თაობებს შორის უწყვეტი კავშირი კი ლექსო დორეულის ამ სიტყვებით შეიძლება დავადასტუროთ: „გზები ერთმანეთს იკრავენ გულში....“ — ამ გზებზე დრო-ჟამის გარეშე დარჩენილი პოეზია მოგზაურობს, რომელსაც გეზი მარადიულობისკენ აქვს აღებული.

გაანათე უფლებებისთვის!

შიდსის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია

შურთხია ბეროშვილი

ჩვენ ვცხოვრობთ მკაცრ რეალობაში, იმ სამყაროში, სადაც უკვე, დაახლოებით, 15 მილიონზე მეტი ბავშვი დააობლა შიდსმა. მსოფლიო, რომელსაც ვერაფრით გააკვირვებ, შეძრა 1980 წელს ამერიკელების აღმოჩენამ: ვირუსი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ზოონოზური ტრანსმისიის გზით მოხვდა აფრიკული მაიმუნისგან, საშიში და თითქმის უკურნებელია. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოწოდებით 1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის დღედ არის აღიარებული და 1988 წლიდან იგი ფართო მასშტაბით აღინიშნება. მიუხედავად მეცნიერების, ექიმების, საერთაშორისო თუ სამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მუშაობისა, შიდსი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ და სამედიცინო პრობლემად რჩება. მეცნიერების აზრით, მართალია, შიდსის განკურნება შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ანტივირუსული მედიკამენტები, რომელთა მიღების შემთხვევაში პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. დღეისათვის შიდსი ითვლება ქრონიკულ, მართვად დაავადებად.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა შიდსის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია სლოგანით: „გაანათე უფლებებისათვის“ სხვადასხვა ფორმით აღნიშნეს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო შიდსის თემაზე გადაღებული ფილმის ჩვენება, რომლის დასრულების შემდეგ დისკუსია გაიმართა. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი და ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ეპიდემიოლოგი მაია ცინცაძეც დაესწრნენ, რომლებმაც ამ დაავადების შესახებ ისაუბრეს. ალექსანდრე კვიტაშვილის ინფორმაციით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ამ დაავადების გავრცელების საშიშროება ნაკლებად არის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ იზრუნოს ამ პრობლემის მოგვარებაზე.

საქართველოში 2010 წლის 1 დეკემბრისათვის ოფიციალურად რეგისტრირებულია 2600 შემთხვევა, თუმცა, ექსპერტთა პროგნოზით, აივ ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვი 4000-ს აღემატება. მაია ცინცაძის აზრით, დღესდღეობით არსებული შიდსის აღრიცხვის სტატისტიკა ზუსტი არ არის, რადგან სპეციალისტებს აღრიცხული ჰყავთ მხოლოდ ის ინფიცირებულები, რომლებმაც შიდსის ცენტრს მიაკითხეს ან ვირუსი აღმოუჩინეს სხვა დაავადების მკურნალობისას. ხშირად ეს დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს და შეიძლება ადამიანმა დიდხანს არ იცოდეს, რომ ამ დაავადების მატარებელია.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ხშირად, შიდსით დაავადებული ადამიანები განიცდიან დისკრიმინაციას — ამის მიზეზი კი ინფორმაციის ნაკლებობაა. საზოგადოების უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ შიდსი ჰაერწვეთოვანი გზით არ გადადის, შესაბამისად, ინფექცია არ გადაეცემა დაცემინებით, ხელის ჩამორთმევით და ჩახუტებით. ამიტომ ინფიცირებულთა უფლებების დაცვა ყველას მოვალეობაა.

აქციის ბოლოს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა სანთლებისაგან შიდსის სიმბოლოს კომპოზიცია შექმნეს და უნივერსიტეტის ეზოში დაანთეს. თსუ-ის ხუთ კორპუსში განთავსდა ყულაბები. როგორც აქციაზე გაცხადდა, შემოსული თანხა შიდსის მიზეზით დაავადებულ, სოციალურად დაუცველ მცირეწლოვან ბავშვს გადაერიცხა.



„თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“

ნატო ოგოლაძე

ასეთია დედაქალაქის ახალი დევიზი. ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად თბილისის განვითარების გეგმა შემუშავდა, რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში იგეგმება. ახალი პროექტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, თბილისელებზე ზრუნვის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ასპარეზზე დედაქალაქის ცნობადობის გაზრდას გულისხმობს. პირველად თბილისის განვითარების ახალი სტრატეგიის პრეზენტაცია „ევროპის ღია დღეების ფარგლებში“ გაიმართა. 1 დეკემბერს კი თბილისის მერიის ინვესტიციების მომსახურებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ენრი დოლიძემ თბილისის რებრენდინგის შესახებ ინფორმაცია თსუ-ის სტუდენტებსაც გააცნო — ეს ახალი პროექტის მეორე პრეზენტაცია გახლდათ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გამართული ვიქტორინის „თბილისი — ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“ დაწყებამდე მოეწყო.

„ვფიქრობ, რომ ყველა იმ სტუდენტმა, რომელიც თსუ-ში სწავლობს, თბილისის ისტორია და ტრადიციები აუცილებლად უნდა იცოდეს. ამ პროცესში სტუდენტების ჩართვა აუცილებელია. იმედი მაქვს, ჩვენ მათთან ერთად არაერთ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ“, — გვითხრა თბილისის მერიის ინვესტიციების მომსახურებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ენრი დოლიძემ.

რამდენად კარგად იცნობენ თსუ-ის სტუდენტები თბილისს, მის ისტორიას და თანამედროვე ყოფას? – სწორედ ამის გასარკვევად და სტუდენტებისთვის დედაქალაქის უკეთ გაცნობის მიზნით, თსუ-ში ინტელექტუალური თამაში „თბილისი — ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“ გაიმართა. ვიქტორინა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა. ღონისძიებას დედაქალაქის კოლორიტები გივი სიხარულიძე და ეთერ კაკულიაც დაესწრნენ.

„ყველა სტუდენტმა უნდა იცოდეს დედაქალაქის გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობა, მისი მრწამსი — საიდან მოვდივართ და ვინ ვართ, რას აპირებს მომავალში ქალაქის მერია? ამ შეჯიბრში დამარცხებული არ არსებობს, რადგან ვინც მასში მონაწილეობს, ყველა გამარჯვებულია. მიხარია, რომ უნივერსიტეტის რექტორი ასეთ ღონისძიებებს ესწრება და თანადგომას გვიცხადებს“, — გვითხრა გივი სიხარულიძემ.

ინტელექტუალურ თამაშში — „თბილისი — ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“ სულ 20 გუნდი მონაწილეობდა, დასმულ კითხვებზე კი ყველაზე მეტი სწორი პასუხი სამმა მათგანმა გასცა. გამარჯვებულ გუნდებად დასახელდნენ: „26 საათი“, „ხოხობი“ და „ახალი განწყობა“.

„პროექტმა ნამდვილად დიდი წარმატებით ჩაიარა. ვიქტორინის მონაწილე სტუდენტებმა თბილისის ისტორიის საკმაოდ ფუნდამენტური ცოდნა გამოავლინეს და ისეთ შეკითხვებს გასცეს სწორი პასუხები, რომლებიც მოწვეული სტუმრებისთვისაც რთულად გამოსაცნობი იყო, — განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა, სტუდენტური თვითმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თინათინ ახვლედიანმა.

ვიქტორინის ყველა მონაწილე გუნდს გივი სიხარულიძემ და ეთერ კაკულიამ საჩუქრად მუსიკალური კომპაქტ-დისკები და ლექსების კრებულები გადასცეს. გამარჯვებულებმა ჯილდოდ სტუდენტური თვითმართველობის მიერ გამოყოფილი ფულადი პრემიებიც მიიღეს, დედაქალაქის მერიისგან კი ისინი თბილისის ახალი სლოგანის გამოსახულებიანი მაისურებით და ფლეშ-მეხსიერების ბარათებით დასაჩუქრდნენ.

„სიცრუის ფილოსოფიის“ ავტორის სიმართლე ხსოვნად იქცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი იურისტისა და მწერლის ბეჟან ხარაზიშვილის (ხორნაბუჯელი) მოსწავლეები, მეგობრები და კოლეგები შეიკრიბნენ და კიდევ ერთხელ გაიხსენეს მეცნიერის მიერ განვლილი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

შეხვედრას ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე ლევან ალექსიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, პროფესორი: შოთა ფაფიაშვილი, რომან შენგელია და სხვები.

ბეჟან ხარაზიშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება თსუ-ის პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ გახსნა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მეცნიერის მოღვაწეობაზე.

„მისი ცხოვრება ყველა ჩვენთაგანისთვის მაგალითი იყო. მისი მოღვაწეობის გაცნობა ახალგაზრდობასაც სასიკეთოდ წაადგება. ბატონი ბეჟანის გახსენებისას მარტო მასზე საუბრით ვერ შემოვიფარგლებით... ჩემი თაობის ადამიანებს ჰქონდათ ბედნიერება, ისეთ დიდ მეცნიერებთან ჰქონოდათ კავშირი და მოესმინათ მათი ლექციებისთვის, როგორებიც იყვნენ: ბორის ფურცხვანიძე, გივი ინწკირველი, სერგო ჯორბენაძე და სხვები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითოეული მათგანის მოღვაწეობა გამორჩეული გახლდათ. მათ გვერდით ყოფნა ჩვენთვის დიდი სტიმული და მაგალითის მომცემი იყო, ამიტომაც ვიხსენებთ მათ ასეთი მოწიწებით. სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, რომელზედაც დღეს ასე აქტიურად საუბრობენ, უნივერსიტეტში სწორედ ისეთი ადამიანები ქმნიდნენ, როგორიც, მაგალითად, იყვნენ ბეჟან ხარაზიშვილი და სხვა თვალსაჩინო მეცნიერები“, — აღნიშნა გურამ ნაჭყებიამ.

მეცნიერი გაიხსენეს მისმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა: შოთა ფაფიაშვილმა, რომან შენგელიამ, გია მეფარიშვილმა და სხვებმა.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა, სამართლის დოქტორმა ნინო გოგნიაშვილმა, რომელმაც დისერტაცია ბეჟან ხარაზიშვილის სამეცნიერო საქმიანობაზე დაწერა, დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა მეცნიერის ბიოგრაფია, მისი სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი აზრით, ქართველ იურისტებს და, მათ შორის, ბეჟან ხარაზიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვით თანამედროვე სამეცნიერო და სამართალშემოქმედების საქმიანობის განვითარებაში, თუმცა მათი სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული.

„ბეჟან ხარაზიშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც ქართულ ენაზე შექმნა „კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო“, „სიცრუის ფილოსოფია“ და სხვა. მისი ნაშრომები დღესაც აქტუალურია სისხლის სამართლის პროცესის, ფსიქოლოგიის და, ასევე, მხატვრული შემოქმედების კუთხით. იგი მართლაც ბრწყინვალე მეცნიერი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული კრიმინალისტიკის განვითარებას; მის მიერ შექმნილი „მტკიცებითი სამართალი“, საქართველოს მასშტაბით, კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი მონოგრაფიულ გამოკვლევად რჩება“, — განაცხადა ნინო გოგნიაშვილმა.

ბეჟან ხარაზიშვილი დაიბადა 1920 წელს, სოფელ საქობოში. თავიდან მან სწავლა განაგრძო სიღნაღის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი პედაგოგად მუშაობდა. 1937 წელს კი რუსეთში გაემგზავრა იურიდიული განათლების მისაღებად. თავდაპირველად მეცნიერი სვერდლოვის სახელობის ფაბრიკაში ვაგონების მტვირთავად მუშაობდა, რამაც სერიოზულად შეურყია ჯანმრთელობა. 1939 წელს მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, რომლის დასრულების შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნდა და პრაქტიკული საქმიანობა გააგრძელა. მეცნიერი სხვადასხვა დროს მუშაობდა პროკურორად, პროკურორის თანაშემწედ, პროკურატურის გამომძიებლად... მისი ძირითადი საქმიანობა იყო არა პრაქტიკული, არამედ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. ცოდნის ასამაღლებლად იგი კვლავ გაემგზავრა რუსეთში, სადაც სსრკ აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩააბარა, რომლის დასრულების შემდეგ დაიცვა დისერტაცია კრიმინალისტიკაში თემაზე: „ხელნაწერების გამოკვლევის სასამართლო ბურჟუაზიული მეთოდების კრიტიკა“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი, 1952 წლიდან, მუშაობა განაგრძო თსუ-ში იურიდიულ ფაკულტეტზე, ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო შემდგომ დოცენტად.

1964 წელს ბეჟან ხარაზიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „დამნაშავის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სისხლის სამართალში.“ იგი სსრკ-ს იურისტ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას სადოქტორო დისერტაცია უძღვნა.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ბეჟან ხარაზიშვილი წერდა მოთხრობებსა და პიესებს. თავის ნაწარმოებებს იგი ფსევდონიმით — „ხორნაბუჯელი“ აქვეყნებდა. იყო ჟურნალისტთა კავშირისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკონსულტაციო საბჭოს წევრი. მეცნიერის იუბილეზე, როგორც შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, ბეჟან ხარაზიშვილის მოღვაწეობის შესწავლა მომავალმა თაობამ უნდა გააგრძელოს, რადგან მისი ნაშრომები მათ პროფესიული ცოდნის ამაღლებაშიც დაეხმარებათ.

„ბეჟან ხარაზიშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც ქართულ ენაზე შექმნა „კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო“, „სიცრუის ფილოსოფია“ და სხვა. მისი ნაშრომები დღესაც აქტუალურია სისხლის სამართლის პროცესის, ფსიქოლოგიის და, ასევე, მხატვრული შემოქმედების კუთხით.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 44-ე მუხლის, 45-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №1 დადგენილების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 24-ე სხდომის გადაწყვეტილების, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ნოემბრის №129-ე დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 ნოემბრის №31-ე სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 27 სექტემბრის №220/02-01 ბრძანების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2010 წლის 16 ნოემბრის №28535/02 წერილის საფუძველზე

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 112/01-01

25.11.2010

ᲡᲡᲘᲞ-ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

Ვ Ბ Რ Ძ Ა Ნ Ე Ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება;

3. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;

4. კონკურსი ცხადდება ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო და ასისტენტ პროფესორის 16 საშტატო ერთეულზე;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 25 ნოემბერს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 27 დეკემბრიდან 2011 წლის 10 იანვრის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

6. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებებით:

პოლიტიკური მეცნიერებანი

ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ასისტენტ პროფესორი — 4 საშტატო ერთეული;

საზოგადოებრივი გეოგრაფია

ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ჟურნალისტიკა

ასისტენტ პროფესორი — 4 საშტატო ერთეული;

სოციალური მუშაობა

ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ფსიქოლოგია

ასისტენტ პროფესორი — 6 საშტატო ერთეული;

7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 720 (შვიდას ოცი) ლარით;

ასისტენტ პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 540 (ხუთას ორმოცი) ლარით;

8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (cv);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი;

ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი — სილაბუსებით;

ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

თ) არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობისა ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ;

მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

9. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამოტივაციო წერილი.

10. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2010 წლის 27 დეკემბრიდან 2011 წლის 10 იანვრის ჩათვლით თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ა. კვიტაშვილი

„თსუ-გორდელა“ – წლის აღმოჩენა

შურთხია ბეროშვილი

„თსუ-გორდელა“ 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თენგიზ ყურაშვილისა და ანსამბლ „ურმულის“ სოლისტის თამაზ მამალაძის თაოსნობით შეიქმნა და მსმენელის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ანსამბლი ყველა ტრადიციული ფესტივალის და კონკურსის მონაწილეა, წელს იგი „არტ-გენი 2010“-ის ფავორიტიც გახდა, მას ფესტივალის ორგანიზატორებმა „წლის აღმოჩენაც“ კი უწოდეს.

ამ გოგონებმა უძველეს ხალხურ საკრავებზე დაკვრა და ქართული მრავალხმიანი სიმღერების შესრულება არც ისე დიდი ხანია დაიწყეს. მათი წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო იმ უძველესი საკრავების „გაცოცხლებაა“, რაც მათ ანსამბლის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის დახმარებით შეძლეს.

ანა გულედანი, თამუნა ალადაშვილი, ქეთი კვირკელია, თეა ქირია, ნინო აბულაძე, სოფო ქირია, ნატალია ბაბაშვილი და ნათია ხმალაძე ქართულ მრავალხმიან სიმღერებს ფანდურის, კონტრაბასის, ჭუნირის, ჭიბონის, გარმონის, დოლის, დიპლიპიტოს, ჩონგურის, ბონგოს, სალამურის თანხლებით ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის რეპერტუარი მრავალფეროვანია, იგი ყოველი კონცერტისთვის ახალი სიმღერით თუ კომპოზიციით მდიდრდება, რაც დიდ შრომასთან არის დაკავშირებული.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი სოფო ქირია ანსამბლის „უხუცესი“ წევრია, მაგრამ ყოველი ნომრის შესრულებისას მაინც ღელავს. იგი ანსამბლში ქართული ფოლკლორული მუსიკის სიყვარულმა მიიყვანა და, როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხნის ოცნება აისრულა.

„ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როდესაც ოზურგეთის ხალხურ საკრავთა ანსამბლში ვუკრავდი. ერთ-ერთ ფესტივალზე „გორდელას“ მოვუსმინე და ძალიან მომეწონა. მიხარია, რომ დღეს ამ ანსამბლის წევრი ვარ. მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესოა, რეპეტიციები თითქმის ყოველდღე გვაქვს, მაგრამ ეს მუშაობა სახალისოა. მახარებს ისიც, რომ ჩვენი მუსიკა თანატოლებს მოსწონთ. ქართული ტრადიციების შენარჩუნება და გაგრძელება, პირველ რიგში, ახალგაზრდობის ვალია — მე და ჩემი მეგობრები სიამოვნებით ვიხდით ამ ვალს“, — ამბობს სოფო ქირია.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის თქმით, უნივერსიტეტი ამაყობს „თსუ-გორდელას“ წარმატებებით. „ანსამბლში ნიჭიერი თაობა მოვიდა და ჩვენი მოვალეობაა, რომ მათ ყველა ინიციატივას მხარი დავუჭიროთ“, — განაცხადა ირაკლი ხარჯავანიძემ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელის დაჩი გუბაძის აზრით, გოგონების ანსამბლის პოპულარობა კარგა ხანია გასცდა უნივერსიტეტის ფარგლებს, რაც ყველასთვის სასიამოვნოა.

„თსუ-გორდელა“ ის ანსამბლია, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ხალხის სიყვარული. 20 სექტემბერს ანსამბლმა ჯგუფ „მგზავრებთან“ ერთად მონაწილეობა მიიღო ვარდების მოედანზე გამართულ პირველკურსელებისადმი მიძღვნილ კონცერტში და დიდი მოწონებაც ხვდათ წილად, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში,“ — აღნიშნა დაჩი გუბაძემ.

გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ თითქმის ყველა საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობს. 30 ნოემბერს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო კონცერტზე, რომელიც მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას მიეძღვნა, ანსამბლი „თსუ-გორდელა“ მსმენელის წინაშე მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდა. კონცერტში სხვადასხვა უნივერსიტეტების ფოლკლორულმა ანსამბლებმაც მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, „ჩელამ“, „დიდგორმა“, „დიოსკურიამ“, თსუ-ის უნივერსიტეტის ვაჟთა ანსამბლმა და სხვა.

როგორც ცნობილია, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ასაშენებლად შეიქმნა ფონდი „ივერიისა“, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ქველმოქმედების მიმართულების ხელმძღვანელის ლაშა ჩხიტუნიძის ინფორმაციით, კონცერტიდან შემოსული თანხა ამ კომპლექსის ფონდში გადაირიცხება.

როგორც გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის„თსუ-გორდელას“ წევრებმა აღნიშნეს, მათთვის მსგავს პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან, შესაძლებლობა ეძლევათ, თავიანთი როლი გამოკვეთონ საზიკეთო საქმეში, რაც უნივერსიტეტის სახელს კიდევ უფრო მეტად წაადგება.

კონკურსი

„შემოდგომის ბინადარნი“ კალმით ყველა ოცნებას წვდებიან

შურთხია ბეროშვილი

„როგორც ჩემი ძმა ანიკი“, — თამარ ფოლადაშვილის ეს მოთხრობა სულ რაღაც ორ საათში დაიწერა, მაგრამ ახალბედა მწერალს გამარჯვება, უამრავი პრიზი და პოპულარობა მოუტანა. იგი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც კახეთის შუაგულში, კავკასიონის კალთებ ქვეშ, საუკუნოვანი ხეებით გარშემოტყმული ყვარლის ტბის პირას, მუზების მოსახმობად საუკეთესო გარემოში აღმოჩნდა... სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში — „შემოდგომის ლეგენდა“ პირველ ადგილზე გასული თამარისთვის ჟიურის გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ, აღელვებულს, სიტყვების პოვნა გაუჭირდა...

„მეორე წელია, ამ კონკურსში ვიღებ მონაწილეობას. გამარჯვებაზე არ მიფიქრია, რადგან წელს საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ წერისთვის საუკეთესო გარემო იყო შექმნილი, თავიდან, ვერც ერთი სიტყვა საერთოდ ვერ დავწერე, მხოლოდ ბოლო ორი საათი ვიმუშავე. დაუვიწყარი დღეები გვაჩუქა უნივერსიტეტმა და „ჯეოსელმა“ — ძალიან ბედნიერი ვარ“, — გვითხრა თამარმა. როგორც გაირკვა, იგი ხუთი წელია, რაც წერს... უფრო ფანტასტიკისა და დრამის ჟანრში მუშაობს, მისი საკონკურსო მოთხრობის თემა კი საკმაოდ განსხვავებულია. სიუჟეტი ორი ძმის ურთიერთობაზეა აგებული, თუმცა ახალგაზრდა მწერალმა ფინალი აღარ გაამხილა — ალბათ, გასაგებია, რატომაც... პირველ ადგილზე გასულ თამარ ფოლადაშვილს პრიზი თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გადასცა.

კახეთიდან თავადაც შთაბეჭდილებებით დაბრუნებულმა სანდრო კვიტაშვილმა, რომელიც ყვარელში გამართულ ლიტერატურულ კონკურსზე სტუდენტთა შემოქმედებით „წვას“ თვალს ადევნებდა, ასე მიმართა კონკურსში მონაწილეებს: „მივესალმები ასეთი კონკურსების მოწყობას, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ — თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი გამოავლინონ. ვფიქრობ, ამ გზით სტუდენტობას უფრო მეტად დავაინტერესებთ და წავახალისებთ... ჩვენი სურვილია, მომავალში, პროექტის მასშტაბები გაიზარდოს და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსაც მივცეთ საკუთარი შემოქმედებითი უნარის რეალიზების საშუალება,“ — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა დაჯილდოების ცერემონიალზე.

სტუდენტური კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ სლოგანით: – „სამშობლო მთებო! – დაბრუნება“ ყვარლის ტბის ტერიტორიაზე, 28 ოქტომბერს, ახლად აშენებულ კომპლექსში თსუ-სა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა.

ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა: I ტურმა სტარტი 20 სექტემბერს აიღო. შიდა შესარჩევ ტურში უნივერსიტეტის ჟიურიმ 122 კანდიდატს შორის 10 საუკეთესო შეარჩია. 28 ოქტომბერს კი იმპროვიზაციულ ტურში ფინალისტებმა ყვარლის ტბის ტერიტორიაზე ახალი ნაშრომები შექმნეს. 7 საათის განმავლობაში კონკურსანტები თემაზე – „შაქრის გარეშე“ მუშაობდნენ.

10 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის – „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. წელს, საუკეთესოთა შორის 3 საუკეთესო მოთხრობის ავტორი ქართველი ლიტერატორებითა და მწერლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. მათ თსუ-ის მიერ დაწესებული ფულადი პრემია და, კონკურსის თანაორგანიზატორის — კომპანია „ჯეოსელის“ სახელით, სპეციალური პრიზები გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულები რექტორის მრჩეველმა მარინა ლომოურმა, მწერლებმა: დავით ტურაშვილმა, დავით ქართველიშვილმა, თეონა დოლენჯაშვილმა და მაკა ლდოკონენმა დაასახელეს. თამარ ფოლადაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ადგილი მოიპოვა მოთხრობისათვის — „როგორც ჩემი ძმა ანიკი“, მეორე ადგილზე უჩა ზაქაშვილმა გავიდა მოთხრობით — „გროზნო უშაქროდ“, მესამე ადგილის მფლობელი კი დავით ჩიხლაძე გახდა, რომელმაც საკონკურსოდ მოთხრობა „EXCHANGE“ დაწერა.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სიმპათია დავით გორგილაძემ დაიმსახურა (მოთხრობით „მეორადი კევები“), თსუ-ის გამომცემლობის სიმპათია მარიამ ბექაურს ერგო (მოთხრობით - „კედლები“), სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ ისინი თსუ-ის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი წიგნებით დააჯილდოვა. მკითხველის სიმპათია კი ნუკი ჩოხელს ხვდა წილად (მოთხრობით — „პადარკა“ - ოჯახის ღირსება“), რომელსაც მაღაზიათა ქსელის „პარნასის“ მიერ გამოცემული წიგნები გადაეცა.

პირველი ადგილის მფლობელი 1000 ლარით, მეორე ადგილზე გასული კონკურსანტი 700 ლარით, მესამე კი 500 ლარით დაჯილდოვდნენ.

აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონიაზე კონკურსის ორივე წლის 16 საუკეთესო ნაწარმოებებისგან შემდგარი ბროშურის პრეზენტაციაც გაიმართა. კრებულის შესავალში ვკითხულობთ: „როდის იწყებენ სიტყვები სიცოცხლეს?! „შემოდგომის ბინადარნი“ კალმით ყველა ოცნებას წვდებიან, ყველა ნატვრას ფურცელზე ასრულებენ, ისინი ლიტერატურული სამყაროს ჯადოქრები არიან. მათ თქვენ არ იცნობთ, რადგან ისინი გზის დასაწყისში დგანან...“ თუმცა, ამ ახალგაზრდების შემოქმედების გაცნობის შემდეგ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „შემოდგომის ლეგენდის“ გმირებთან შეხვედრას მკითხველი კვლავაც მოუთმენლად დაელოდება.

ახალი სახეები...
ახალი სახელები...
შენი ხელწერა...
შენი აღმოჩენის დროა!..

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი**	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**		
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**გიორგი წიქარიშვილი**		22 36 62